

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი კვიციანი

მეორე ფრონტის საკითხი ანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურთა
მიმოწერებსა და შეხვედრებში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

ქუთაისი
2010

შინაარსი

შესავალი -----	2
თავი I გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და მეორე ფრონტის საკითხი 1941 წელს -----	12
თავი II 1942 წელი: მოკავშირეთა დიპლომატიური ძალისხმევა ანტიჰიტლერული კოალიციის გასამყარებლად -----	38
თავი III აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ევროპული სტრატეგია მეორე ფრონტის გახსნის წინ	
§1. კასაბლანკიდან თეირანამდე -----	73
§2. ტრანსლამანშური სტრატეგიის საბოლოო გამარჯვება - ოპერაციები „ოვერლორდი“ და „დრაგუნი“ -----	123
დასკვნა -----	163
შენიშვნები -----	169
ბიბლიოგრაფია -----	206

შესავალი

სამოც წელზე მეტი გავიდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან, რომელსაც თავისი მასშტაბებით, სამხედრო, პოლიტიკური და სოციალური შედეგებით კაცობრიობის ისტორიაში დღემდე მომხდარი ვერც ერთი ომი ვერ შეედრება¹. მეორე მსოფლიო ომის შესახებ ვრცელი ისტორიოგრაფია არსებობს. მათ შორის ოფიციალური გამოცემები, დოკუმენტების კრებულები, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა მემუარები, მეცნიერთა კოლექტიური შრომები, ჟურნალისტთა პუბლიკაციები და სხვ. ძნელად თუ მოეძებნება მას ამგვარი ანალოგი მსოფლიო ისტორიაში. თუმცა მიუხედავად ამისა მისი ცალკეული ასპექტები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი, რაც მომავლის საქმეა. ომზე მსჯელობისას ერთ ერთი მთავარი საკითხი, რაზედაც ღირს დაფიქრება ისაა, გაირკვეს იყო თუ არა შესაძლებელი ომის ხანგრძლივობის, მისი უპრეცედენტო მასშტაბების, მსხვერპლისა თუ ნგრევის შემცირება? ამ მხრივ ჩვენ განსაკუთრებულ დაინტერესებას ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები იწვევს, კერძოდ: მისი მომზადებისა და განხორციელების საკითხი ანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურთა მიმოწერასა და შეხვედრებში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიის ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. თითქმის არ არსებობს არც ერთი სერიოზული გამოკვლევა მეორე მსოფლიო ომის, კერძოდ, იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამხედრო ოპერაციების შესახებ, სადაც მეტნაკლები ყურადღება არ დაეთმოს აღნიშნული საკითხისადმი. თუმცა მიუხედავად გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა, მათი ცალკეული მომენტებისა, რომლებიც მეორე

ფრონტის ისტორიას ეხება, ამ პრობლემისადმი ინტერესი კვლავინდებურად დიდია. აღსანიშნავია, რომ ეს თემა საბოლოოდ არ არის ამოწურული ისტორიოგრაფიაში. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა მეცნიერული კამათი მეორე ფრონტის მომზადების, მისი გახსნის შეფერხების სამხედრო თუ პოლიტიკური მიზეზების და განხორციელების დროისა და ადგილის შესახებ. თუმცა ის ვრცელი ისტორიოგრაფია, რომელიც აღნიშნულ პრობლემას ეხება, გვაძლევს იმის საშუალებას რათა საფუძვლიანად გავაანალიზოთ მეორე მსოფლიო ომის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის ძირითად მოვლენათა არსი და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი გამორჩეული და მნიშვნელოვანი მოვლენა დიდ ბრიტანეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობა იყო. ეს თანამშრომლობა ფაქტობრივად გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დღიდანვე დაიწყო და აზრთა სხვადასხვაობისა და რიგი უთანხმოების მიუხედავად ომის დასასრულამდე გაგრძელდა. შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს ისტორიაში მოკავშირეებს არ მიუღწევიათ ისეთი სრული წარმატებისათვის თავიანთი რესურსების, სამხედრო და დიპლომატიური ძალისხმევის გაერთიანების, სტრატეგიათა დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში, როგორც ეს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებმა შესძლეს მთელი ომის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებს შორის არსებული ასეთი მჭიდრო ურთიერთობა მეტწილად მათი ხელმძღვანელების თანამშრომლობით იყო გამოწვეული, რომლებიც მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულ მომენტში დროს ხელისუფლების სათავეში იდგნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებულ

დაინტერესებას „დიდი სამეულის“ ლიდერთა შორის ინტენსიური მიმოწერა და შეხვედრები იწვევს, რაც მათი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, უაღრესად ხელსაყრელ წინაპირობას ქმნიდა ნაცისტური ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი საბოლოო განადგურებისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ორი დიდი ინგლისურენოვანი ერის – ამერიკელებისა და ბრიტანელების თანამშრომლობა 1939-1945 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ასეთი უნიკალური ურთიერთობა უპირველეს ყოვლისა, მათი ლიდერების – ფ. დ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის მეგობრობით იყო განპირობებული, რომელსაც საფუძველი მეტად საინტერესო და ყოვლისმომცველი მიმოწერის შედეგად ჩაეყარა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ხუთ ნახევარი წლის განმავლობაში მათ ერთმანეთს 1700 წერილი და სხვადასხვა სახის მიმართვა გაუგზავნეს. აქედან 700 წერილი ფ. რუზველტისაგან იყო გაგზავნილი, 1000-ის ავტორი კი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი იყო. მათი მიმოწერა 1939 წლის 11 სექტემბრის აშშ-ს პრეზიდენტის წერილით დაიწყო და 1945 წლის 11 აპრილის მისივე წერილით დასრულდა. უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტები ომის პერიოდის მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს ეხება, მათ შორის მეორე ფრონტის პრობლემასაც. აქვე აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის მიმოწერა, რომელშიც პირველად იქნა დაყენებული მეორე ფრონტის შექმნის საკითხი. უ. ჩერჩილმა და ი. სტალინმა ომის განმავლობაში ერთმანეთს 500-ზე მეტი წერილი გაუგზავნეს. საინტერესოა, რომ ორი წერილი ინგლისის პრემიერმა ჯერ კიდევ გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმამდე გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის მეთაურს, რომელიც მან უპასუხოდ დატოვა. რაც შეეხება ფ.

რუხველტისა და ი. სტალინს შორის მიმოწერას, მათ ერთმანეთში 290 წერილი გაცვალებს². აღსანიშნავია, რომ წერილობით ურთიერთობას საფუძველი აშშ-ს ომში ჩაბმამდე ჩაეყარა. მიმოწერა 1941 წლის 4 აგვისტოს სტალინის წერილით დაიწყო. აშშ-ს პრეზიდენტის ბოლო წერილი კი საბჭოთა მთავრობის მეთაურმა 1945 წლის 13 აპრილს მიიღო.

პირადი მიმოწერის გარდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურთა შორის გამართულ შეხვედრებს, აგრეთვე მათ ინტენსიურ ურთიერთობებს დიპლომატიური კორპუსისა და სამხედრო შტაბების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან. აღნიშნულმა შეხვედრებმა ფაქტობრივად გადაწყვიტეს კიდევ მეორე ფრონტის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ოპერაციის დაგეგმვას, მომზადებას, განხორციელების დროსა და ადგილს შეეხებოდა.

წყაროები და ისტორიოგრაფია: წინამდებარე ნაშრომში მეტწილად გამოყენებულია ინგლისურ და რუსულ ენებზე არსებული მრავალფეროვანი წყარო, ოფიციალური გამოცემები, მემუარული ლიტერატურა „დიდი სამეულის“ ლიდერთა მიმოწერისა და შეხვედრების შესახებ, რომლებშიც მეორე ფრონტის საკითხს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ 1957 წელს რუსულ ენაზე ორ ტომად გამოცემული მიმოწერა სსრკ-ს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებს შორის, რომელიც 900 დოკუმენტს მოიცავს³. წიგნის პირველ ნაწილში საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებთან მიმოწერაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე ნაწილი საბჭოთა მეთაურის აშშ-ს პრეზიდენტებთან მიმოწერას ეხება. რაც შეეხება შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის წერილობით ურთიერთობას, ის ფართოდ არის

გაშუქებული მათ საიდუმლო მიმოწერაში⁴. ვრცლად არის წარმოდგენილი ანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურთა შეხვედრები მეორე მსოფლიო ომის პერიოდის კონფერენციის მასალებში, რომლებიც აშშ-ს პრეზიდენტისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით 1941-1942 წლების ვაშინგტონის პირველ და მეორე, 1943 წლის კასაბლანკისა⁵, 1943 წლის ვაშინგტონის მესამე და კვებეკის⁶ კონფერენციების მიმდინარეობას ეხება. ნაშრომში ასევე წყაროს სახით გამოყენებულია მოსკოვისა და თეირანის კონფერენციების მასალები⁷, საბჭოთა კავშირ-ინგლისისა და სსრკ-აშშ-ს ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები⁸, აგრეთვე მასალები საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდის საგარეო პოლიტიკის შესახებ⁹ და ა. შ.

მეორე ფრონტის პრობლემის მეცნიერული კვლევა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო. ისტორიული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, რომელიც მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების საკითხებს ეხება, გამოქვეყნებულია აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის პირველი მკვლევარები ის ამერიკელი და ინგლისელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი იყვნენ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მეორე ფრონტის ორგანიზების საქმეში. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, რომლის ექვსტომიანი ნაშრომი მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხს ეხება¹⁰. წიგნში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეორე ფრონტის ორგანიზებისა და მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიური ისტორიის ცალკეულ ასპექტებს. ვრცლად არის წარმოდგენილი ინგლისის პრემიერის მიმოწერა და შეხვედრები აშშ-სა და სსრკ-ს

ხელმძღვანელებთან, დიდი ბრიტანეთის სამხედრო შტაბების მეთაურებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

მეორე ფრონტის გახსნის პრობლემებს თავიანთ ნაშრომებში პირველები შეეხნენ დ. ეიზენჰაუერი¹¹, რ. შერვუდი¹², უ. ლეჰი¹³, გ. ჰარისონი¹⁴. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი ისტორიკოსის გორდონ ჰარისონის 1951 წელს გამოცემული ნაშრომი „შეტევა არხზე“ პირველი მეცნიერული გამოკვლევაა, რომელშიც მეორე ფრონტის მომზადებისა და განხორციელების საკითხებია გაანალიზებული. ზემოთ ხსენებული ავტორები ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შეფერხების ძირითად მიზეზად მოკავშირეთა სამხედრო ძალებისა და სატრანსპორტო საშუალებების არასაკმარის რაოდენობას ასახელებენ. ამ ოპერაციის დიპლომატიურ მომზადებას ეხება უ. მაკნიელისა¹⁵ და კ. ფეისის¹⁶ ნაშრომები, რომლებშიც მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურება სადესანტო საშუალებების ნაკლებობითაა ახსნილი. მეორე ფრონტის შექმნის დიპლომატიურ მზადებას ეძღვნება ასევე რ. ბეიტცელის მონოგრაფია, რომელშიც ლა-მანშის ფორსირების გადადების მთავარ მიზეზად აშშ-დიდ ბრიტანეთს შორის პოლიტიკაში არსებული წინააღმდეგობები სახელდება¹⁷.

დასავლეთ ევროპაში შეჭრის შეფერხების მიზეზებზეა საუბარი ამერიკელი მკვლევარების რ. ინგერსოლის¹⁸, მ. მეტლოფისა და ე. სნელის¹⁹ ნაშრომებში, რომლებიც მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებას აშშ-დიდ ბრიტანეთს შორის არსებული წინააღმდეგობებით ხსნიან და პასუხისმგებლობას მთლიანად ინგლისელებს აკისრებენ. სხვა ამერიკელი ავტორები, მაგალითად: რ. ლეიტონი და რ. კოუკლი²⁰ თავიანთ წიგნში „გლობალური ზურგი და სტრატეგია 1943-1945“ თავად უინსტონ ჩერჩილს სდებენ ბრალს მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურების გამო. ბრიტანელი ავტორები

მ. ჰოუარდი²¹ და ჯ. ფულერი²² თავიანთ ნაშრომებში „დიდი სტრატეგია“ და „მეორე მსოფლიო ომი 1939-1945“, თავის მხრივ, ცდილობენ გაამართლონ ინგლისელი პოლიტიკოსების მიდგომა მეორე ფრონტის საკითხთან დაკავშირებით და ამერიკელებს სტრატეგიული აზროვნების არქონაში ადანაშაულებენ.

მეორე ფრონტის ე. წ. „ბალკანური ვარიანტი“ განხილული ისტორიკოსების კ. ბოლდუინის²³, ჯ. პრატის²⁴ და ჩ. უილმოტის²⁵ ნაშრომებში. მკვლევარები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ რუზველტის პოლიტიკას, ხოტბას ასხამენ ჩერჩილის სტრატეგიას და წუხილს გამოთქვამენ ომის გამო, რომ არ მოხერხდა აშშ-დიდი ბრიტანეთის ჯარების ბალკანეთში გადასხმა, რაც მოკავშირეებს სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის დაკავების საშუალებას მისცემდა.

დასავლეთ ევროპაში შეჭრის შეფერხების პოლიტიკურ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას თავის მონოგრაფიაში „მეორე ფრონტის პოლიტიკა: ამერიკის სამხედრო დაგეგმვა და დიპლომატია კოალიციურ ომში 1941-1943“ ამერიკელი ისტორიკოსი მ. სტოლერი. მისი აზრით, მეორე ფრონტის საკითხი ვაშინგტონში განიხილებოდა – როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა. რაც იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ს მმართველი წრეებისათვის მეორე ფრონტის გახსნისათვის სტრატეგიული მომენტის ძიებას – ევროპაში ამერიკის გავლენის მაქსიმალურად გაფართოების სურვილი განსაზღვრავდა²⁶.

ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის შეფერხების მიზეზებია გაანალიზებული რ. დალეის 1979 წელს გამოცემულ ნაშრომში „ფრანკლინ დ. რუზველტი და ამერიკის საგარეო პოლიტიკა 1932-1945წწ.“²⁷. მკვლევარს საერთოდ უსაფუძვლოდ მიაჩნია მეორე ფრონტის გახსნის საკითხის ადრეულ ეტაპზე დაყენება. მისი

შეხედულებით, დასავლეთ ევროპაში ნაადრევად შეჭრას ამერიკელთა მხრიდან დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. დალექის აზრით კი რუზველტი დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გამოყენებით გერმანიასა და იაპონიაზე სწრაფი და იოლი გამარჯვება მოეპოვებინა.

მეორე ფრონტის პრობლემის კვლევას ზემოთ დასახელებული ავტორების გარდა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თავიანთ ნაშრომებში ჯ. ერმანმა, ბ. ლიდელ ჰარტმა, თ. ჰიგინსმა, ა. ბრაიანტმა, ო. ბრედლიმ, კ. ბატჩერმა და სხვ.²⁸.

რაც შეეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიას, აქ ძირითადად გაბატონებულია მოსაზრება, რომელიც სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს 1942-1943 წლებში მეორე ფრონტის გახსნას, ხოლო ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის გადადების ერთადერთ მიზეზად პოლიტიკური ფაქტორები სახელდება. აღნიშნული პრობლემის დიპლომატიური მომზადების ისტორიას ეძღვნება საბჭოთა ისტორიკოსების ი. უნდასინოვის²⁹, ვ. კულიშის³⁰ და ი. ზემსკოვის³¹ მონოგრაფიები, რომლებშიც ავტორები ბრალს დებენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებს დასავლეთ ევროპაში შეჭრის განზრახ გაჭიანურებაში. თითქმის ანალოგიურ აზრს ავითარებს ყველა საბჭოთა მკვლევარი, რომლებიც თავიანთ ნაშრომებში მეორე ფრონტის პრობლემას შეეხნენ³².

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვსურს განსაკუთრებული ყურადღება შევაჩეროთ ქართველი ისტორიკოსის თ. პაპასჭირის ნაშრომზე „მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში 1941-1943“, რომელიც 2002 წელს გამოიცა³³. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მონოგრაფია მეორე მსოფლიო ომის დიპლომატიური ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლის ფაქტობრივად პირველი მცდელობაა

საქართველოში. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრებები საკვლევი პრობლემის ცალკეულ ასპექტებზე. კერძოდ: ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა მიერ ჩატარებული ოპერაცია „ტორჩი“-ს სამხედრო მნიშვნელობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ მოკავშირეებს აღნიშნული ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ ბრძოლის გასაგრძელებლად საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაშიც, ხოლო მეორე ფრონტის გახსნის გაჭიანურებას კი მკვლევარი – აშშ-ინგლისის შეიარაღებული ძალების სამხედრო მომზადების დაბალი დონით ხსნის.

ამრიგად, მომოვიხილეთ მეორე ფრონტის დიპლომატიურ მომზადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ასპექტები. იმ მრავალფეროვანი ლიტერატურის ფონზე, რომელიც მოკავშირეთა ევროპაში შეჭრის სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიას ეხება, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს აღნიშნული საკითხის კიდევ ერთხელ დაყენება, მისი ცალკეული მომენტების ანალიზი და შეფასება. ჩვენი კვლევის მიზანია აჩვენოს: თუ როგორ იყო დაყენებული მეორე ფრონტის შექმნის საკითხი დიდი სამეულის მიმოწერასა და შეხვედრებში, რა წინააღმდეგობები არსებობდა მოკავშირეთა შორის ევროპული სტრატეგიის საკითხებში ლა-მანშის ფორსირებასთან დაკავშირებით, რაში მდგომარეობდა ის ძირითადი მიზეზები რომლებმაც ევროპაში შეჭრის შეფერხება გამოიწვიეს, იყო თუ არა რეალურად შესაძლებელი მეორე ფრონტის გახსნა 1944 წლამდე.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1941-1944 წლები: 1941 წლის ივნისიდან, როდესაც დაიწყო აქტიური დიპლომატიური კონსულტაციები მეორე ფრონტის გახსნის საკითხთან დაკავშირებით 1944 წლის ივნის-აგვისტოს ჩათვლით, როდესაც

ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთში განხორციელდა ოპერაციები: „ოვერლორდი“ და „დრაგუნი“.

გარდა ამისა, წარმოდგენილ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება მეორე ფრონტის ე. წ. „ბალკანური ვარიანტის“ განხორციელების ასპექტებზე და იმ პოლიტიკურად მნიშვნელოვან დანაკარგებზე, რომელიც მოკავშირეთა მხრიდან მხოლოდ დასავლეთ ევროპაში შეჭრის გადაწყვეტილების მიღებამ გამოიწვია. ნაშრომში, პირველად, ქართულ ენაზე ფართოდ არის გაშუქებული ბევრი ფაქტი თუ მოვლენა ანტიკომუნისტური კოალიციის მეთაურთა მიმოწერისა და შეხვედრების შესახებ. აგრეთვე გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება მეორე ფრონტის გახსნის პრობლემასთან დაკავშირებით.

თავი I. გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე და მეორე ფრონტის საკითხი 1941 წელს

გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ უმთავრესი ამოცანა, რომელიც აგრესიის ქვეშ მყოფი საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დადგა, მოკავშირეთა ძიება და მათი გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩაბმა იყო. მოკავშირეების დახმარების გარეშე საბჭოთა კავშირს ბრძოლა რომ ძლიერ გაუჭირდებოდა ეს ომის პირველივე დღეებშიც დაადასტურა. გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე თითქმის ყველა მიმართულებით მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას მიაღწიეს. წითელი არმია იძულებული იყო ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი დანაკარგებით უკან დაეხია და ლიტვის, ლატვიის, უკრაინისა და მოლდავეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დაეტოვებინა.

გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ცნობას მყისვე გამოეხმაურნენ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინგლისისა და აშშ-ს მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის განადგურების შემდეგ გერმანია საომარ მოქმედებებს მათი ქვეყნების წინააღმდეგ განახორციელებდა. სწორედ ამიტომ, როგორც დიდმა ბრიტანეთმა ისე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში გადაწყვიტეს მხარი ამ უკანასკნელისათვის დაეჭირათ. პირველი ვინც ხმა აღიმადლა ა. ჰიტლერის ახალი აგრესიის წინააღმდეგ ინგლისის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი იყო. 1941 წლის 22 ივნისის საღამოს, რადიოთი გამოსვლისას ჩერჩილმა განაცხადა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა ჰიტლერისა და ნაცისტური რეჟიმის გასანადგურებლად და ამასთანავე თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველნაირი დახმარება აღუთქვა საბჭოთა კავშირს¹.

ინგლისის პრემიერს ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ჰიტლერის სსრკ-ზე თავდასხმა ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრის პრელუდია იყო. სწორედ ამიტომ ჩერჩილის აზრით საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს ის საფრთხე იყო, რომლის წინაშე იდგნენ დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები². სწორედ ამიტომ ინგლისის პრემიერს, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროდ მიაჩნდა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობა, რათა დრო მოეგო საკუთარი სამხედრო ძალების მოსამზადებლად და იმ მომენტამდე მიედწია, სანამ აშშ უფრო აქტიურად არ ჩაერთვებოდა ომში ინგლისის მხარეზე³.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე – 1941 წლის 15 ივნისს დიდი ბრიტანეთის პრემიერმა აშშ-ს პრეზიდენტისათვის გაგზავნილ წერილში სსრკ-თან ურთიერთობის საკითხი დააყენა. ჩერჩილს ღიად ჰქონდა გადაწყვეტილი, გერმანია-საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი ომის შემთხვევაში მხარი ამ უკანასკნელისათვის დაეჭირა. „თუ ეს ახალი ომი გაჩაღდა – წერდა ჩერჩილი – ჩვენ რა თქმა უნდა ყოველნაირად წავახალისებთ და დავეხმარებით რუსებს იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მტერი, რომელიც ჩვენ უნდა დავამარცხოთ – ჰიტლერია“⁴.

პრეზიდენტმა ფ. დ. რუზველტმა მთლიანად გაიზიარა ჩერჩილის პოზიცია და ინგლისის პრემიერს აცნობა, რომ ნებისმიერი განცხადებას, რომელსაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სსრკ-ს, როგორც მოკავშირის მხარდასაჭერად გააკეთებდა ის მხოლოდ მიესალმებოდა⁵.

აშშ-ის მთავრობის სახელით პირველი ოფიციალური განცხადება სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ს. უელესმა 1941 წლის 23 ივნისს გააკეთა⁶. მასში აღნიშნული იყო, რომ კომუნისტური

დიქტატურის პრინციპები და დოქტრინები ისეთივე მიუღებელი და უცხო იყო შეერთებული შტატებისათვის, როგორც ნაცისტურისა. თუმცა, შეერთებული შტატების მთავრობის აზრით, ნებისმიერი ბრძოლა, ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ძალთა ნებისმიერი გაერთიანება, მათი წარმომავლობის მიუხედავად, დაახქარებდა ნაცისტური რეჟიმის კრახს და ხელს შეუწყობდა აშშ-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების განმტკიცებას⁷. მეორე დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მხარი დაუჭირა უელესის განცხადებას და დაამატა, რომ თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველნაირად უნდა დახმარებოდნენ სსრკ-ს⁸. პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღესდღეობით არ შეიძლებოდა ამ დახმარების კონკრეტული სახის განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენციაზე კორესპონდენტების მიერ დასმული შეკითხვები, იყო თუ არა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა მნიშვნელოვანი შეერთებული შტატებისათვის და გავრცელდებოდა თუ არა ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარება სსრკ-ზე, რუზველტმა უპასუხოდ დატოვა⁹. პრეზიდენტ რუზველტის ამგვარი, ერთი შეხედვით ფრთხილი პოზიცია იმით იყო განპირობებული, რომ აშშ-ს მთავრობა ცდილობდა შექმნილ ვითარებაში ევროპის კონტინენტზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში ნაადრევად არ აღმოჩენილიყო ჩაბმული. ვაშინგტონში მიაჩნდათ, რომ ამგვარი პოლიტიკის გატარებით შესაძლებელი იქნებოდა იაპონიასთან მოსალოდნელი დაპირისპირების თავიდან აცილება¹⁰. თუმცა შეერთებულ შტატებში კარგად ხვდებოდნენ იმას, რომ მათ ქვეყანას საფრთხე არა მარტო ევროპაში-გერმანიის მხრიდან, არამედ შორეულ აღმოსავლეთში - იაპონიიდანაც დაემუქრებოდა. ინგლისისა და საფრანგეთის მდგომარეობის გათვალისწინებით აშშ-ს მათი დახმარების იმედი

ცხადია არ უნდა ჰქონოდა. სწორედ, ამიტომ შეერთებული შტატები უაღრესად დაინტერესებული იყო სსრკ-ს მოკავშირეობით. საბჭოეთი, რომელიც გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდა, უჭველი იყო ადრე თუ გვიან ომში იაპონიის წინააღმდეგაც ჩაებმებოდა¹¹. ასე რომ, ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება იძულებულს ხდიდა შეერთებულ შტატებს საკუთარი არჩევანი სსრკ-ზე შეეჩერებინა. საინტერესოა ისიც, რომ პრეზიდენტ რუზველტის შეხედულებით მთავარი ამოცანა, რომელიც მისი ქვეყნის წინაშე იდგა არა ომში მონაწილეობა, არამედ ფაშისტური ბლოკის მოწინააღმდეგე ქვეყნების იარაღითა და სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფა იყო. რამდენადაც ომის ძირითადი სიმძიმის გადატანა საბჭოთა კავშირს უხდებოდა, სწორედ, ამიტომ ამ ქვეყნისადმი დახმარება, პრეზიდენტის აზრით, უმნიშველოვანესი იყო აშშ-ს უსაფრთხოებისათვის¹².

გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, ომის პირველივე დღეებში, ვერმახტმა, გარანტირებული ჰქონდა რა ზურგის უსაფრთხოება იმით, რომ ევროპის კონტინენტზე აქტიური საომარი მოქმედებები თითქმის არ მიმდინარეობდა, აღმოსავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვან სამხედრო და სტრატეგიულ წარმატებებს მიაღწია. ამიტომ ასეთ ვითარებაში სსრკ სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყო რაც შეიძლება მოკლე დროში დაეძლია ფაშისტური ბლოკის მიერ მოპოვებული სამხედრო უპირატესობა. საბჭოთა კავშირისათვის ნათელი იყო, რომ ასეთ პირობებში სასურველი შედეგის მიღწევა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა - აეძულებინა მოწინააღმდეგე თავისი ძალები და რესურსები რამდენიმე ფრონტს შორის გადაენაწილებინა. ამისათვის აუცილებელი იყო ევროპის ტერიტორიაზე შექმნილიყო მეორე ფრონტი, რომელიც გერმანიის

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს დაემუქრებოდა და რამოდენიმე ათეულ დივიზიას მოხსნიდა აღმოსავლეთის ფრონტიდან.

ოფიციალურად საკითხი მეორე ფრონტის შესახებ 1941 წლის 27 ივნისს, ინგლისში საბჭოთა კავშირის ელჩ ი. მაისკისა და ლორდ უ. ბივერბრუკს შორის ლონდონში გამართულ საუბრისას წამოიჭრა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველად საფრანგეთში ბრიტანელთა ჯარების გადასხმის იდეა სწორედ ბივერბრუკმა წამოაყენა. მან მაისკისთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მზად იყო მიეღო ყველა ზომა საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესამსუბუქებლად¹³. კერძოდ ბივერბრუკმა აღნიშნა, რომ ინგლისს შეეძლო გაეძლიერებინა დასავლეთ გერმანიისა და ჩრდილო საფრანგეთის დაბომბვა, მურმანსკისა და პეტსამოს მიმართულებით საკუთარი ფლოტის ნაწილი გაეგზავნა. ამასთან, მისივე თქმით ინგლისელები ჩაატარებდნენ ფართომასშტაბიან რეიდებს და ისეთი მნიშვნელობის პუნქტებს დაიკავებდნენ, როგორცაა – შერბური, ჰავრი და სხვ. ლორდმა საბჭოთა მთავრობას პირდაპირ შესთავაზა ურთიერთობა დაემყარებინა დიდ ბრიტანეთთან „სამხედრო სფეროში უფრო მჭიდრო კოოპერაციისათვის“¹⁴. აღსანიშნავია, რომ ამ ოპერაციების შესრულება ბივერბრუკს სრულიად შესაძლებლად მიაჩნდა, რადგან, როგორც თავად განაცხადა, გერმანელებს საფრანგეთიდან მოეხსნათ თითქმის მთელი ავიაცია, დაეტოვებინათ რა უმნიშვნელო რაოდენობის თვითმფრინავები და გამოუცდელი მფრინავები¹⁵.

მას შემდეგ რაც საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილი გახდა ბივერბრუკის მოსაზრება, სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მოლოტოვმა 1941 წლის 29 ივნისს თავისთან მიიწვია დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ს. კრიპსი და განუცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ლორდი ბივერბრუკის

წინადადებებს მართებულად და აქტუალურად აფასებდა. მოლოტოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ბივერბრუკის განცხადების საფუძველზე, რომელიც ინგლისსა და საბჭოთა კავშირის სამხედრო თანამშრომლობას ეხებოდა, ის ისურვებდა ამ საკითხის დადებითად გადაჭრას. კრიპსმა დააიძედა მოლოტოვი და განუცხადა მას, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ყოველგვარი დახმარება გაეწია საბჭოთა კავშირისათვის¹⁶.

ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა განიხილებოდა 1941 წლის 30 ივნისს მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და ინგლისის სამხედრო მისიების შეხვედრის დროს. დიდი ბრიტანეთის მხარეს გენერალი ე. მაკფარლანი ხელმძღვანელობდა. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ რამდენადაც თანამშრომლობის იდეა ინგლისიდან მოდიოდა, ისმებოდა კითხვა – შეეძლოთ თუ არა ინგლისის სამხედრო ძალებს აღმოსავლეთის ფრონტიდან გერმანული ნაწილების მოხსნა? როგორც საბჭოთა მხარემ განაცხადა, თუ ღორდი ბივერბრუკის სიტყვებს დაეჯერებოდა, ინგლისს შეეძლო გაეაქტიურებინა ავიაციის მოქმედება დასავლეთ გერმანიაში და მის მიერ დასახელებულ ქალაქებში ოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე დესანტიც კი გადაესხა, რაც ამ ეტაპისათვის ყველაზე მისაღები და საჭირო მოქმედება იქნებოდა¹⁷. გენერალმა მაკფარლანმა ამის შესახებ საბჭოთა მხარეს აცნობა, რომ ერთადერთი სურვილი როგორც ინგლისის მთავრობისა, აგრეთვე სამხედრო მისიის ყველა წევრისა ის იყო, რომ დახმარება გაეწიათ საბჭოთა კავშირისათვის. ამისათვის მისიას საკუთარი მთავრობისათვის უნდა წარედგინა „აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის დეტალური და ნათელი სურათი“¹⁸. იმავე დღეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. იდენმა

საბჭოთა კავშირის ელჩთან მაისკისთან საუბარში განაცხადა, რომ ბივერბრუკის გეგმა განხილული იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ, რომელიც შეიმუშავებდა აღმოსავლეთის ფრონტიდან გერმანული ნაწილების მოხსნის პროექტს¹⁹. 1941 წლის 5 ივლისს კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მოლოტოვმა ინგლისის ელჩ კრიპსთან საუბარში აღნიშნა, რომ საკითხი ჩრდილო საფრანგეთში დესანტის გადასხმის შესახებ ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა. თუ საკითხი დადებითად გადაიჭრებოდა მოლოტოვის აზრით, ეს ძალიან სასარგებლო, დროული და მიზანშეწონილი იქნებოდა ფრონტზე ახალი მდგომარეობის შესაქმნელად²⁰. მეორე დღეს საბჭოთა კავშირ-ინგლისს შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად განხორციელებისათვის და აგრეთვე დიდი ბრიტანეთის მხრიდან მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევის საკითხებთან დაკავშირებით ლონდონში ჩავიდა საბჭოთა სამხედრო მისია, რომელსაც გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ფ. გოლიკოვი ხელმძღვანელობდა. მისიას გააჩნდა კონკრეტული მითითებები იმის შესახებ, თუ რა სახის მატერიალური და ტექნიკური საშუალებები ესაჭიროებოდა საბჭოთა კავშირს. ამასთან, მისიას დავალებული ჰქონდა დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე მიემართა. საბჭოთა სამხედრო მისია ე. იდენმა და სხვა პოლიტიკურმა თუ სამხედრო მოღვაწეებმა მიიღეს, თუმცა დიდი მცდელობის მიუხედავად მისიამ უმნიშვნელო წარმატებას მიაღწია²¹.

1941 წლის 8 ივლისს ლონდონში შედგა ახალი საუბარი მაისკისა და იდენს შორის. საბჭოთა ელჩმა შეხვედრისას განაცხადა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სსრკ და დიდი ბრიტანეთი ფაქტობრივად სამხედრო მოკავშირეები იყვნენ. მაისკიმ იდენტან

მთელი სერიოზულობით დააყენა საკითხი საფრანგეთში ინგლისელთა გადასახმის შესახებ. მისი აზრით, ჯარი და შეიარაღება ინგლისელებს ამისათვის საკმარისი გააჩნდათ. მაისკის თქმით, მართალია ოპერაცია სარისკო იქნებოდა, მაგრამ ომში რისკი აუცილებელი იყო. იდენმა თავის მხრივ მოიყვანა ამ ოპერაციის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისელთა გამანადგურებლებს შეეძლოთ ჰაერიდან დაეცვათ სადესანტო ოპერაცია მხოლოდ კალესა და ბულონის რაიონებამდე და არა მათი დასავლეთით – შერბურსა და ბრეტანამდე. საბჭოთა ელჩმა იდენის ამ წინადადებაზე შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში ინგლისელებს შეეძლოთ ჩრდილო საფრანგეთში რამდენიმე აეროდრომი დაეკავებინათ, რაც საშუალებას მისცემდა მათ შემდგომი ოპერაციების ჩასატარებლად გამანადგურებლებისათვის ბაზები ჰქონოდათ. იდენმა აღნიშნა, რომ ეს კარგი არგუმენტი იყო და ამის თაობაზე ჩერჩილს აცნობებდა²².

იმავე დღეს 1941 წლის 8 ივლისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. სტალინმა მიიღო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის წერილი, რომელმაც სათავე დაუდო მათ შორის მიმოწერას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში²³. წერილში ჩერჩილი სტალინს ატყობინებდა, რომ ინგლისის ავიაციის მიერ იბომბებოდა საკუთრივ გერმანიისა და იკუპირებული ტერიტორიების ქალაქები. ჩერჩილი იმედს გამოთქვამდა, რომ ამ გზით ინგლისელები შეძლებდნენ იძულებული გაეხადათ გერმანელები, რათა მათ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალები დასავლეთში დაებრუნებინათ. ყოველივე ამით კი, პრემიერ-მინისტრის აზრით, საბჭოთა კავშირის მძიმე მდგომარეობა თანდათანობით შემსუბუქდებოდა²⁴. მაღე 1941 წლის 12 ივლისს მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და დიდ

ბრიტანეთს შორის თანამშრომლობისა და სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ, რითაც პირველი სერიოზული ნაბიჯი იქნა გადაგმული ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნისაკენ. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებდნენ: 1. დახმარება გაეწიათ ერთმანეთისათვის; 2. არ გაემართათ მოლაპარაკებები და არ დაედოთ ზავი და სამშვიდობო ხელშეკრულებები ერთმანეთის თანხმობის გარეშე²⁵.

1941 წლის 18 ივლისს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურმა ი. სტალინმა თავისი პირველი წერილი გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უ. ჩერჩილს²⁶. სტალინი წერილში იუწყებოდა, რომ როგორც საბჭოთა კავშირის ასევე ინგლისის სამხედრო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა თუკი ჰიტლერის წინააღმდეგ დასავლეთში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) და ჩრდილოეთში (არქტიკა) ფრონტი შეიქმნებოდა. ჩრდილო საფრანგეთში შექმნილ ფრონტს, საბჭოთა მეთაურის აზრით, არა მარტო შეეძლო მოეხსნა აღმოსავლეთიდან გერმანელთა ძალები, არამედ შეუძლებელსაც გახდიდა კიდევ მათ შეჭრას ინგლისში²⁷. ასეთი ფრონტის შექმნას სტალინის შეხედულებით, პოპულარული იქნებოდა როგორც დიდი ბრიტანეთის არმიაში, ისე სამხრეთ ინგლისის მოსახლეობაში. უფრო ადვილი იყო ასეთი ფრონტის შექმნა იმ დროს როდესაც ჰიტლერის ძალები აღმოსავლეთში იმყოფებოდნენ და სანამდე მათ ჯერ კიდევ არ მოესწროთ დაკავებულ ტერიტორიებზე პოზიციების გამაგრება²⁸. რაც შეეხება ინგლისის ფლოტის საომარ მოქმედებებს ჩრდილოეთ რაიონში, სტალინი წერილში აღნიშნავდა, რომ აქ საჭირო გახდებოდა ინგლისის საზღვაო და საჰაერო ძალების მოქმედება საჯარისო დესანტისა და არტილერიის გარეშე. ამ ოპერაციაში, საბჭოთა მეთაურის ცნობით, მონაწილეობას მიიღებდნენ, აგრეთვე, საბჭოთა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალები²⁹.

უ. ჩერჩილის საპასუხო წერილი სტალინმა 21 ივლისს მიიღო. წერილში ინგლისის პრემიერი იუწყებოდა, რომ გერმანელთა სსრკ-ზე თავდასხმის პირველივე დღიდანვე ინგლისელები იხილავდნენ ოკუპირებულ საფრანგეთსა და ნიდერლანდებზე შეტევის შესაძლებლობას, მაგრამ სამხედრო შტაბების მეთაურებს აღნიშნული ოპერაციის განხორციელება მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. ეხებოდა რა ჩრდილო საფრანგეთში დესანტის გადასხმის საკითხს, ჩერჩილი აცხადებდა, რომ ამის გაკეთება ამ მომენტისათვის შეუძლებელი იყო, რადგან გერმანელებს საფრანგეთში 40 დივიზია ჰყავდათ. ამ შეთხვევაში კი ინგლისის პრემიერის აზრით დესანტის გადასხმა უფრო მეტ ზიანს მოუტანდა ორივე მხარეს, ვიდრე სარგებლობას³⁰.

1941 წლის ივლისის ბოლოს მოსკოვს ეწვია აშშ-ს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ჰ. ჰოპკინსი. მას დავალებული ჰქონდა გაერკვია, თუ რისი მიწოდება ესაჭიროებოდა საბჭოთა კავშირს ომის საწარმოებლად³¹. 30-31 ივლისს შედგა ჰოპკინსის საუბარი სტალინთან. მან განუცხადა საბჭოთა მეთაურს, რომ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მზად იყვნენ დახმარებოდნენ სსრკ-ს. თუმცა, მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან გამართული მოლაპარაკების დროს ჰოპკინსმა თავი შეიკავა დახმარების კონკრეტული სახის განსაზღვრისაგან. მისი განცხადებით აშშ და ინგლისი იქამდე შეიკავებდნენ თავს საბჭოთა კავშირისათვის მძიმე შეიარაღების გაგზავნისაგან, ვიდრე არ შედგებოდა მოლაპარაკება აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-ს შორის, რომელზეც შესწავლილი და გათვალისწინებული იქნებოდა თითოეული ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები³². ამგვარი კონფერენციის გამართვას ჰოპკინსი გერმანელთა შეტევების დასრულების შემდეგ ვარაუდობდა. აღნიშნული საკითხისადმი ჰოპკინსისა და შეერთებული შტატების ამგვარი დამოკიდებულება იმით იყო განპირობებული, რომ

ვაშინგტონში ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო შესაძლებლობებს³³. აშშ-ს მთავრობის წევრებისა და უმაღლესი მთავარსარდლობის დიდი ნაწილი თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობა ერთ, მაქსიმუმ სამ თვეს თუ გასტანდა. პრეზიდენტ რუზველტის პროგნოზი შედარებით ოპტიმისტურად გამოიყურებოდა. მისი აზრით, წითელი არმია მხოლოდ 1941 წლის 1 ოქტომბრამდე თუ გაუძლებდა გერმანელთა შეტევებს³⁴. ამიტომ, ასეთ ვითარებაში საკითხი საბჭოთა კავშირისათვის იარაღის მიწოდების შესახებ, ჯერ-ჯერობით ღიად რჩებოდა³⁵. ამერიკელ პოლიტიკურ თუ სამხედრო მოღვაწეებს ჯერ კიდევ ჰქონდათ იმის შიში, რომ საბჭოთა კავშირისათვის გაგზავნილი შეიარაღება და აღჭურვილობა მისი დამარცხების შემთხვევაში შეიძლებოდა გერმანელთა ხელში მოხვედრილიყო³⁶. ჰოპკინსის მოსკოვში ვიზიტმა, შეიძლება ითქვას, რამდენადმე გააქარწყლა ამგვარი ეჭვები. სტალინთან და სხვა საბჭოთა წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრებისას ამერიკელი დიპლომატი სსრკ-ს ბრძოლისუნარიანობაში დარწმუნდა³⁷. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ რუზველტის პირადი წარმომადგენლის მონაწილეობით მოსკოვში გამართულ შეხვედრებისას საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილებები ვერ მიიღეს, შეიძლება ითქვას, რომ ჰოპკინსის ვიზიტი ახალი ეტაპის დასაწყისი იყო აშშ-დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-ს ურთიერთობებში³⁸.

ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო აშშ-ს პრეზიდენტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის შეხვედრა, რომელიც 1941 წლის აგვისტოში არჯენტიაში გაიმართა. კონფერენციაზე, რომელიც 9 – 12 აგვისტოს მიმდინარეობდა მიღებულ იქნა ე. წ. „ატლანტიკური

ქარტია“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მეორე მსოფლიო ომში ორი ქვეყნის საერთო მიზნები³⁹. „ატლანტიკური ქარტია“ ძირითადად დეკლარაციული ხასიათისა იყო და იურიდიული თვალსაზრისით არაფერს ავალდებულებდა ფორმალურად ნეიტრალურ სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებულ შტატებს. თუმცა დოკუმენტის მეექვსე პუნქტში გაცხადებული ფრაზით „ნაცისტური ტირანიის საბოლოო მოსპობის“ შესახებ, ნათლად ჩანდა, რომ შეერთებული შტატები ევროპაში მიმდინარე მოვლენათა მხოლოდ მეთვალყურის სტატუსით არ დაკმაყოფილდებოდა და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა ანტიჰიტლერულ ძალებთან ერთად უშუალო მონაწილეობას მიიღებდა გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში⁴⁰. 12 აგვისტოს კონფერენციის ბოლო დღეს ჩერჩილმა და რუზველტმა განიხილეს საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის საკითხი. აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა ერთობლივი წერილი გაუგზავნეს სტალინს და შესთავაზეს მოსკოვში მოეწყოთ კონფერენცია, რომელშიც აღნიშნული საკითხის განსახილველად მონაწილეობას მიიღებდნენ მაღალი რანგის ბრიტანელი და ამერიკელი წარმომადგენლები⁴¹.

1941 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურმა რიგით მეორე წერილი გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის პრემიერს, რომელშიც მეორე ფრონტის საკითხი უფრო მწვავედ იქნა დაყენებული. აფასებდა რა, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იმ მომენტისათვის არსებულ მძიმე მდგომარეობას, სტალინი შენიშნავდა, რომ ამ რთული ვითარებიდან გამოსვლა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა, 1941 წლისათვის შექმნილიყო მეორე ფრონტი ბალკანეთში ან საფრანგეთში, რომელსაც შეეძლო აღმოსავლეთის ფრონტიდან 30-40 დივიზია მოეხსნა⁴². გარდა ამისა, სტალინი ოქტომბრის თვისათვის დახმარების სახით ითხოვდა 30 ათას ტონა

ალუმინს ყოველთვიურად 400 თვითმფრინავსა და 500 ტანკს⁴³. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა მეთაურის აზრით, სსრკ დამარცხდებოდა ან იქამდე დასუსტდებოდა, რომ დიდი ხნით დაკარგავდა მოკავშირეებისათვის დახმარების გაწევის უნარს⁴⁴. აღსანიშნავია, რომ სტალინის ამ მიმართვასთან დაკავშირებით ინგლისის ელჩმა საბჭოთა კავშირში ს. კრიპსმა ლონდონს ტელეგრაფით აცნობა, რომ წერილში გადაჭარბებული არაფერი იყო და თუ ინგლისელები ზეადამიანურ ძალისხმევას არ გამოიჩენდნენ ისინი დიდი ხნით ან სამუდამოდ დაკარგავდნენ რუსეთის ფრონტის არსებობით მიღებულ ყველა უპირატესობას⁴⁵. კრიპსის შემოფოთება სრულიად არ იყო უსაფუძვლო. თვით დიდი ბრიტანეთის პრემიერიც კი რუზველტთან გაგზავნილ წერილში არ გამორიცხავდა რუსეთის მხრიდან გერმანიასთან სეპარატული ზავის დადების შესაძლებლობას⁴⁶. აღსანიშნავია, რომ მაისკისთან შეხვედრისას ჩერჩილმა სტალინის 3 სექტემბრის წერილთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მზად იყო 50 ათასი ინგლისელი ჯარისკაცი გაეწირა, აღმოსავლეთის ფრონტიდან თუნდაც 20 გერმანული დივიზიის მოსახსნელად. მაგრამ ამასთანავე ინგლისის პრემიერი, კიდევ ერთხელ შენიშნავდა, რომ საფრანგეთში შეჭრა შეუძლებელი იყო. მისი ცნობით მან რამდენჯერმე განიხილა შტაბების ხელმძღვანელებთან ერთად საფრანგეთში შეჭრის სხვადასხვა ვარიანტები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოპერაციის წარმატების შანსი მინიმალური იყო⁴⁷. ჩერჩილის აზრით ლა-მანშის სრუტე, რომელიც გერმანელებს უშლიდა ხელს ინგლისში შესაჭრელად, ასევე დამაბრკოლებელი იყო ინგლისელებისათვის საფრანგეთში სადესანტო ოპერაციების განსახორციელებლად⁴⁸. რაც შეეხება ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნას, ჩერჩილის აზრით, ამ ოპერაციის განხორციელება იმ მომენტისათვის არარეალური იყო.

ამისათვის ინგლისელებს არ ჰყოფნიდათ არც ძალა, ავიაცია და ტანკები. მათ არ შეეძლოთ დაზამთრებამდე არავითარი სერიოზული დახმარების გაწევა არც მეორე ფრონტის მოწყობით და არც იარაღით უზრუნველყოფით. „რისი გაკეთებაც შეიძლება დღეს ეს არის ზღვაში წვეთი“ – აცხადებდა ინგლისის პრემიერი⁴⁹. ჩერჩილმა საკუთარი შესვდულებები, ევროპაში შეჭრასთან დაკავშირებით, 1941 წლის 5 სექტემბერს ს. კრიპსთან გაგზავნილ წერილშიც დააფიქსირა. პრემიერის აზრით, საფრანგეთის სანაპირო ძლიერ იყო გამაგრებული და იმ შემთხვევაშიც კი თუ ინგლისელები შეძლებდნენ მცირე პლაცდარმების დაკავებას, რამდენიმე დღეში მათ მაინც მოუწევდათ დაკავებული ტერიტორიების დატოვება⁵⁰. ამასთან ერთად ინგლისელებს არ გააჩნდათ იმ რაოდენობის გემები, რაც საჭირო იყო ევროპის კონტინენტზე დიდი არმიის გადასხმისათვის. ინგლისის პრემიერი წერილში აღნიშნავდა, რომ ჯერ კიდევ გერმანელებს უფრო მეტი დივიზია ჰყავდათ დასავლეთში, ვიდრე ინგლისელებს დიდ ბრიტანეთში და თანაც გერმანელებს ჰაერიდან ძლიერი მხარდაჭერა გააჩნდათ⁵¹.

1941 წლის 6 სექტემბერს სტალინმა მიიღო ჩერჩილის საპასუხო წერილი, რომელშიც ინგლისის პრემიერი იუწყებოდა, რომ იმ მომენტისათვის არ იყო შესაძლებელი, გარდა საჰაერო აქციებისა განხორციელებულიყო ისეთი ოპერაცია, რომელიც დაზამთრებამდე მოხსნიდა გერმანიის ძალებს აღმოსავლეთის ფრონტიდან. ჩერჩილის შესვდულებით, ასევე არ იყო შესაძლებელი თურქეთის დაუხმარებლად შექმნილიყო მეორე ფრონტი ბალკანეთში⁵².

1941 წლის 13 სექტემბერს სტალინმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის წინაშე საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენა⁵³. სტალინი ჩერჩილისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ თუ დასავლეთში მეორე

ფრონტის შექმნა ამ მომენტისათვის ინგლისის მთავრობის აზრით არარეალური იყო, შეიძლებოდა გამონახულიყო სხვა საშუალება საბჭოთა კავშირის დასახმარებლად. მისი შეხედულებით ინგლისს შეეძლო რისკის გარეშე გადმოესხა 25-30 დივიზია არხანგელსკში ან გადაეყვანა „სსრკ-ს ტერიტორიის სამხრეთ რაიონებში საბჭოთა ჯარებთან სამხედრო თანამშრომლობისათვის“⁵⁴. საკუთარი მოსაზრება სტალინმა დააკონკრეტა მოსკოვის კონფერენციაზე და ინგლისელებს შესთავაზა შეერთებოდნენ საბჭოთა ჯარებს უკრაინაში. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ლორდმა ბივერბრუკმა სავსებით მისაღებად მიიჩნია ინგლისის ჯარების გადასროლა სსრკ-ს ტერიტორიაზე, ოღონდ არა უკრაინაში, არამედ კავკასიაში. საბჭოთა მეთაურმა ამის საპასუხოდ ბივერბრუკს შეახსენა, რომ საომარი მოქმედებები უკრაინაში მიმდინარეობდა⁵⁵. ამ საუბრის შემდეგ საბჭოთა მთავრობას არ წამოუყენებია საკითხი მეორე ფრონტის გახსნის შესახებ არც მოსკოვის კონფერენციის მსვლელობისას და არც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. იდენის მოსკოვში ვიზიტის დროს⁵⁶. მოსკოვის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ოქტომბრის შუა რიცხვებში, ლორდმა ბივერბრუკმა, ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა. მისი აზრით, დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთზე განხორციელებულმა საჰაერო იერიშებმა ვერც საბჭოთა კავშირს გაუწია დახმარება და ვერც გერმანია დააზარალა. ამასთან ერთად ინგლისმა თავისი საუკეთესო მფრინავებიც კი დაკარგა⁵⁷. ის რომ, გერმანელებმა დასავლეთ ევროპიდან მოხსნეს თავიანთი საჯარისო ნაწილები და გარკვეული დროით სხვადასხვა საომარ ფრონტებზე შეტევითი ოპერაციები შეაჩერეს, ბივერბრუკის აზრით, სწორედ რუსების წინააღმდეგობის შედეგი იყო, რაც ყველა

ოკუპირებულ ქვეყანაში რევოლუციურ სიტუაციას ქმნიდა და ორი ათასი მილის სანაპიროს სიგრძეზე ჯარების დესანტირების საშუალებას იძლეოდა⁵⁸. აკრიტიკებდა რა თავისი ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას, ბივერბრუკი შენიშნავდა, რომ ბრიტანელი გენერლები კონტინენტს ინგლისის ჯარისათვის ჯერ კიდევ აკრძალულ ზონად მიიჩნევდნენ. თუმცა მათ ავიწყდებოდათ ის, რომ გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმა, ახალი შესაძლებლობების შექმნის გარდა, ინგლისს ახალი საფრთხის წინაშე აყენებდა, რაც ბივერბრუკის აზრით იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ინგლისელები დროულად არ აღმოუჩნდნენ დახმარებას საბჭოთა კავშირს, შესაძლებელი იყო ეს უკანასკნელი დამარცხებულიყო. ამ შემთხვევაში კი ჰიტლერს საშუალება მიეცემოდა მთელი თავისი ძალები ბრიტანელთა წინააღმდეგ მიემართა⁵⁹.

რასაკვირველია, ბივერბრუკის წერილმა ინგლისის მთავრობის სამხედრო სტრატეგიაზე ვერანაირი ზემოქმედება ვერ მოახდინა. იმ დროისათვის ინგლისის მთავრობის ინტერესებში არათუ არ შედიოდა, არამედ მათი შეხედულებით შეუძლებელიც კი იყო კონტინენტზე ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება⁶⁰. ბრიტანელები იმხანად აფრიკის საკითხით იყვნენ დაკავებული, რომელსაც ევროპაში, უფრო სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შესაჭრელ პლაცდარმად განიხილავდნენ. ჩერჩილი იმედოვნებდა, რომ ინგლისელები მოახერხებდნენ დასავლეთ უდაბნოში გენერალ ე. ფონ რომელის არმიის დამარცხებას. ყოველივე ეს კი, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა საფრანგეთიდან ტუნისის, ალჟირისა და მაროკოს გამოყოფას, შემდგომში კი – ვიშის მთავრობის ანტიფაშისტურ კოალიციაში გაერთიანებასაც. იმ შემთხვევაში თუ ინგლისელები ტრიპოლს დაიკავებდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის გარეშე, მაშინ მალტის დაკავება, -

ინგლისის პრემიერის შეხედულებით, ბრიტანელებს საშუალებას მისცემდა შეტევა სიცილიაზე მიეტანათ და ამით ევროპაში ერთადერთი შესაძლებელი „მეორე ფრონტი“ გაეხსნათ⁶¹. აღნიშნული ოპერაციების განხორციელებით, როგორც ამას მართებულად შენიშნავდა ამერიკელი ისტორიკოსი თ. ჰიგინსი შენიშნავდა ჩერჩილს სურდა არ დაეშვა მოწინააღმდეგის მხრიდან თავისი საყვარელი ზღვის სრული ჩაკეტვა⁶².

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია თავს დაესხა ამერიკის შეერთებულ შტატებს. პერლ-ჰარბორზე იაპონური ავიაციის მიერ მიტანილმა იერიშებმა აშშ-ს წყნარი ოკეანის საკრეისერო ფლოტის დიდი ნაწილი გაანადგურა. 8 დეკემბერს შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა იაპონიას, რითაც მეორე მსოფლიო ომის ახალი ეტაპი დაიწყო⁶³. ფორმალურად ნეიტრალური სახელმწიფო ერთ-ერთ მეომარ მხარედ იქცა. ყოველივე ამან კი მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული ძალთა ბალანსი ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ⁶⁴. აშშ-ს მხრიდან იაპონიისათვის ომის გამოცხადებისთანავე, თეთრი სახლის სტრატეგოსები რუზველტისაგან ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებას გერმანიისა და იტალიის მისამართითაც ითხოვდნენ, თუმცა პრეზიდენტმა მათი მოსაზრებები არ გაიზიარა. რუზველტმა მოცდა არჩია, სანამ ჰიტლერი და მუსოლინი თავად არ გამოუცხადებდნენ ომს აშშ-ს. რუზველტის ამგვარი მოქმედება იმით იყო განპირობებული, რომ პრეზიდენტი ეჭვის თვალთ უყურებდა კონგრესის მხრიდან ამ ქვეყნების მისამართით ომის გამოცხადების პერსპექტივას. კიდევ ერთი მიზეზი, რამაც რუზველტის პოზიცია განსაზღვრა ის იყო, რომ პრეზიდენტის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად იმ შემთხვევაში თუ იაპონია ომს დაიწყებდა აშშ-ს წინააღმდეგ, გერმანია დაუყოვნებლივ ომს გამოუცხადებდა შეერთებულ

შტატებს⁶⁵. ასეც მოხდა. 11 დეკემბერს გერმანიამ და იტალიამ ომი გამოუცხადეს შეერთებულ შტატებს. იმავე დღეს რუზველტმა თხოვნით მიმართა კონგრესს ამ ქვეყნებთან საომარი მდგომარეობის აღიარების შესახებ, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

პერლ-ჰარბორის შემდეგ აშშ-ს მმართველ წრეებში წამოიჭრა საკითხი თუ ვინ ჩაეთვალიათ №1 მტრად გერმანია თუ იაპონია?⁶⁶ პრეზიდენტ რუზველტისა და მისი გუნდისათვის უპირველეს ამოცანას გერმანიასთან გამარჯვება წარმოადგენდა, რათა შემდეგ შეერთებულ შტატებს მთელი თავისი ძალები იაპონიის წინააღმდეგ მიემართა. თუმცა აშშ-ს მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ არსებობდა სერიოზული ოპოზიცია, რომელიც ქვეყნისათვის №1 მტრად იაპონიას მიიჩნევდა. ამ პოზიციას განსაკუთრებით იცავდნენ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები ადმირალ ე. კინგის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პოზიცია გააჩნდა ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს ნაწილსაც⁶⁷. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მმართველ წრეებში „ანტიგერმანულ ძალებს“ გაცილებით ძლიერი პოზიციები გააჩნდათ, ვიდრე „ანტიიაპონურ ძალებს“, უნდა ითქვას რომ ეს უკანასკნელნი მაინც სერიოზულ პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენდნენ და რუზველტი იძულებული იყო მათთვის ანგარიში გაეწია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მხრიდან აშშ-სათვის ომის გამოცხადებამ პრეზიდენტ რუზველტს შედარებით თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა, რამაც არსებითად შეუწყო კიდევ ხელი ევროპასთან მიმართებაში მართებული სტრატეგიის შემუშავების პროცესს⁶⁸.

აშშ-ს ომში ჩართვამ ძირეულად შეცვალა ინგლისის ერთი შეხედვით უიმედო მდგომარეობა და დღის წესრიგში საომარი მოქმედებების ახალი სტრატეგიის განსაზღვრის საკითხი დააყენა.

1941 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დიდი ბრიტანეთის პრემიერმა უ. ჩერჩილმა ომის წარმოების შემდგომი გეგმების შესახებ მემორანდუმის სახით საკუთარი შეხედულებები ჩამოაყალიბა⁶⁹. აღნიშნული მემორანდუმი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ატლანტიკის ფრონტზე საომარ მოქმედებების საკითხს ეხებოდა, მეორე ნაწილი – წყნარი ოკეანისას, ხოლო მესამე კი – 1943 წლისათვის დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებს. მემორანდუმის პირველ ნაწილში ინგლისის პრემიერი დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავარ ამოცანად 1942 წლისათვის ჩრდილო დასავლეთ აფრიკაში საფრანგეთის მთელი სამფლობელოების ოკუპაციას და მათზე კონტროლის დაწესებას მიიჩნევდა. ასევე გათვალისწინებული იყო მთელი ჩრდილო აფრიკის სანაპიროს დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში მოქცევა, რაც ჩერჩილის შეხედულებით ხმელთაშუა ზღვიდან ლევანტისა და სუეცის არხის მიმართულებით თავისუფალ გასასვლელს შექმნიდა⁷⁰. ჩერჩილის ეს სტრატეგია კი ავალდებულებდა ამერიკელებს, ხმელთაშუა ზღვიდან გერმანელთა შეჭრის საფრთხის აღსაკვეთად უპირატესობა ინგლისელთა მიზნებისათვის და არა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის მიენიჭებინათ, რომლისათვის ეფექტური დახმარების აღმოჩენა მხოლოდ დასავლეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელებით იყო შესაძლებელი⁷¹. მემორანდუმის მეორე ნაწილი აშშ – დიდი ბრიტანეთის ზღვებზე გავლენის სფეროების აღდგენას შეეხებოდა. ამ მიზნის მისაღწევად და ძირითად სტრატეგიულ ამოცანად, ინგლისის პრემიერი წყნარ ოკეანეში 1942 წლის მაისისათვის ბრძოლისუნარიანი ფლოტის შექმნას მიიჩნევდა, რომელსაც მოწინააღმდეგის ფლოტთან შედარებით დიდი უპირატესობა ექნებოდა⁷². რაც შეეხება მემორანდუმის მესამე ნაწილს - მასში საუბარი იყო 1943 წლისათვის დაგეგმილ სამხედრო

კამპანიებზე. მემორანდუმის მიხედვით 1943 წლისათვის ევროპაში მოკავშირეთა შეჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი თუ: 1) 1942 წლის ოპერაციები ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის ფრონტებზე წარმატებული იქნებოდა. 2) ინგლისელები და ამერიკელები წყნარ ოკეანეში სრულ უპირატესობას მიაღწევდნენ და დაკარგულ ტერიტორიებს დაიბრუნებდნენ. 3) ბრიტანეთის კუნძულები, როგორც არასდროს ისე იქნებოდა დაცული მტრის შესაძლო შეჭრისაგან. 4) მთელი დასავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროები, დაკარიდან სუეცის არხამდე, აგრეთვე ლევანტის სანაპიროები თურქეთის საზღვრამდე ინგლის – ამერიკის ხელში გადავიდოდა 5) სსრკ-ს მდგომარეობა კიდევ უფრო მტკიცე იქნებოდა 6) ინგლის – ამერიკა მყარად მოიკიდებდნენ ფეხს სიცილიასა და იტალიაში⁷³. თუმცა ჩერჩილის აზრით, ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ომის დამთავრებას. ომი ევროპაში გერმანიის ჯარების განადგურებით ან თვით გერმანიის საშინაო კრახით შეიძლებოდა დასრულებულიყო. სწორედ ამისათვის, შენიშნავდა ინგლისის პრემიერი, მოკავშირეები უნდა მომზადებულიყვნენ გერმანელების მიერ დაპყრობილი დასავლეთ და სამხრეთ ევროპის განსათავისუფლებად – ხელსაყრელ პუნქტებში ჯარების გადასხმისათვის, რომლებიც შეიძლებდნენ დამონებულ ხალხებს აჯანყების ორგანიზებაში დახმარებოდნენ. იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეთა ჯარები რამდენიმე ქვეყანაში თანამიმდევრულად ან ერთდროულად გადასხდნებოდნენ, მაგალითად – ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლანდიაში და ბელგიაში, საფრანგეთის ლა-მანშისა და ატლანტიკის სანაპიროებზე, ასევე იტალიასა და ბალკანეთში, გერმანული გარნიზონები, ჩერჩილის აზრით ასეთი სიძლიერის განმანათავისუფლებელ მოძრაობასა და აჯანყებული ხალხის რისხვას ვეღარ გაუმკლავდებოდნენ⁷⁴. აღნიშნულ სადესანტო ოპერაციაში,

ინგლისის პრემიერის ცნობით, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჯავშანსატანკო და მექანიზირებულ შენაერთებს, რომლებიც გადასხდნებოდნენ არა პორტებში, არამედ ნაპირზე – სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილი სადესანტო ბარჯებიდან ან საოკეანო გემებიდან. ოპერაციის წარმატებით ჩატარებისათვის აუცილებელი იყო ზღვასა და ჰაერში უპირატესობის მოპოვება, ასევე საჭირო იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლის - ამერიკას გერმანიის ტერიტორიის ინტენსიური დაბომბვა გაეგრძელებინათ. ოპერაციაში მონაწილეობა დაახლოებით მილიონ 600 ათას კაცს უნდა მიეღო – მათ შორის 40 ჯავშანსატანკო დივიზიას⁷⁵.

ჩერჩილის აღნიშნულ მემორანდუმში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები საომარი კამპანიების განხორციელების გეგმებისა და ამოცანების შესახებ, საფუძვლად დაედო აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს. აღნიშნული კონფერენცია კოდური დასახელებით „არკადია“ 1941 წლის 22 დეკემბრიდან 1942 წლის 14 იანვრამდე მიმდინარეობდა. მასში ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ აშშ-ს მხრიდან: პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ჰ. ჰოპკინსი, არმიის შტაბის უფროსი ჯ. მარშალი, თავდაცვის მინისტრი ჰ. სტიმსონი და საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსი ადმირალი ჰ. სტარკი, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხრიდან: ლორდი ბივერბრუკი, იმპერიული შტაბის უფროსი ა. ბრუკი და მისი მოადგილე ჯ. დილი. ვაშინგტონის კონფერენციის ძირითადი ამოცანა ინგლის-ამერიკის საომარ მოქმედებათა ერთობლივი სტრატეგიული გეგმის შემუშავება იყო. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რომელიც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისათვის წყნარი ოკეანის აუზში შეიქმნა, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა რეალისტურად შეაფასეს არსებული ვითარება და საომარ

მოქმედებათა ეს თეატრი ევროპულთან შედარებით, მეორეხარისხოვნად მიიჩნის. ჩერჩილის აზრით, გერმანია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა მათი ქვეყნებისათვის და სწორედ ამიტომ პირველ რიგში ის უნდა გაენადგურებინათ, ხოლო იაპონიის წინააღმდეგ საჭირო იყო მოკავშირეებს შემაკავებელი მოქმედებებისათვის მიემართათ. ყოველივე ეს აშშ-ს პრეზიდენტისათვისაც კარგად იყო ცნობილი. რუზველტის შეხედულებით, იაპონიის განადგურების შემთხვევაში ადვილი შესაძლებელი იყო მოკავშირეებს საბოლოოდ ომში დამარცხებაც კი განეცადათ, მაგრამ დაუჯერებელი იქნებოდა – გერმანიის დამარცხების შემდეგ მათ ვერ მოეხერხებინათ იაპონიის განადგურება⁷⁶. ამასთანავე, როგორც დიდი ბრიტანეთის პრემიერს ასევე შეერთებული შტატების პრეზიდენტს კარგად ესმოდათ თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებისათვის გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე შექმნილ მდგომარეობასა და ამ უკანასკნელისათვის დახმარების გაწევის საკითხს. დიდი ბრიტანეთის პრემიერი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ საბჭოთა მხარისათვის დაპირებული მასალების დროული მიწოდებით შესაძლებელი იყო სტალინზე ზეგავლენის შენარჩუნება და საერთო ომში სსრკ-ს წინააღმდეგობის გამოყენებაც⁷⁷. რაც შეეხება პრეზიდენტ რუზველტს, მისი აზრით, ყველანაირი პროგრამა, რომელიც საბჭოეთის დახმარებას ითვალისწინებდა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო მათი ინტერესებისათვის. სწორედ, ამით აიხსნებოდა რუზველტის მიერ 28 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარების მიწოდების განახლების შესახებ, რომელიც იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ იქნა შეჩერებულიც⁷⁸. ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც დიდი

ბრიტანეთის პრემიერმა ვაშინგტონში პრეზიდენტ რუზველტის წინაშე დააყენა ჩრდილოეთ ირლანდიაში სამი-ოთხი ამერიკული დივიზიის გაგზავნას შეეხებოდა. ჩერჩილი მიიჩნევდა, რომ ოლსტერში 60-70 ათასი ამერიკელი ჯარისკაცის ყოფნა ევროპაში მიმდინარე სამომარ მოქმედებებში აშშ-ის უშუალო მონაწილეობის დასტური იქნებოდა. ამასთან, ჩერჩილის აზრით ყოველი ამერიკული დივიზიის ბრიტანეთში გადასხმა, ინგლისს საშუალებას მისცემდა შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში საკუთარი გაწვრთნილი დივიზიები გაეგზავნა. დიდი ბრიტანეთის პრემიერის შეხედულებით, ყოველ ასეთ სტრატეგიულ გადაადგილებას შეეძლო გერმანელთა ჯარები დასავლეთში დაეკავებინა, რაც თავის მხრივ, სსრკ-ს ერთგვარ სარგებლობას მოუტანდა⁷⁹. აშშ-ში ყოფნის პერიოდში ჩერჩილმა კიდევ ერთი მემორანდუმი მოამზადა, რომელიც სამხედრო კაბინეტის თავდაცვისა და შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტებისათვის იყო განკუთვნილი. მემორანდუმი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა, თავისი წინამორბედისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ის შემუშავებულ იქნა ვაშინგტონის კონფერენციის მსვლელობის პროცესში აშშ-ს პრეზიდენტთან დაახლოებულ შექმნილი ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბების წევრებთან კონსულტაციის შედეგად⁸⁰. მემორანდუმის პირველ ნაწილში საუბარი იყო ამერიკული ჯარების ჩრდილოეთ ირლანდიაში გადასხმის შესახებ (ოპერაცია „მეგნიტი“). ჩერჩილის აზრით, ოთხი ამერიკული დივიზიის გადასროლა განსაკუთრებული აუცილებლობის სამხედრო ღონისძიება იყო, რომელიც მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა განხორციელებულიყო. რაც შეეხებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლის-ამერიკის მონაწილეობით ჩასატარებელ ოპერაცია „ჯიმნასტს“, ეს სამხედრო ღონისძიება ინგლისის პრემიერის შეხედულებით ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვდა. მემორანდუმის

ამავე ნაწილში ჩერხილი ყურადღებას უთმობდა გემების მშენებლობისა და შეიარაღების წარმოების ზრდის ტემპებს, რომელსაც სათანადო დონისათვის 1943 წლისათვის უნდა მიეღწია. მემორანდუმის პირველ ნაწილში საუბარი იყო აგრეთვე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შესახებ. მათ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოსაზრებით, შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ 1942 წლისათვის დაგეგმილ ყველა ფართომასშტაბიან ოპერაციებში, გერმანიის ტერიტორიების დაბომბვების ჩათვლით. მემორანდუმის მეორე ნაწილი იაპონიასთან ომს ეხებოდა. ინგლისის პრემიერი შენიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა გერმანიასთან ომი პირველხარისხოვნად იყო მიჩნეული, მართებული არ იქნებოდა თუ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში ინგლისელები და ამერიკელები მხოლოდ თავდაცვით ტაქტიკას აირჩევდნენ. ჩერხილის აზრით, მანამდე სანამ აშშ სრულ უპირატესობას არ მოიპოვებოდა ზღვაზე, უპერსპექტივო იყო იაპონელთა წინააღმდეგ შეტევითი ოპერაციების განხორციელება. ინგლისის პრემიერის ვარაუდით, აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალები მხოლოდ 1942 წლის ზაფხულისათვის თუ შეძლებდნენ იაპონელთა მიერ დაკავებულ კუნძულებზე ორგანიზებული რეიდების ჩატარებას⁸¹.

1942 წლის 12 იანვარს პრეზიდენტ რუზველტის მიერ მოწვეულ თათბირზე შეჯერებულ იქნა ჩერხილისა და ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბების წარმომადგენელთა შეხედულებები საერთო პრინციპებისა და საომარ მოქმედებათა ამოცანების შესახებ. სხდომაზე საკითხთა განხილვისას მხარეებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს. ინგლისის პრემიერის მიერ წარმოდგენილმა გეგმამ, რომელიც მოკავშირეთა 1942 წლის მარტში ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრას შეეხებოდა, აშშ-ს პრეზიდენტის ყურადღება მიიქცია⁸². ჩერხილის ცნობით რუზველტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ინგლის-

ამერიკის საექსპედიციო ჯარების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის ოპერაციას. კონფერენციაზე ამის შესახებ სპეციალური გრაფიკიც კი იქნა შემუშავებული, რომელიც 90 ათასი ამერიკელისა და ამდენივე ინგლისელი ჯარისკაცის, ასევე მნიშვნელოვანი საავიაციო ძალების ჩრდილოეთ აფრიკაში გაგზავნას ითვალისწინებდა⁸³. რაც შეეხება ევროპის ტერიტორიაზე განსახორციელებელ სამხედრო ოპერაციებს ინგლისელებს 1942 წლისათვის ასეთი რამ დაგეგმილი არ ჰქონდათ, თუმცა ისინი საბჭოთა კავშირის დამარცხების საფრთხის შემთხვევაში ლა-მანშის მცირე ძალებით გადალახვას არ გამორიცხავდნენ. უშუალოდ ევროპის კონტინენტზე შეჭრა კი 1943 წლამდე არარეალურად იქნა მიჩნეული⁸⁴.

ვაშინგტონის კონფერენციის მსვლელობისას რუზველტმა და ჩერჩილმა საბჭოთა მხარესთან კონსულტაციის შემდეგ მოამზადეს პროექტი იმ სახელმწიფოთა დეკლარაციის შესახებ, რომლებიც ფაშისტური ბლოკის ქვეყნებთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1942 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ე. წ. „გაერთიანებული ერების დეკლარაციას“. მასზე ხელისმომწერი სახელმწიფოები ვაღიარებულებას იღებდნენ, რომ გამოიყენებდნენ მთელ თავიანთ სამხედრო და ეკონომიკურ რესურსებს სამმხრივი პაქტის იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებთანაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამასთან ერთად ისინი პირობას დებდნენ ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ და უარს აცხადებდნენ მტრებთან სეპარატული მოლაპარაკების წარმოებაზე⁸⁵. აღნიშნულ დეკლარაციას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოკავშირეთა შორის ურთიერთობის განმტკიცებასა და ანტიჰიტლერული კოალიციის საბოლოო ფორმირებისათვის.

ვაშინგტონის კონფერენციამ მუშაობა 1942 წლის 14 იანვარს დაასრულა. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციაზე მოკავშირეებმა საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს, სამიტის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მაინც გერმანიის მთავარ მოწინააღმდეგედ გამოცხადება იყო. ასევე აღნიშვნის ღირსია ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბის შექმნა, რასაც მაღალ შეფასებას თავად პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი აძლევდა⁸⁶. შეიძლება ითქვას, რომ ვაშინგტონის კონფერენციაზე მოკავშირეთა მიერ კონკრეტული სამხედრო საკითხების განხილვას რაიმე პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. მართალია კონფერენციის მსვლელობისას ამერიკელებმა თითქმის მთლიანად გაიზიარეს ჩერჩილისეული ომის წარმოების ბრიტანული სტრატეგია, თუმცა ძირითადად ევროპაში განსახორციელებელი ოპერაციების გეგმები იმდენად ზოგადი და ბუნდოვანი იყო, რომ მათი შემუშავება და დამტკიცება მომავლისათვის იქნა გადადებული⁸⁷.

თავი II. 1942 წელი: მოკავშირეთა დიპლომატიური ძალისხმევა ანტიჰიტლერული კოალიციის გასამყარებლად

ვაშინგტონის კონფერენციის დასრულების შემდეგ, რომელსაც ევროპაში განსახორციელებელ სამხედრო ოპერაციათა შესახებ თითქმის არავითარი კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია, ნათლად გამოჩნდა, რომ მეორე ფრონტის გახსნის საკითხთან დაკავშირებით საჭირო იყო საბჭოთა მხარეს აშშ-ს მთავრობასთან ურთიერთობებში დიპლომატიური აქტიურობისათვის მიემართა¹. 1942 წლის 20 იანვარს საბჭოთა ელჩმა ვაშინგტონში მ. ლიტვინოვმა წერილით მიმართა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელშიც იუწყებოდა, იმის მიუხედავად რომ ისინი (საბჭოთა კავშირი) ახერხებდნენ მთელი ფრონტის ხაზზე მოწინააღმდეგის შეტევების შეჩერებას, გერმანელების მხრიდან მაინც მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. არსებული ცნობების მონაცემებით – აგრძელებდა საბჭოთა დიპლომატი, გერმანელები ოკუპირებულ ქვეყნებში თავს უყრიდნენ უკანასკნელ რეზერვებს სსრკ-ს ფრონტზე გადასასროლად. მხედველობაში იღებდა რა ფრონტზე არსებულ ამგვარ მძიმე მდგომარეობას, ლიტვინოვი შეკითხვით მიმართავდა თავისი ქვეყნის საგარეო უწყებას ხომ არ იყო საჭირო მათ მოკავშირეების წინაშე პირდაპირ დაეყენებინათ ევროპის ტერიტორიაზე მეორე ფრონტის გახსნის საკითხი². როგორც ჩანს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატისთვის ერთი შეხედვით მოულოდნელიც კი აღმოჩნდა ლიტვინოვის ასეთი „აქტიურობა“. მთელი ათი დღის განმავლობაში ელჩის წერილი უპასუხოდ იყო დატოვებული³. 31 იანვარს ლიტვინოვმა ხელმეორედ მიმართა თავისი ქვეყნის საგარეო უწყებას. იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირს სურდა ინგლისიდან და აშშ-დან დახმარების

მიღება, აღნიშნული იყო წერილში მათ ამის შესახებ ახლავე უნდა განეცხადებინათ. ლიტვინოვის შეხედულებით, საბჭოთა კავშირს მოკავშირეებისათვის ან კონტინენტზე დესანტის გადასხმა, ან თვითმფრინავებისა და ტანკების ის რაოდენობა უნდა მოეთხოვა, რაც გერმანიასთან არსებულ სამხედრო დისბალანსს აღმოფხვრიდა⁴. საპასუხო წერილი საბჭოთა დიპლომატმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისაგან 4 თებერვალს მიიღო. ვ. მოლოტოვი წერილში კერძოდ აღნიშნავდა, რომ ისინი მიესალმებოდნენ მოკავშირეების მხრიდან მეორე ფრონტის გახსნას, თუმცა არ სურდათ აღნიშნულ წინადადებაზე სამი უარის შემდეგ მეოთხედაც უარყოფითი პასუხი მიეღოთ. ამიტომ სსრკ საგარეო უწყების კომისრის აზრით, მათ არ უნდა დაესვათ რუხველტთან მეორე ფრონტის გახსნის საკითხი მანამ, სანამდე მოკავშირეები თავად არ დააყენებდნენ მას მათ წინაშე⁵. მოლოტოვისაგან ამგვარი პასუხის მიღების შემდეგ ლიტვინოვმა გადაწყვიტა თავად გასაუბრებოდა აშშ-ს პრეზიდენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მისი მოსაზრება გაეგო. 1942 წლის 13 თებერვალს რუხველტთან შეხვედრის დროს ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ მოვლენათა შესაძლო განვითარება მალე მათ (მოკავშირეებს) არჩევანის საშუალებას არ დაუტოვებდა და ამიტომ საჭირო იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღება⁶. სინგაპურისა და ჰოლანდიის ინდოეთის (დღევანდელი ინდონეზია) დაკარგვის შემდეგ, ავსტრალიის შენარჩუნების შემთხვევაშიც, - შენიშნავდა ლიტვინოვი, წყნარ ოკეანეში იაპონიაზე თავდასასხმელად არანაირი ბაზები არ დარჩებოდა და ეს ფრონტი დიდი ხნის განმავლობაში პასიური იქნებოდა. ხოლო აქტიური მოქმედებისათვის მისი აზრით ერთადერთ ფრონტად ევროპული კონტინენტალური ფრონტი რჩებოდა. ამერიკა და ინგლისი, აგრძელებდა ლიტვინოვი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ

იაპონიამდე მიღწევას, თუ მანამდე ჰიტლერს გაანადგურებდნენ. პრეზიდენტი რუზველტი დაეთანხმა ლიტვინოვს, თუმცა მან მეორე ფრონტად საბჭოთა ელჩისაგან განსხვავებით ჩრდილო აფრიკული მიიჩნია. რუზველტის შეხედულებით გერმანული და იტალიური ძალების განადგურების შედეგად ხმელთაშუა ზღვაზე შეიძლებოდა სრული კონტროლის დამყარება და შემდეგ იუგოსლავიასა და სხვა ადგილებზე ჯარების გადასხმის ორგანიზება. დასავლეთ ევროპაში ჯარების გადასხმა პრეზიდენტის აზრით ძალიან რთული განსახორციელებელი იყო. რუზველტი შენიშნავდა, რომ თვით გადასხმა იოლი იყო, მაგრამ შემდეგ მაშველი ძალების გადასროლა კი – ძნელი⁷. საინტერესოა ის, რომ იმ დროისათვის ვაშინგტონში აქტიურად განიხილებოდა ევროპაში საომარი მოქმედებებისათვის საკუთარი სტრატეგიის შემუშავების საკითხი. როგორც ჩანს ამერიკელები კარგად ხვდებოდნენ იმას, რომ იმ შემთხვევაში თუ 1942 წელს საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა მაშინ ინგლის – ამერიკის ჯარებს ევროპაში სისხლისმღვრელი ბრძოლები მოუწევდათ. სწორედ ამიტომ 1942 წლის იანვარ-თებერვალში ამერიკის გენერალიტეტი მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სასწრაფოდ საჭირო იყო დიდ ბრიტანეთთან ერთად საჰაერო შეტევების დაწყება დასავლეთ ევროპაში, რასაც მალე სახმელეთო შეტევები უნდა მოჰყოლოდა. ამ სამუშაოს შესრულება გენერალ დ. ეიზენჰაუერს დაევალა, რომელიც 1942 წლის 16 თებერვალს აშშ-ს არმიის შტაბის სამხედრო დაგეგმვის სამმართველოს ხელმძღვანელად დაინიშნა⁸. თებერვლის ბოლოს ეიზენჰაუერმა გენერალ მარშალს წარუდგინა მოხსენება, რომელიც ამერიკის სამხედრო პოლიტიკის წარმოების საკითხებს შეეხებოდა. ეიზენჰაუერი თვლიდა, რომ აშშ-სა და ინგლისის შეიარაღებული ძალების წინაშე შემდეგი უმთავრესი ამოცანები იდგა: 1) მხარი

დაეჭირათ შეერთებული სამეფოსათვის და ამასთან ერთად დაეცვათ ჩრდილო ატლანტიკის საზღვაო კომუნიკაციების უსაფრთხოება 2) შეენარჩუნებინათ საბჭოთა კავშირი ომში გერმანიის აქტიური მოწინააღმდეგის სახით 3) შეენარჩუნებინათ ინდოეთ-შუა აღმოსავლეთის რაიონში ის პოზიციები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მოკავშირეებს არ დაეშვათ მათი მთავარი მოწინააღმდეგე ძალების შეერთება⁹. თავის მოხსენებაში ეიზენჰაუერი ამ დასახული ამოცანების შესრულებას ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩატარებით ვარაუდობდა და ამასთანავე აღნიშნული ღონისძიებების საჩქაროდ დაგეგმვის საკითხს აყენებდა¹⁰. ეიზენჰაუერის შეხედულებებს მხარი დაუჭირეს 6 მარტს გამართულ აშშ-ს სტრატეგიული მართვის კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე. კომისიამ ხაზი გაუსვა მიმდინარე წლისათვის საბჭოთა კავშირისათვის რეალური დახმარების აღმოჩენის საკითხს და მიუთითა, რომ ყოველივე ეს 1942 წლისათვის ინგლისიდან ევროპაში დამხმარე შეტევის განხორციელებაში უნდა ასახულიყო. კომისია აღნიშნული ოპერაციის ჩატარებას 15 ივლისიდან 1 აგვისტომდე იმ ძალების მეშვეობით ვარაუდობდა, რომლებიც იმ დროისათვის მზადყოფნაში იქნებოდნენ¹¹. 1942 წლისათვის ევროპაში შეჭრის იდეით თავად პრეზიდენტი რუზველტიც დაინტერესდა. 1942 წლის 9 მარტს რუზველტმა აცნობა ინგლისის პრემიერს 1942 წ. ზაფხულისათვის ევროპის კონტინენტზე ახალი ფრონტის შექმნის გეგმების შესახებ¹². რამდენიმე დღის შემდეგ აშშ – ის პრეზიდენტმა საბჭოთა ელჩთან მ. ლიტვინოვთან საუბარში განაცხადა, რომ ის ზეწოლას მოახდენდა ინგლისელებზე, რათა ისინი მეორე ფრონტის გახსნაზე დაეთანხმებინა. რუზველტის აზრით, იმ შემთხვევაში თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ გერმანიიდან თვითმფრინავების მოხსნის მიზნით, კონტინენტის გაძლიერებული დაბომბვა უნდა

განხორციელებულიყო. საუბარში რუზველტი აგრეთვე შეეხო ამერიკული ჯარის ინგლისში გაგზავნის საკითხს. პრეზიდენტმა განუცხადა საბჭოთა ელჩს, რომ ტონაჟის არასაკმარისი რაოდენობის გამო მათ არ შეეძლოთ 300 ათასზე მეტი ადამიანის ტრანსპორტირება წელიწადში, ხოლო ინგლისელებს – ახლო და შუა აღმოსავლეთში თვეში 30-40 ათასზე მეტი ჯარისკაცის გაგზავნა, რაც მისი შეხედულებით არასაკმარისი იყო¹³. მარტის დასაწყისში აშშ-ს არმიის შტაბის ხელმძღვანელობა შეუდგა გენერალური გეგმის მზადებას, რომელიც ევროპაში ჩასატარებელ სამხედრო ღონისძიებებს შეეხებოდა. განიხილებოდა ნორვეგიიდან, ესპანეთიდან, ხმელთაშუაზღვის რაიონიდან და საფრანგეთიდან გერმანიაზე შეტევის შესაძლებლობები. საბოლოოდ 16 მარტს აშშ-ს არმიის შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამერიკისათვის მიზანშეწონილი იყო ბრიტანეთის კუნძულებზე თავიანთი საჯარისო ნაწილების თავმოყრა დაეწყოთ¹⁴. 25 მარტს ეიზენჰაუერმა მარშალს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც საუბარი იყო დასავლეთ ევროპიდან გერმანიაზე შეტევის განხორციელების შესახებ¹⁵. იმავე დღეს პრეზიდენტმა რუზველტმა თათბირზე მოიწონა აღნიშნული მემორანდუმი და გენერალ მარშალს ევროპაში შეჭრის გეგმის შემუშავება დაავალა. აპრილის დასაწყისში ამგვარი გეგმა „მარშალის მემორანდუმის“ სახელწოდებით რუზველტს წარუდგინა. მემორანდუმი განხილულ იქნა პრეზიდენტისა და აშშ-ს არმიის შტაბების ხელმძღვანელთა ჯ. მარშალის, ჰ. არნოლდისა და ე. კინგის მონაწილეობით. მათ დაარწმუნეს რუზველტი, რომ საფრანგეთში დესანტის გადასხმის ოპერაციას, სხვა საომარ ოპერაციებთან შედარებით მეტი უპირატესობა გააჩნდა. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით ოპერაციაში მონაწილეობა 30 ამერიკულ და 18 ბრიტანულ დივიზიას უნდა მიეღო, რომელთა

ევროპის კონტინენტზე შეჭრა 1943 წლის გაზაფხულისათვის იყო გათვალისწინებული (ოპერაციის კოდური სახელწოდება „რაუნდაპი“). ამასთან ერთად დაგეგმილი იყო 1942 წლის შემოდგომისათვის დამხმარე ოპერაციის განხორციელება (ოპერაციის კოდური სახელწოდება „სლეჯჰამერი“), იმ შემთხვევაში იქნებოდა აუცილებელი, თუ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდებოდა. ე. ი. შეიქმნებოდა საბჭოთა კავშირის დამარცხების რეალური საფრთხე, ან გერმანიის დასუსტების სერიოზული ნიშნები გამოვლინდებოდა¹⁶. აღნიშნული გეგმა პრეზიდენტმა რუზველტმა მოიწონა და ლონდონში გაგზავნა მარშალი და ჰოპკინსი მიღებული გადაწყვეტილებების ინგლისელებთან შესათანხმებლად¹⁷. საინტერესოა რითი იყო განპირობებული პრეზიდენტ რუზველტის ასეთი ტრანსფორმაცია? ჯერ კიდევ თებერვალში ლიტვინოვთან საუბარში ის ხომ ერთადერთ მეორე ფრონტად ჩრდილო აფრიკულს მიიჩნევდა?! რ. შერვუდის აზრით ამ გეგმისადმი პრეზიდენტის დაინტერესება იმით იყო გამოწვეული, რომ რუზველტი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა გეგმის პოლიტიკურ მხარეს რუსეთთან მიმართებაში, რაც ამ უკანასკნელთან სამოკავშირეო ურთიერთობის სურვილით აიხსნებოდა¹⁸. არსებობდა კიდევ ერთი მიზეზი, რამაც გარკვეულწილად პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე იმოქმედა. თ. ჰიგინსის შეხედულებით რუზველტი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ გერმანია ვეღარ გაუძლებდა ომს კიდევ ერთი წლის განმავლობაში¹⁹. აქედან გასაგები ხდება ჰიგინსის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ დაუჭირა მხარი რუზველტმა ევროპაში შეჭრის ოპერაციას. მას ალბათ სჯეროდა, რომ 1942 წლის შემოდგომაზე დამხმარე ოპერაცია „სლეჯჰამერის“ ჩატარების შემდეგ, 1943 წლისათვის დაგეგმილი ოპერაცია „რაუნდაპის“ განხორციელება საჭირო აღარ იქნებოდა.

1942 წლის 8 აპრილს ჰ. ჰოპკინსი და ჯ. მარშალი ლონდონში ჩავიდნენ, სადაც ერთი კვირის განმავლობაში მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თავიანთ ბრიტანელ კოლეგებთან, საომარ მოქმედებათა ერთობლივი ინგლისურ – ამერიკული გეგმის შესამუშავებლად²⁰. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე რუზველტმა წერილით მიმართა ინგლისის პრემიერს, რომელშიც იუწყებოდა, რომ როგორც ბრიტანელები ისე ამერიკელები სსრკ-ზე ზეწოლის შესამსუბუქებლად მეორე ფრონტის შექმნას მოითხოვდნენ. აშშ-ს პრეზიდენტი წერილში ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საბჭოელები ანადგურებდნენ იმაზე მეტ გერმანელს და მათ შეიარაღებას, ვიდრე ერთად აღებული აშშ და დიდი ბრიტანეთი²¹. რუზველტი, როგორც ჩანს, კარგად აცნობიერებდა იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. მოლაპარაკების მსვლელობისას, იმ დროისათვის არსებული უკიდურესად მძიმე სიტუაციის ფონზე, რაც წყნარი ოკეანის აუზში შექმნილი მდგომარეობით იყო გამოწვეული, ამერიკელებმა საბოლოოდ მაინც მიაღწიეს ბრიტანელთა თანხმობას ევროპაში დაგეგმილ სამხედრო ოპერაციათა განხორციელების თაობაზე²². ინგლისელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი 1943 წლისათვის დასავლეთ ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარების მონაწილეობით დაგეგმილ ფართომასშტაბიან ოპერაციას. თუმცა ისინი თავდაპირველად ერთგვარი სიფრთხილით მოეკიდნენ ოპერაცია „სლექჰამერს“, რომლის განხორციელება 1942 წლისათვის იყო ნავარაუდები. ბრიტანელებს ამგვარი ოპერაციის ჩატარება ნაადრევად მიაჩნდათ. რადგანაც აღნიშნული ოპერაცია ძირითადად მათი ძალებით უნდა განხორციელებულიყო ისინი თავს იკავებდნენ რაიმე კონკრეტული ვალდებულების აღებისაგან და სერიოზულად არც კი

განიხილავდნენ 1942 წლისათვის დაგეგმილ ევროპაში შეჭრის ოპერაციას. თანაც ამერიკელებს სურდათ „სლექსპამერის“ შესრულებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ინგლისელებისათვის დაეკისრებინათ²³. თუმცა იმის შიშით, რომ ამერიკელებს თავიანთი ყურადღება წყნარი ოკეანის აუზში არ გადაეტანათ ჩერჩილმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამერიკელთა გეგმაზე სიტყვიერი თანხმობა განეცხადებინა. ინგლისის პრემიერი იძულებული იყო დიპლომატიურად ემოქმედა, რათა არ გაენაწყენებინა თავისი მოკავშირე – შეერთებული შტატები, რომლის დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო დიდი ბრიტანეთისათვის²⁴. 14 აპრილს გამართულ სხდომაზე, რომელსაც ინგლის-ამერიკის ერთობლივი საომარი მოქმედებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ჩერჩილმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ამერიკელთა გეგმას და განაცხადა, რომ ის მთლიანად პასუხობდა ომის წარმოების კლასიკურ პრინციპებს. აქ ინგლისის პრემიერს მხედველობაში ჰქონდა მთავარი მტრის წინააღმდეგ ძირითადი ძალების კონცენტრაცია, რისი მიღწევაც ამერიკელთა მხრიდან ევროპული საომარ მოქმედებათა თეატრის პირველხარისხოვნად აღიარების შედეგად იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ თავად ინგლისის პრემიერი სრულად ეთანხმებოდა ამერიკელთა გეგმას ევროპაში ფართომასშტაბიანი შეჭრის თაობაზე, რომელიც 1943 წლისათვის უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ის კრიტიკულად იყო განწყობილი 1942 წლისათვის დაგეგმილი ოპერაციის მიმართ. გენერალ ჯ. მარშალის წინადადება ბრესტისა და შერბურის დაკავებისა და იქ პლაცდარმების შექმნის შესახებ ჩერჩილს მეტად რთულ და ნაკლებად მიმზიდველ ღონისძიებად მიაჩნდა²⁵. ინგლისის პრემიერი უპირატესობას უფრო საფრანგეთის ჩრდილო აფრიკასა და ჩრდილოეთ ნორვეგიაში განსახორციელებელ ოპერაციებს „ტორჩსა“

და „იუპიტერს“ ანიჭებდა²⁶. თუმცა ჩერხილი მზადყოფნას გამოთქვამდა ოპერაციათა დამგეგმავ კომიტეტებისათვის „სლეჯჰამერის“ შესწავლის საშუალება მიეცა. ინგლისის პრემიერი დარწმუნებული იყო იმაში, რომ რამდენადაც ჩაუღმავრდნებოდნენ სამხედრო უწყებები აღნიშნული ოპერაციის დეტალებს, საბოლოოდ მით უფრო ნაკლებ მოწონებას დაიმსახურებდა ის²⁷.

ლონდონში მოლაპარაკებები ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როდესაც 1942 წლის 12 აპრილს აშშ-ს პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის მეთაურს აცნობა მნიშვნელოვანი სამხედრო წინადადებების შესახებ, რომლის განხორციელების შემთხვევაში ფრონტზე შექმნილი საბჭოთა ჯარების კრიტიკული მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა. რუზველტმა შესთავაზა სტალინს ვაშინგტონში გამოეგზავნა ვ. მოლოტოვი და ნდობით აღჭურვილი გენერალი აღნიშნული საკითხის განსახილველად²⁸. გაეცნო რა რუზველტის ამ წინადადებას სტალინმა თავის ელჩს ვაშინგტონში ვ. ლიტვინოვს დაავალა თუ რა კონკრეტული საკითხების განხილვა სურდა აშშ-ს პრეზიდენტს საბჭოთა წარმომადგენლებთან²⁹. 14 აპრილს რუზველტმა განუცხადა საბჭოთა ელჩს, რომ ის თავის მრჩევლებთან ერთად მივიდა იმ აზრამდე, რომ აუცილებელი იყო საფრანგეთში დესანტის გადასხმა და ახალი ფრონტის შექმნა გერმანიის წინააღმდეგ. მისი თქმით ეს გეგმას ჯერ კიდევ არ იყო მოწონებული ინგლისელების მიერ და სწორედ ამიტომ აშშ-ს პრეზიდენტს ამ საკითხის გადასაწყვეტად სურდა საბჭოთა მთავრობის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა³⁰.

1942 წლის 20 აპრილს სტალინმა თავის საპასუხო წერილში რუზველტს აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ვაშინგტონში გაეგზავნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი „უახლოეს ხანში ევროპაში მეორე ფრონტის

ორგანიზების საკითხის” განსახილველად. ამავე წერილში საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე იტყობინებოდა, რომ მოლოტოვი ასევე ეწვეოდა ლონდონს ინგლისის მთავრობის პოზიციის გასაცნობად³¹.

საბჭოთა მეთაურის წერილი მ. ლიტვინოვმა რუზველტს 21 აპრილს გადასცა. მასთან შეხვედრისას აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ინგლისელები ცდილობდნენ მიეღწიათ მეორე ფრონტის გახსნის 1943 წლამდე გადადებისათვის, მაგრამ ამერიკელები ამის წინააღმდეგი იყვნენ და ბრიტანელებისაგან მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნას მოითხოვდნენ. რუზველტმა ლიტვინოვთან საუბარში სურვილი გამოთქვა, რომ ვაშინგტონის შეხვედრის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლები ლონდონს გამგზავრებულიყვნენ, რათა როგორც თავიანთი ასევე მისი სახელით ორმაგი ზეწოლა მოეხდინათ დიდი ბრიტანეთის მთავრობაზე 1942 წლისათვის დასავლეთ ევროპაში შეჭრის გადაწყვეტილების მისაღებად³².

1942 წლის 20 მაისს ლონდონში ჩავიდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი და სამხედრო წარმომადგენლები. მოლაპარაკების დროს საბჭოთა მხარემ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინაშე ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი დააყენა. ინგლისის პრემიერმა საბჭოთა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 1942 წლის შემოდგომისათვის დაგეგმილი ოპერაცია „სლექჰამერი“ ჯერ კიდევ შესწავლის სტადიაში იმყოფებოდა, რომლის წარმატებით განხორციელება, მოწინააღმდეგეზე ჰაერში დიდი უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. გარდა ამისა, მისი თქმით, მოკავშირეებს არ გააჩნდათ აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისათვის საჭირო სადესანტო საშუალებების საკმარისი რაოდენობა³³. პრემიერ მინისტრის ვარაუდით მხოლოდ 1943 წლისათვის გახდებოდა შესაძლებელი

ევროპის კონტინენტზე ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება, როდესაც ამ მიზნისათვის მოკავშირეების განკარგულებაში მილიონი ან მილიონ ნახევარი ჯარისკაცი იქნებოდა³⁴. ჩერჩილი მოლოტოვთან საუბრისას აგრეთვე შეეხო სსრკ-ს ფრონტიდან 40 გერმანული დივიზიის მოხსნის საკითხს. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში ბრიტანელების წინაშე მოწინააღმდეგის 44 დივიზია იდგა, მათ შორის - 36 გერმანული. ინგლისის პრემიერის თქმით ისინი ამით არ კმაყოფილდნებოდნენ და მზად იყვნენ ყველა შესაძლო ზომა მიეღოთ საბჭოთა კავშირის მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად. თუმცა ჩერჩილის შეხედულებით ჩრდილო საფრანგეთში შეჭრის ოპერაციის ნაჩქარევად განხორციელება მარცხით დასრულებულიყო და ვერც მოკავშირეებისათვის და ვერც საბჭოთა კავშირისათვის მოეტანა სარგებლობა³⁵. საბოლოოდ მოლაპარაკების მსვლელობისას მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხის განხილვას ვ. მოლოტოვის ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ განაგრძობდნენ³⁶. მანამდე კი, საბჭოთა დიპლომატის აშშ-ში გამგზავრებამდე 1942 წლის 26 მაისს ლონდონში ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრკ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის³⁷. ხელშეკრულების თანახმად, რომლის მოქმედების ვადა 20 წლით იქნა განსაზღვრული, მხარეები ვალდებულიყვნენ იღებდნენ ომის განმავლობაში დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის და შეთანხმების გარეშე არ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები მოწინააღმდეგეებთან. ხელშეკრულებაში აგრეთვე საუბარი იყო საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის ომის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ³⁸.

1942 წლის 20 მაისს საბჭოთა დელეგაცია ვაშინგტონში ჩავიდა. იმავე დღეს შედგა ვ. მოლოტოვის შეხვედრა პრეზიდენტ რუზველტთან. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართან საუბრისას,

აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რამდენადაც ის აუცილებლად მიიჩნევდა პირველ რიგში გერმანიის, ხოლო შემდეგ იაპონიის განადგურებას, ყველაფერს იღონებდა იმისათვის, რათა საბჭოთა კავშირის მძიმე მდგომარეობა 1942 წლისთვის შეემსუბუქებინა³⁹. შეხვედრისას რუზველტმა ილაპარაკა იმ სირთულეებზე, რასაც ამერიკელები და ინგლისელები განიცდიდნენ ტონაჟის არასაკმარისი რაოდენობის გამო, რაც აუცილებელი იყო ტანკებისა და ჯარების გადასაყვანად. აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებდა შესაბამის ღონისძიებებს სადესანტო გემების ასაგებად. ყველა ეს მოსამზადებელი სამუშაო, რუზველტის თქმით, 1943 წლისათვის იქნებოდა დასრულებული და სავარაუდოდ, გარანტირებული წარმატებით, ევროპაში შეჭრა მხოლოდ 1943 წლისათვის იქნებოდა შესაძლებელი⁴⁰. თუმცა შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტი მოუწოდებდა ამერიკელ სამხედროებს რისკზე წასულიყვნენ და 1942 წელს 6-10 დივიზიით საფრანგეთში შეჭრილიყვნენ. რუზველტის თქმით ის მზად იყო დაეკარგა 100-120 ათასი ჯარისკაცი, გადაეტანა კიდევ ერთი დიუნკერკი თუკი ამით დაეხმარებოდა საბჭოთა კავშირს⁴¹. პრეზიდენტის აზრით წარუმატებელი ოპერაციაც დიდ ზემოქმედებას მოახდენდა გერმანელების მორალურ მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ამგვარი ოპერაციის განხორციელება აამაღლებდა წითელი არმიის საბრძოლო განწყობას და აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნის მძიმე მდგომარეობას რამდენადმე შეამსუბუქებდა⁴². რუზველტის შეკითხვაზე თუ რას ფიქრობდა მოლოტოვი 6-10 დივიზიით საფრანგეთში შეჭრის შესახებ, საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ მისი აზრით ეს არასაკმარისი იყო. ამ ოპერაციას მოლოტოვის აზრით არ შეეძლო აღმოსავლეთის

ფრონტიდან 40 გერმანული დივიზიის მოხსნა. ამასთანავე მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეორე ფრონტის საკითხი უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი იყო და ის არა სამხედრო, არამედ სახელმწიფო მოღვაწეებს უნდა გადაეწყვიტათ⁴³.

აშშ-ს პრეზიდენტისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის შეხვედრის შემდეგ გვიან ღამით ვ. მოლოტოვს თეთრ სახლში ეწვია რუზველტის პირადი წარმომადგენელი ჰ. ჰოპკინსი. მან კომისარს აცნობა, რომ თავად პრეზიდენტი რუზველტი მეორე ფრონტის გახსნის მხურვალე მომხრე იყო, მაგრამ ამერიკელი გენერლები საბჭოთა კავშირის მდგომარეობას 1942 წლისათვის საკმაოდ მყარად მიიჩნევდნენ და მისთვის დახმარების გაწევის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. ამიტომ ჰოპკინსმა მოლოტოვს ურჩია პრეზიდენტ რუზველტთან შემდეგი შეხვედრის დროს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის სავალალო სურათი დაეხატა⁴⁴.

მეორე დღეს დაახასიათა რა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა მოლოტოვმა ღიად დასვა საკითხი შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინაშე შექმლეთ თუ არა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს აღმოსავლეთის ფრონტიდან 40 გერმანული დივიზიის მოხსნა?⁴⁵ პრეზიდენტმა რუზველტმა მოლოტოვს განუცხადა, რომ მათ სურდათ მეორე ფრონტის გახსნა 1942 წლისათვის, მაგრამ პრობლემას ატლანტიკის ოკეანეზე ჯარების ტრანსპორტირება წარმოადგენდა. რუზველტს აშშ-ს არმიის შტაბის უფროსი ჯ. მარშალიც დაეთანხმა, რომელმაც შეხვედრაზე განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა ამერიკელებს კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული საჯარისო ნაწილები და საუკეთესო სატანკო დივიზიები გააჩნდათ, მთავარი პრობლემა, რომელიც მოკავშირეთა ევროპაში შეჭრას აფერხებდა სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობა იყო⁴⁶.

1 ივნისს აშშ-სა და საბჭოთა მხარეებს შორის გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა რუზველტმა მოლოტოვს განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა იმედოვნებდა მეორე ფრონტის გახსნას 1942 წლისათვის. ამ მიმართულებით, როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე შეერთებულ შტატებში მიმდინარეობდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები. თუმცა რუზველტის შეხედულებით მეორე ფრონტის ორგანიზაციის დასაჩქარებლად უნდა შემცირებულიყო საბჭოთა კავშირისათვის ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარება, რათა გამოთავისუფლებულიყო დამატებითი ტონაჟი აშშ-ს შეიარაღებული ძალების ბრიტანეთის კუნძულებზე გადასასროლად⁴⁷. გარდა ამისა, პრეზიდენტს საჭიროდ მიაჩნდა, რომ ევროპაში შეჭრის საკითხი აუცილებლად ინგლისელებთან შეეთანხმებინა, რომლებსაც მეორე ფრონტის გახსნის შემთხვევაში მნიშვნელოვანი მსხვერპლის გაღება მოუწევდათ⁴⁸. როგორც ჩანს, სწორედ ამით აიხსნებოდა რუზველტის ამგვარი, ერთი შეხედვით თავშეკავებული პოზიცია. აშშ-ს პრეზიდენტმა კარგად უწყოდა ის რომ 1942 წლისათვის ევროპაში შეჭრა ძირითადად ინგლისელთა ძალებით უნდა მომხდარიყო და ამიტომ მას არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ბრიტანელებთან კონსულტაციის გარეშე მიეღო.

1942 წლის 4 ივნისს საბჭოთა კავშირის მეთაურმა ვაშინგტონში ტელეგრამით მიმართა ვ. მოლოტოვს, რომელშიც იუწყებოდა, რომ საჭირო იყო თანხმობა განეცხადებინათ რუზველტის წინადადებაზე საბჭოთა კავშირისათვის ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარების შემცირების შესახებ.⁴⁹ სტალინის ვარაუდით ამით შესაძლებელი გახდებოდა მეორე ფრონტის გახსნის მიზნით, აშშ-დიდ ბრიტანეთს ევროპაში ჯარების გადასაყვანად გამოეყენებინათ გამოთავისუფლებული საჭირო რაოდენობის ტონაჟი. ამავე წერილში სტალინი მოითხოვდა, რომ შეთანხმებებში, რომლებიც აშშ-სთან და

დიდ ბრიტანეთთან უნდა დადებულიყო ამა თუ იმ ფორმით ნახსენები ყოფილიყო მეორე ფრონტისა და საბჭოთა კავშირისათვის შეიარაღების მიწოდების შესახებ⁵⁰.

საბოლოოდ, მოლოტოვის ვიზიტისას ორ ქვეყანას შორის „მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება 1942 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ,” რაც აისახა კიდევ საბჭოთა კავშირ-აშშ-ს ერთობლივ კომუნიკეში⁵¹. აღსანიშნავია, რომ კომუნიკეს ტექსტის განხილვის დროს გენერალმა მარშალმა მოითხოვა, რომ თავი შეეკავებინათ მასში 1942 წლის დაფიქსირებისაგან, მაგრამ რუზველტმა მარშალის მოსაზრება არ გაიზიარა⁵². გამომდინარე იქედან, რომ ევროპაში წარმატებული შეჭრის ოპერაციის განხორციელება შეუძლებელი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ამგვარი პოზიცია უფრო საბჭოთა კავშირის გამხნევების სურვილით იყო ნაკარნახევი⁵³.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოქმედებით რუზველტმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ინგლისის პრემიერი, რადგან ლონდონსა და ვაშინგტონში ერთსა და იმავე დროს უნდა გამოქვეყნებულიყო ერთნაირი შინაარსის ორი კომუნიკე⁵⁴. დიდი ბრიტანეთის ლიდერი კი, როგორც ცნობილია შექმნილი სხვადასხვა სირთულეების გამო არარეალურად მიიჩნევდა 1942 წლისათვის ევროპაში დაგეგმილი ოპერაციების განხორციელებას. აშშ-დან ლონდონში დაბრუნებულმა ვ. მოლოტოვმა, რასაკვირველია გამოიყენა რა რუზველტთან შეთანხმებული ტექსტი, აიძულა ინგლისელები ანალოგიური ხასიათის შესწორება სსრკ-ინგლისს შორის გასაფორმებელ კომუნიკეში შეეცანათ⁵⁵. თუმცა ამ იძულებით ნაბიჯს, როგორც ინგლისის პრემიერმა თავის მემუარებში აღნიშნა, დადებითი მხარეც გააჩნდა. კერძოდ, ჩერჩილის აზრით, 1942

წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ გაკეთებულ საჯარო განცხადებას შეეძლო შეცდომაში შეყვანა გერმანელები და მოკავშირეთა ევროპაში შეჭრის შიშით, რაც შეიძლება მეტი შეიარაღებული ნაწილები დაეტოვებინათ დასავლეთში⁵⁶. მიუხედავად ამისა, ინგლისის პრემიერმა მაინც საჭიროდ ჩათვალა განემარტა საბჭოთა მხარისათვის - 1942 წლის 10 ივნისს ვ. მოლოტოვისადმი გადაცემულ სამახსოვრო ბარათში, რომ წინასწარ შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, 1942 წლისათვის იქნებოდა თუ არა შესაფერისი მდგომარეობა ამ ოპერაციის ჩასატარებლად⁵⁷. აღსანიშნავია რომ ჩერჩილის ამგვარი დამოკიდებულება დასავლეთ ევროპაში შეჭრის ოპერაციის მიმართ სრულებითაც არ იყო საფუძველს მოკლებული. თვით სამხედრო უწყებები, რომლებიც „სლეჯჰამერის“ შესაძლებლობებს სწავლობდნენ, ამ გეგმის განხორციელებას ნაკლებ საიმედოდ და სარისკოდაც კი მიიჩნევდნენ⁵⁸. მათი შეხედულებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ ოპერაცია წარმატებული იქნებოდა მოკავშირეები ჩაკეტილი აღმოჩნდებოდნენ კოტანტენის ნახევარკუნძულზე და ერთი წლის განმავლობაში მათ მოუწევდათ მოწინააღმდეგის მხრიდან გამუდმებული დაბომბვებისა და იერიშების პირობებში შეენარჩუნებინათ თავიანთი პოზიციები. პრობლემები შეიქმნებოდა მათი მომარაგების მხრივაც, რისი უზრუნველყოფაც მხოლოდ შერბურის პორტიდან თუ იქნებოდა შესაძლებელი. თანაც ამ ამოცანის შესასრულებლად მთელი სიმძიმის გადატანა პირველ რიგში მოკავშირეთა ფლოტსა და ავიაციას მოუწევდათ. ყოველივე ეს კი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ყველა სხვა დანარჩენი ოპერაციების განხორციელებას. მთავარი მაინც ის იყო, რომ აღნიშნულ სამხედრო ღონისძიებას არ შეეძლო რაიმე დახმარება გაეწია საბჭოთა კავშირისათვის, რადგან საფრანგეთში განლაგებულ გერმანელთა 25 დივიზიას, მოკავშირეთა - 9, ამათგან - 7 ინგლისური დივიზია თუ

დაუპირისპირდებოდა. შესაბამისად გერმანელებს აღარ დასჭირდებოდათ თავიანთი საჯარისო ნაწილების სსრკ-ს ფრონტიდან დასავლეთ ევროპაში გადასროლა⁵⁹. ყოველივე ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ინგლისელები უკვე სერიოზულად იყვნენ განწყობილნი ამერიკელთა ყურადღება 1942 წლისათვის განსახორციელებელ სხვა სამხედრო ოპერაციაზე გადაეტანათ. სწორედ ამ მიზნით 1942 წლის 19 ივნისს შეერთებულ შტატებს უ. ჩერჩილი ეწვია. ინგლისის პრემიერი იმედოვნებდა, რომ თავის მოკავშირესთან 1942-1943 წლებში განსახორციელებელ ოპერაციებთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმებას მიაღწევდა. თავის მხრივ, ამერიკელებიც ჩქარობდნენ ინგლისელებთან ერთად რომელიმე გეგმის შესახებ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას. ეს მათ საშუალებას მისცემდათ 1942 წლისათვის, როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერში გერმანელთა წინააღმდეგ ომში დიდი ძალები ჩაებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი იმის სერიოზული საფრთხე არსებობდა, რომ აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელებს ძირეულად გადაეხედათ თავიანთი სტრატეგიისათვის და უპირატესობა არა ევროპაში, არამედ წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე საომარი მოქმედებებისათვის მიენიჭებინათ⁶⁰. ვაშინგტონის მეორე კონფერენცია 19-დან 25 ივნისამდე მიმდინარეობდა. კონფერენციის დაწყებისთანავე ჩერჩილმა რუზველტს მემორანდუმი გადასცა, რომელშიც ინგლისის პრემიერი იუწყებოდა, რომ აპრილში მიღწეული შეთანხმების თანახმად დიდი ბრიტანეთი ახორციელებდა აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს 1942 წლის სექტემბრისათვის საფრანგეთში დესანტის გადასასხმელად. თუმცა ჩერჩილის ცნობით ინგლისის კაბინეტი ამგვარი ოპერაციის ჩატარების წინააღმდეგი იყო, რადგან ეჭვი ეპარებოდა მის წარმატებით განხორციელებაში. უფრო მეტიც, დიდი

ბრიტანეთის მთავრობის აზრით, 1942 წლისათვის „სლექსპამერის“ ოპერაციის ჩატარების მცდელობა ხელს შეუშლიდა იმ ოპერაციის რეალიზაციას, რომელიც 1943 წლისათვის იყო დაგეგმილი. ჩერჩილი წერილში ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ინგლისის სამხედრო უწყებები ვერ ახერხებდნენ შეემუშაებინათ ისეთი გეგმა, რომელიც 1942 წლისათვის დაგეგმილ ღონისძიებას რაიმე წარმატების შანსს მისცემდა, თუ გერმანელები სრულიად დემორალიზებული არ იქნებოდნენ⁶¹. ამასთანავე, ინგლისის პრემიერს დაუშვებლად მიაჩნდა 1943 წლისათვის დაგეგმილი ოპერაციის დაწყებამდე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარები უმოქმედოდ ყოფილიყვნენ. ჩერჩილის აზრით, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო მათ ყურადღება ჩრდილოეთ აფრიკაში განსახორციელებელ ოპერაციაზე გადაეტანათ⁶². ინგლისის პრემიერის ამ წინადადებას ამერიკელთა მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა ელოდა. მათთვის ნათელი იყო ის, რომ ჩრდილოეთ აფრიკის დაკავება იმდენ ძალისხმევასა და საშუალებას მოითხოვდა, რაც შეუძლებელს გახდიდა 1943 წლისათვის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელებას⁶³. ეს დაადასტურა კიდევ 20 ივნისს აშშ-ს არმიის შტაბების გაერთიანებული კომიტეტის მიერ მიღებულმა დადგენილებამ, რომლის მიხედვით ოპერაცია „ჯიმნასტის“ განხორციელება მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული⁶⁴. თუმცა მოლაპარაკებების მსვლელობის დროს ლიბიიდან მიღებულმა ცნობამ ინგლისელთა განცდილი მარცხის შესახებ ხელი შეუწყო აღნიშნული დადგენილების გადასინჯვას. ტობრუკის კატასტროფამ, სადაც ინგლისელთა თითქმის მთელი გარნიზონი დატყვევებულ იქნა გერმანელების მიერ, ძლიერ იმოქმედა ჩერჩილზე. ინგლისის პრემიერი კიდევ უფრო უარყოფითად განეწყო საფრანგეთში შეჭრის ოპერაციის მიმართ. თავის მხრივ, ამერიკელებმაც შეიცვალეს პირვანდელი

დამოკიდებულება და უფრო სერიოზულად დაინტერესდნენ ჩრდილოეთ აფრიკის საკითხით, რადგანაც იქმნებოდა გერმანელების მხრიდან ეგვიპტის დაკავების საშიშროება⁶⁵. საბოლოოდ, გადაწყდა რომ გაერთიანებული შტაბის დადგენილებაში ცვლილებები შეეტანათ, რომელიც ოპერაცია „ჯიმნასტის“ შესახებ დეტალური გეგმის უმოკლეს ვადებში შემუშავებას ითვალისწინებდა⁶⁶. მიუხედავად იმისა, ვაშინგტონის კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ვერ შეძლო ამერიკელები ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრის ოპერაციის განხორციელებაზე დაეთანხმებინა, ისიც ნათელი იყო, რომ თავის მხრივ ვერც ამერიკელები მიაღწევდნენ ინგლისელებისაგან 1942 წლისათვის დაგეგმილი ოპერაცია „სლექჰამერის“ რეალიზაციაზე მხარდაჭერას⁶⁷. გარდა ამისა ჩერჩილი კიდევ ერთხელ დარწმუნდა ჩრდილო აფრიკული გეგმის მიმართ აშშ-ს პრეზიდენტის სიმპათიაში, რაც უახლოეს მომავალში ინგლისის პრემიერს ოპერაცია „ჯიმნასტის“ განხორციელების იმედს უსახავდა⁶⁸.

1942 წლის 8 ივლისს ჩერჩილმა წერილით მიმართა რუზველტს, რომელშიც აღნიშნავდა, რომ არც ერთ ინგლისელ გენერალს, ადმირალს და ავიაციის მარშალს არ შეეძლო რეკომენდაცია გაეწია 1942 წლისათვის განსახორციელებელ ოპერაცია „სლექჰამერისათვის“. ინგლისის პრემიერი წერილში იმოწმებდა სამხედრო შტაბების მეთაურებს და აცხადებდა, რომ ძნელად წარმოსადგენი იყო შექმნილიყო ისეთი პირობები, რომელიც ოპერაცია „სლექჰამერს“ საიმედო და გონივრულ ღონისძიებად აქცევდა. ნაჩქარევად განხორციელებული აქცია კი, ჩერჩილის აზრით, წარუმატებელი იქნებოდა და მკვეთრად შეამცირებდა 1943 წლისათვის ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელების შესაძლებლობას. თანაც აღსანიშნავია, რომ ინგლისის პრემიერს

საბჭოთა ფრონტისათვის დახმარების საუკეთესო საშუალებად მხოლოდ „ჯიმნასტი“ მიაჩნდა, რომელიც 1942 წლისათვის ნამდვილი მეორე ფრონტი უნდა გამხდარიყო⁶⁹. იმავდროულად ამ საკითხის შესწავლით ამერიკელი სამხედროებიც იყვნენ დაკავებული. 10 ივლისს აშშ-ს არმიისა და ფლოტის შტაბების ხელმძღვანელებმა ჯ. მარშალმა და ე. კინგმა პრეზიდენტ რუზველტს მემორანდუმი წარუდგინეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ჯიმნასტის“ გეგმის რეალიზაცია სრულად გამორიცხავდა ოპერაცია „სლექჰამერისა“ და „რაუნდაპის“ განხორციელებას⁷⁰. აშშ-ს არმიის შტაბების ხელმძღვანელები რუზველტს ურჩევდნენ, რომ იმ შემთხვევაში თუ ინგლისელები არ დათანხმებოდნენ დასავლეთ ევროპაში დაგეგმილი ოპერაციების განხორციელებაზე, მაშინ აუცილებელი იყო ამერიკელებს მთელი ყურადღება წყნარი ოკეანის აუზზე გადაეტანათ, ხოლო გერმანიის წინააღმდეგ მხოლოდ საჰაერო მოქმედებებისათვის მიემართათ⁷¹. შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-ს პრეზიდენტის პოზიციას. იმ შემთხვევაში თუ რუზველტი „ჯიმნასტის“ წინააღმდეგ გაილაშქრებდა, რასაკვირველია ინგლისელები ხელს აიღებდნენ 1942 წლისათვის ჩრდილოეთ აფრიკული პროექტის განხორციელებაზე, რადგანაც მხოლოდ საკუთარი ძალების გამოყენებით მათ არ შეეძლოთ აფრიკის სანაპიროს ოკუპაცია⁷². გარდა ამისა, რუზველტს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოებაც, რომ ინგლისელები ეწინააღმდეგებოდნენ 1942 წლისათვის ოპერაცია „სლექჰამერის“ განხორციელებას.⁷³ 1942 წლის 16 ივლისს აშშ-ს პრეზიდენტმა შეიმუშავა დოკუმენტი, რომელშიც მან ჩამოაყალიბა სამხედრო სტრატეგიის ის ძირითადი პრინციპები, რაც შეერთებული შტატების მთავრობას ახლო მომავალში უნდა გაეტარებინა. უპირველეს ყოვლისა, რუზველტი გადაჭრით გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ

აშშ-ს, იაპონიის უსწრაფესი განადგურების მიზნით თავისი ძალები წყნარი ოკეანისაკენ გადაესროლათ, რადგან მთელი ძალების იაპონიის წინააღმდეგ თავმოყრას მხოლოდ ის მოჰყვებოდა, რომ გერმანია ევროპასა და აფრიკაზე სრული კონტროლის დამყარებას შეძლებდა. აშშ-ს პრეზიდენტის შეხედულებით იაპონიის განადგურება არ ნიშნავდა გერმანიის დამარცხებას. სამაგიეროდ მისთვის სრულიად ნათელი იყო გერმანიის კრახი იაპონიის განადგურებასაც გამოიწვევდა⁷⁴. რუზველტის ზემოთხსენებულ დოკუმენტში მარშალს, კინგსა და ჰოპკინსს, რომლებიც მალე ინგლისელებთან მოსალაპარაკებლად უნდა გამგზავრებულიყვნენ შემდეგი მითითება ეძლეოდათ, რომ ინგლისის მთავრობასთან რაც შეიძლება სწრაფად შეეთანხმებინათ 1942-1943 წლებში განსახორციელებელი სამხედრო ოპერაციის გეგმები. იმ შემთხვევაში თუ ინგლისელები უარს იტყოდნენ 1942 წლისათვის დაგეგმილ დასავლეთ ევროპაში შეჭრის ღონისძიებაზე, მაშინ დელეგაციის წევრებს შეთანხმება უნდა მიეღწიათ ბრიტანელებთან 1942 წელს განსახორციელებელ სხვა ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციების თაობაზე⁷⁵. გარდა ამისა, მათ (აშშ-ს დელეგაციას) აეკრძალათ ინგლისელებისაგან ულტიმატუმის ფორმით მოეთხოვათ ოპერაცია „სლექჰამერის“ რეალიზაცია⁷⁶. უფრო მეტიც, 15 ივლისს პრეზიდენტ რუზველტსა და კ. ჰოპკინს შორის გამართული შეხვედრისას, რუზველტმა ამ უკანასკნელს პირდაპირ მიანიშნა: ინგლისელების მიერ „სლექჰამერის“ ოპერაციაზე უარის თქმის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ამერიკელებს თანხმობა განეცხადებინათ ოპერაცია „ჯიმნასტზე“, რომელიც მას ძლიერ იზიდავდა. „ჯიმნასტს“ აშშ-ს პრეზიდენტის შეხედულებით ის უპირატესობა გააჩნდა, რომ აღნიშნული სამხედრო ღონისძიება უზრუნველყოფდა დასავლეთ აფრიკის დაკავებას და სათავეს დაუდებდა ხმელთაშუა ზღვაზე

სრული კონტროლის დამყარებას⁷⁷. შეიძლება ითქვას, რომ რუზველტის პოზიციამ ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრა ლონდონის მოლაპარაკების შედეგები. ჩვენი აზრით, აშშ-ს პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველი ის იყო, რომ აშშ-ს სამხედრო წრეებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ანტიიაპონური ორიენტაციის მხარდამჭერთა პოზიციები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების უმოქმედობის გამო და იაპონიის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაციების განხორციელებას მოითხოვდნენ. ყოველივე ეს კი შესაბამისად წყნარი ოკეანის აუზში მიმდინარე საომარი მოქმედებებისათვის უპირატესობის მინიჭებას ნიშნავდა. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, რუზველტი – რათა თავიდან აეცილებინა გენერალური სტრატეგიული ხაზის ცვლილება, დაინტერესებული იყო იმით, რომ რაც შეიძლება მალე აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს ევროპაში ეფექტური სამხედრო ოპერაციები ეწარმოებინათ. ერთადერთ ასეთ ოპერაციას, რომლის განხორციელებაზეც 1942 წლისათვის ინგლისელები თანხმობას აცხადებდნენ, სწორედ „ჯიმნასტი“ წარმოადგენდა. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტი, როგორც ჩანს, საბოლოოდ დარწმუნდა საბჭოთა კავშირის ბრძოლისუნარიანობაში. რუზველტს უკვე ეჭვიც აღარ ეპარებოდა იმაში, რომ 1942 წლისათვის გერმანია ვერ შეძლებდა სსრკ-ს დამარცხებას⁷⁸. ყოველივე ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხების რეალური საფრთხის არარსებობის შემთხვევაში, ევროპაში შეჭრის ოპერაციის განხორციელების საჭიროება, 1942 წლისათვის შეერთებული შტატებისათვის დღის წესრიგში აღარ იქნებოდა. გარდა ამისა, პრეზიდენტ რუზველტის ზემოთაღნიშნულ პოზიციას მნიშვნელოვნად განაპირობებდა 1942 წლის ნოემბერში აშშ-ს კონგრესში ჩასატარებელი არჩევნები.

რუხველტი შიშობდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ამერიკელები უმოკლეს პერიოდში გერმანელების წინააღმდეგ აქტიურ საომარ მოქმედებებს არ მიმართავდნენ, მაშინ დემოკრატიული პარტია არჩევნებში დამარცხდებოდა, რაც შესაბამისად საკანონმდებლო ორგანოში მისი გავლენის არსებითად შესუსტებას გამოიწვევდა. 18 ივლისს აშშ-ს დელეგაცია ლონდონში ჩავიდა. 20 ივლისს კი შედგა მათი პირველი შეხვედრა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრთან და ინგლისის სამხედრო შტაბების მეთაურებთან. ამერიკელები ამოდ ცდილობდნენ ბრიტანელებისაგან ოპერაცია „სლექჰამერის“ განხორციელებაზე თანხმობა მიეღოთ. თავად ინგლისის პრემიერის აზრით, „სლექჰამერის“ რეალიზაციის საკითხი არა იმდენად შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ქმედებებზე იყო დამოკიდებული არამედ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენებზე. და რადგანაც, აღმოსავლეთის ფრონტზე საომარი მდგომარეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნებოდა შენარჩუნებული და არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს დამარცხებამდე არ მიიყვანდა, ჩერჩილი თვლიდა, რომ ასეთ ვითარებაში ოპერაცია „სლექჰამერის“ განხორციელება მიზანშეწონილი არ იყო⁷⁹. ლონდონში პარალელულად მოლაპარაკებები ორი ქვეყნის სამხედრო შტაბების ხელმძღვანელთა დონეზეც მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამო ამერიკელმა სამხედროებმა ვერ შეძლეს თავიანთი ინგლისელი კოლეგები 1942 წლისათვის ევროპაში შეჭრის ოპერაციის განხორციელებაზე დაეთანხმებინათ⁸⁰. თავის მხრივ ვერც ბრიტანელებმა მოახერხეს ამერიკელები „ჯიმნასტის“ უპირატესობაში დაერწმუნებინათ, რომლებიც მათგან განსხვავებით ჩრდილოაფრიკულ ღონისძიებას სტრატეგიული თვალსაზრისით გაუმართებლად მიიჩნევდნენ⁸¹. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. 22

ივლისს გენერალმა მარშალმა რუზველტისაგან ახალი ინსტრუქციები მოითხოვა.⁸² პრეზიდენტმა მას აცნობა, რომ საჭირო იყო დღის წესრიგიდან მოეხსნათ „სლეჯჰამერი“ და ინგლისელებთან რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ შეთანხმებისათვის, რათა ამერიკელებს 1942 წლისათვის გერმანელთა წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება შეეძლებოდათ⁸³. 24 ივლისს ორი ქვეყნის სამხედრო შტაბების ხელმძღვანელთა შორის გამართულ შეხვედრაზე ამერიკელებმა ინგლისელებს საომარ კამპანიებში მოკავშირეთა მოქმედების ახალი გეგმა შესთავაზეს, რომლის თანახმად გათვალისწინებული იყო ოპერაცია „რაუნდაპის“ მომზადების იმ მომენტამდე გაგრძელება, სანამდეც მისი განხორციელების შესაძლებლობა იარსებებდა. ეს კი სსრკ-გერმანიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებზე იყო დამოკიდებული. თუ გერმანიის შეტევების შემდეგ საბჭოთა კავშირის ბრძოლისუნარიანობა იმდენად იქნებოდა შერყეული, რომ 1943 წლისათვის ევროპაში შეჭრის ოპერაციის განხორციელება სათუო გახდებოდა, მაშინ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს 1942 წლის დეკემბრამდე ჩრდილო დასავლეთ აფრიკაში დესანტი უნდა გადაესხათ. ჩერჩილისა და ინგლისის სამხედრო შტაბების ხელმძღვანელებისათვის ამერიკელთა ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა⁸⁴.

1942 წლის 25 ივლისს საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდეგ რუზველტმა ჰოპკინსს აცნობა, რომ საჭირო იყო სასწრაფოდ შეემუშავებინათ ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა გადასხმის ოპერაციის გეგმები, რათა აღნიშნული სამხედრო ღონისძიება 30 ოქტომბრამდე განხორციელებულიყო⁸⁵. 30 ივლისს კი პრეზიდენტმა თავად აშშ-ს არმიის შტაბს დაავალა ოპერაცია „ტორჩის“ (ასეთი სახელწოდება მიიღო „ჯიმნასტმა“) მომზადება და განხორციელება, იმის მიუხედავად თუ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა აღმოსავლეთის

ფრონტზე⁸⁶. ამრიგად 1942 წლის ივლისში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის გამართულ მოლაპარაკების დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1942 წლისათვის მოკავშირეთა ჯარების ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხმის შესახებ. ხოლო რაც შეეხება ევროპაში შეჭრას გადაწყდა, რომ გაგრძელებულიყო მზადება 1943 წლის გაზაფხულისათვის დაგეგმილი ოპერაცია „რაუნდაპის“ განსახორციელებლად.⁸⁷

ლონდონის მოლაპარაკების დასრულებამდე, ივლისის შუა რიცხვებში, როდესაც საბჭოთა კავშირისათვის დიდ ბრიტანეთში საკუთარი ელჩის ი. მაისკის მეშვეობით ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ 1942 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნა არ მოხდებოდა ი. სტალინმა საპროტესტო წერილით მიმართა ინგლისის პრემიერ-მინისტრს⁸⁸. 1942 წლის 23 ივლისს გაგზავნილ წერილში საბჭოთა მეთაური იუწყებოდა, რომ ევროპაში მეორე ფრონტის ორგანიზების საკითხი არასერიოზულ ხასიათს იღებდა და საბჭოთა მთავრობა ვერ შეურიგდებოდა მოკავშირეთა საფრანგეთში შეჭრის ოპერაციის 1943 წლისათვის გადადებას⁸⁹. რასაკვირველია, სტალინის ასეთმა რეაქციამ გავლენა ვერ მოახდინა ლონდონში მიმდინარე მოლაპარაკების საბოლოო გადაწყვეტილებაზე. თუმცა საბჭოთა მეთაურის წერილმა ჩერჩილს მოსკოვში გამგზავრება გადააწყვეტინა, რათა პირადად აეხსნა საბჭოთა ლიდერისათვის 1942 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნის შეუძლებლობა. ივლისის ბოლოს ინგლისის პრემიერმა სტალინს მისთვის 1942 წლისათვის მოკავშირეთა შეტევითი ოპერაციების გეგმების გაცნობის მიზნით საბჭოთა კავშირში მიწვევა სთხოვა⁹⁰. ჩერჩილის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და გადაწყდა, რომ ორ ლიდერს შორის შეხვედრა აგვისტოს შუა რიცხვებში მოსკოვში გაიმართებოდა. გარდა ამისა ინგლისის პრემიერმა საჭიროდ ჩათვალა აღნიშნულ შეხვედრაზე ამერიკელი

წარმომადგენლის დასწრება და თხოვნით მიმართა ფ. რუზველტს ა. ჰარიმანის მოსკოვში გაგზავნის თაობაზე. როგორც ჩანს, ჩერჩილი კარგად აცნობიერებდა თუ რა არასასიამოვნო მისიის შესრულება მოუწევდა და მას სურდა, ამ საკითხში აშშ-ს მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა⁹¹. რასაკვირველია, რუზველტმა დააკმაყოფილა ჩერჩილის თხოვნა და ამერიკელი ემისარი ა. ჰარიმანი კაიროში შეუერთდა სტალინთან შესახვედრად მიმავალ ინგლისის პრემიერს.

უ. ჩერჩილი მოსკოვში 12 აგვისტოს ჩავიდა. იმავე საღამოს სტალინთან გამართულ შეხვედრაზე შეეხო რა ევროპაში მეორე ფრონტის ორგანიზების საკითხს დიდი ბრიტანეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ამერიკელებისა და ინგლისელების მიერ აღნიშნული პრობლემის დეტალური შესწავლის შემდეგ ისინი მივიდნენ შემდეგ დასკვნამდე - 1943 წლამდე მოკავშირეთა ევროპაში შეჭრა შეუძლებელი იყო. ჩერჩილის თქმით, მართალია მოკავშირეებს მოეპოვებოდათ სადესანტო საშუალებები 6-8 დივიზიის საფრანგეთის სანაპიროზე გადასასხმელად, თუმცა აღნიშნული ოპერაციის მხარდასაჭერად, მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც კი საჭირო იქნებოდა ისეთი რაოდენობის ტონაჟი, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს იმ მომენტისათვის არ გააჩნდათ⁹². ინგლისის პრემიერის მტკიცებით მათ ასევე არ გააჩნდათ საკმარისი რაოდენობის ძალები საფრანგეთის ტერიტორიის სიღრმეში შესაჭრელად - საბჭოთა კავშირისათვის ეფექტური დახმარების აღმოსაჩენად. ჩერჩილის თქმით 1942 წლისათვის საფრანგეთში შეჭრა უთუოდ მარცხისათვის იყო განწირული, თანაც ამგვარი ოპერაციის განხორციელებას მისი აზრით შეეძლო 1943 წლისათვის დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო ღონისძიების მზადება შეეფერებინა⁹³. სტალინთან საუბრისას ჩერჩილმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი 1942 წლისათვის დაგეგმილი ლა-მანშის ფორსირების უპერსპექტივობას,

რომელსაც არ შეეძლო აღმოსავლეთის ფრონტიდან მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალების მოხსნა⁹⁴. თუმცა ინგლისის პრემიერის მტკიცებით, იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეები დარწმუნებულნი იქნებოდნენ იმაში, რომ 150-200 ათასი ჯარისკაცის გაწირვით დახმარებას აღმოუჩენდნენ საბჭოთა კავშირს, მათ ასეთი დიდი დანაკარგიც კი ევროპაში შეჭრაზე ხელს ვერ ააღებინებდა⁹⁵.

სტალინმა თავის მხრივ ჩერჩილის წინაშე უკმაყოფილება გამოთქვა მეორე ფრონტის გახსნის 1943 წლისათვის გადადების გამო და ინგლისელებს ბრალი სიმხდალეშიც კი დასდო. მისი თქმით, თუ მოკავშირეებს გერმანელთა შიშით 1942 წლისათვის ლამანშის გადალახვა არ შეეძლოთ, საბჭოთა მთავრობა მზად იყო, მათ სამი სადესანტო კორპუსითაც დახმარებოდა, რომელიც წარმატებით გაართმევდა თავს ამგვარი ოპერაციის შესრულებას. ინგლისის პრემიერმა ამასთან დაკავშირებით სტალინს განუცხადა, რომ როდესაც 1940 წელს ინგლისს მხოლოდ 20 ათასი გაწვრთნილი ჯარისკაცი, 200 ქვემეხი და 50 ტანკი გააჩნდა, ჰიტლერმა მაშინაც ვერ გაბედა ბრიტანეთის კუნძულებზე შეჭრა. ჩერჩილის აზრით, არც ისე ადვილი იყო ლა-მანშის სრუტის ფორსირება, როგორც ეს საბჭოთა მთავრობას წარმოედგინა⁹⁶. სტალინმა ჩერჩილის საპასუხოდ განაცხადა, რომ ინგლისის პრემიერის ნათქვამში ანალოგიას ვერ ხედავდა, რადგან თუ ჰიტლერის ინგლისში შეჭრას მთელი ბრიტანეთის მოსახლეობის წინააღმდეგობა მოჰყვებოდა, მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთში გადასხმას კი ფრანგი ხალხის მხარდაჭერა ექნებოდა. სტალინის ამ რეპლიკაზე ჩერჩილმა შენიშნა, რომ სწორედ ამის გამო იყო ის საფრანგეთში შეჭრის წინააღმდეგ განწყობილი, რადგანაც მას არ სურდა წარუმატებელი ოპერაციის შემთხვევაში ფრანგი მოსახლეობა გერმანელების შურისძიების საფრთხის წინაშე დაეყენებინა⁹⁷. საბოლოოდ სტალინმა ჩერჩილს განუცხადა, რომ თუ

მოკავშირეებს არ შეეძლოთ 1942 წლისათვის საფრანგეთში შეჭრა ის მათ ამის გაკეთებას არც დააძალებდა, თუმცა საბჭოთა მეთაური პრემიერ-მინისტრის მიერ გამოთქმულ არგუმენტებს არ დაეთანხმა. ამის შემდეგ ჩერჩილმა საუბარი ჩრდილოეთ აფრიკაში განსახორციელებელ ოპერაციაზე გადაიტანა და განაცხადა, რომ მისი შეხედულებით საფრანგეთი მეორე ფრონტის გახსნის ერთადერთ ადგილს არ წარმოადგენდა. ინგლისის პრემიერმა სტალინს აცნობა, რომ მოკავშირეები აპირებდნენ ოპერაცია „ტორჩის“ განხორციელებას, რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკის დაკავებას ითვალისწინებდა⁹⁸. ჩერჩილის თქმით, ოპერაციის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში მოკავშირეები ხმელთაშუა ზღვაზე კონტროლის დამყარებას შეძლებდნენ და ჰიტლერი იძულებული იქნებოდა საკუთარი საჰაერო ძალები იტალიის დასაცავად გადაესროლა. თანაც აღნიშნული დონისძიება, მისი შეხედულებით, სერიოზულ გავლენას მოახდენდა თურქეთზე და მთელს სამხრეთ ევროპაზე⁹⁹. აღსანიშნავია რომ, სტალინმა ჩერჩილის გასაკვირად, სტრატეგიული თვალსაზრისით მყისვე შეაფასა ოპერაცია „ტორჩის“ უპირატესობა. საბჭოთა მეთაურის აზრით აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ჯარების მიერ ჩრდილოეთ აფრიკის დაკავება საფრთხეს შეუქმნიდა ლიბიაში გერმანელთა სარდლის ფელდმარშალ ე. ფონ რომელის არმიას, დააშინებდა ესპანეთს, გამოიწვევდა გერმანელებისა და ფრანგების დაპირისპირებას საკუთრივ საფრანგეთში და იტალიას უშუალოდ დარტყმის ქვეშ დააყენებდა. თუმცა მიუხედავად ამისა, სტალინმა თავისი ეჭვები გამოთქვა ამ გეგმის პოლიტიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნულ დონისძიებაში გენერალ შ. დე გოლის მონაწილეობის საკითხსა და ფრანგების მხრიდან მოკავშირეთა მისამართით გამოწვეულ შესაძლო რეაქციას შეეხებოდა¹⁰⁰. ინგლისის

პრემიერმა საპასუხოდ სტალინს განუმარტა, რომ ისინი (მოკავშირეები) ამ ეტაპისათვის ოპერაციაში დე გოლის მონაწილეობის საკითხს მიზანშეუწონლად მიიჩნევენ. რაც შეეხება ინგლის-ამერიკის ჯარების ჩრდილო აფრიკაში გადასხმას, რომელიც აშშ-ს მთავარსარდლობის ხელმძღვანელობით ამერიკული დროშის ქვეშ უნდა განხორციელებულიყო, მათი შეხედულებით, აღნიშნულ ღონისძიებას ფრანგების მხრიდან მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობა თუ მოჰყვებოდა¹⁰¹. საბოლოოდ, სტალინმა ჩრდილო აფრიკულ ოპერაციას წარმატებით განხორციელება უსურვა, თუმცა საბჭოთა ლიდერმა პროტესტი გამოთქვა ჩერჩილის დაპირების გამო, ევროპაში მეორე ფრონტის 1943 წლისათვის გადავადების შესახებ. მოლაპარაკების დასასრულს ორი ქვეყნის ხელმძღვანელმა ერთმანეთში მემორანდუმები გაცვალეს, რომლებშიც მათი მთავრობების პოზიცია იყო დაფიქსირებული ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხთან დაკავშირებით. 1942 წლის 13 აგვისტოს ჩერჩილისათვის გადაცემულ მემორანდუმში სტალინი უკმაყოფილებას გამოთქვამდა დიდი ბრიტანეთის მიერ 1942 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო. საბჭოთა მეთაურის შეხედულებით, 1942 წელი ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი იყო აღნიშნული ოპერაციის განსახორციელებლად, რადგან გერმანელთა თითქმის მთელი საუკეთესო ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე იმყოფებოდა, ხოლო ევროპაში დარჩენილი იყო უმნიშვნელო რაოდენობის ნაკლებბრძოლისუნარიანი დივიზიები¹⁰². საბჭოთა მეთაურის საპასუხოდ დიდი ბრიტანეთის პრემიერი თავის სამახსოვრო ბარათში აღნიშნავდა, რომ 1942 წლისათვის განსახორციელებელ მეორე ფრონტის ყველაზე საუკეთესო ვარიანტს ოპერაცია „ტორჩი“ წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო დიდი

დახმარება გაეწია სსრკ-სთვის ვიდრე სხვა ნებისმიერ გეგმას. 6-8 ინგლისურ-ამერიკული დივიზიების შერბურის ნახევარკუნძულზე გადასხმა, - შენიშნავდა ჩერჩილი სარისკო და უსარგებლო ოპერაცია იქნებოდა, რადგან გერმანელებს დასავლეთში გააჩნდათ საკმარისი რაოდენობის ჯარები¹⁰³. შესაბამისად, მისი შეხედულებით, გერმანელებს შეეძლოთ ნახევარკუნძულის ვიწრო არეალში მოკავშირეთა ბლოკირება და აღნიშნულ რაიონში თავიანთ განკარგულებაში მყოფი სამხედრო-საჰაერო ძალების კონცენტრირება. ბრიტანეთის ყველა სამხედრო უწყების აზრით, - აგრძელებდა ჩერჩილი ამგვარი ოპერაცია მხოლოდ კატასტროფით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. იმ შემთხვევაშიც კი თუ მოხერხდებოდა მოკავშირეთა მიერ დაკავებული ტერიტორიის გამაგრება, ეს არ გამოიწვევდა სსრკ-ს ფრონტიდან ერთი დივიზიის მოხსნასაც კი. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერი უარყოფდა სტალინის ბრალდებას დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მხრიდან სსრკ-სათვის მიცემული 1942 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნის პირობის შეუსრულებლობას და საბჭოთა მთავრობას მის მიერ 10 ივნისს ვ. მოლოტოვისათვის გადაცემულ სამახსოვრო ბარათზე უთითებდა¹⁰⁴. ჩერჩილი იქვე შენიშნავდა, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ინგლისის მთავრობას არ შეეძლო საჯაროდ დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია 1942 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის მიზანშეუწონლობის შესახებ, რაც ინგლისის პრემიერის აზრით, საშუალებას მისცემდა გერმანელებს თავიანთი შეიარაღებული ნაწილები დასავლეთიდან საბჭოთა კავშირის ფრონტზე თავისუფლად გადაესროლა¹⁰⁵. საბოლოოდ ვიზიტის დასასრულს მხარეებმა შეათანხმეს ორი ქვეყნის მეთაურთა მონაწილეობით გამართული მოლაპარაკების ამსახველი კომუნიკეს ტექსტი, რომელიც უფრო

ზოგად ხასიათს ატარებდა და მოკავშირეთა ერთობისა და მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობის სურვილის მაჩვენებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვში გამართულმა შეხვედრებმა ჩერჩილი საბჭოთა კავშირის ბრძოლისუნარიანობაში კიდევ უფრო დაარწმუნა¹⁰⁶. 14 აგვისტოს სამხედრო კაბინეტისადმი გაკეთებულ მოხსენებაში ინგლისის პრემიერი იუწყებოდა, რომ მოლაპარაკების მსვლელობისას მისთვის არანაირად არ უგრძნობინებინათ ბრძოლის შესაძლო შეწყვეტის შესახებ¹⁰⁷. იგივე აზრი გამოიტანა მან მეორე დღეს საბჭოთა სამხედრო წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრიდანაც¹⁰⁸. ყოველივე ეს კი ჩერჩილისათვის იმის წინაპირობას ქმნიდა, რომ ის დიპლომატიური ძალისხმევა, რომელსაც იგი ჩრდილოაფრიკული პროექტის რეალიზებისათვის ახორციელებდა წარმატებით დაგვირგვინებულყო. მოსკოვში ვიზიტის შემდეგ უკვე საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ერთადერთი სამხედრო ღონისძიება, რომელსაც მოკავშირეები 1942 წლისათვის გერმანიის წინააღმდეგ განახორციელებდნენ ჩრდილოაფრიკული ოპერაცია იქნებოდა, რაც ჩერჩილს იმ მომენტისათვის საბჭოთა კავშირის დახმარების ყველაზე შესაძლებელ და საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისათვის ევროპაში შეჭრის უპერსპექტივობა ინგლისის პრემიერს დიეპის რეიდმაც დაანახა, როდესაც საფრანგეთის სანაპიროზე გადასხმული 6 ათასამდე ინგლისელი და კანადელი ჯარისკაცებისაგან შემდგარი დესანტის პირადი შემადგენლობის ნახევარი ოპერაციის განხორციელებისას დაიღუპა¹⁰⁹. შექმნილ ვითარებაში ჩერჩილს ისლა დარჩენოდა მთელი ყურადღება ჩრდილოეთაფრიკული ღონისძიების მომზადებაზე გადაეტანა, რომლის განხორციელების ვადად საბოლოოდ 1942 წლის 8 ნოემბერი იქნა დადგენილი. 23 ოქტომბერს „ტორჩის“ დაწყებამდე ორი კვირით ადრე გენერალ ბ. მონტგომერის

მე-8 არმიამ ელ-ალამეინის რაიონში გერმანულ-იტალიური ჯარების წინააღმდეგ წარმატებული შეტევა განახორციელა, რის შემდეგაც ფელდმარშალ რომელის არმია იძულებული იყო დიდი დანაკარგებით დასავლეთისაკენ უკან დაეხია¹¹⁰. 8 ნოემბერს კი კასაბლანკის, ორანისა და ალჟირის მახლობლად გადასხმულ იქნა აშშ-დიდი ბრიტანეთის 110 ათასიანი დესანტი. აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა სადესანტო გემებმა უდანაკარგოდ მიაღწიეს ჩრდილო აფრიკის სანაპიროს¹¹¹. თვით ოპერაცია კი, რომელსაც ამერიკელი გენერალი დ. ეიზენჰაუერი ხელმძღვანელობდა წარმატებით განვითარდა. აქ განლაგებულმა ვიშის მთავრობის ჯარებმა მოკავშირეებს მხოლოდ უმნიშვნელო წინააღმდეგობა თუ გაუწიეს, თუმცა მალე მოვლენებმა სხვაგვარი ხასიათი მიიღეს. ჰიტლერმა ტუნისში ბრძოლისუნარიანი ნაწილები გადაისროლა და აფრიკაშიც ცხარე ბრძოლები გაჩაღდა. ჩრდილოეთ აფრიკა ინგლის-ამერიკის ჯარებისათვის მთავარ საომარ მოქმედებათა თეატრად გადაიქცა. ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველი რჩებოდა.

ოპერაცია „ტორჩის“ განხორციელების დღიდანვე ინგლისის პრემიერისათვის აქტუალური გახდა ე. წ. ხმელთაშუა ზღვისპირა სტრატეგიის რეალიზაციის საკითხი, რომელიც მოკავშირეთა მხრიდან ჩრდილოეთ აფრიკის დაკავების შემდეგ საომარ მოქმედებების სიცილიაზე, სარდინიაზე, იტალიაზე, ბალკანეთსა და თურქეთზე გადატანას ითვალისწინებდა. 1942 წლის 10 ნოემბერს ჩერჩილმა საბჭოთა ელჩ ი. მაისკისთან შეხვედრაზე მომავალ წლისათვის განსახორციელებელ ძირითად ოპერაციებად სწორედ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები დაასახელა, რომელიც მისი შეხედულებით, იქნებოდა კიდევ მეორე ფრონტი 1943 წლისათვის. საბჭოთა დიპლომატის შეკითხვაზე, ნიშნავდა თუ არა ეს ჩრდილო საფრანგეთში მოკავშირეთა შეჭრის ოპერაციის ეჭვქვეშ დაყენებას,

ჩერჩილმა უარყოფითი პასუხი გასცა. თუმცა იქვე დასძინა, რომ მას იტალიურ-ბალკანური გეგმა უფრო ხიბლავდა¹¹². აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამგვარი შეხედულებისა ინგლისის პრემიერმა კარგად უწყოდა 1943 წლისათვის დასავლეთ ევროპაში განსახორციელებელი ფართომასშტაბიანი ოპერაციის მნიშვნელობაც. 1942 წლის რუზველტისათვის გაგზავნილ წერილში ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის ფრონტზე წითელი არმიის წარმატებისა და იტალიის ომიდან გამოთიშვის შემთხვევაში შესაძლებელი იყო 1943 წლისათვისაც კი შექმნილიყო ხელსაყრელი ვითარება დასავლეთ ევროპაში შესაჭრელად. ამიტომ მისი აზრით, მოკავშირეებს არ უნდა გამოერიცხათ ოპერაცია „რაუნდაპის“ განხორციელების შესაძლებლობა და ნებისმიერი მომენტისათვის მზად უნდა ყოფილიყვნენ ამ გეგმის რეალიზაციისათვის¹¹³. 26 ნოემბრის საპასუხო წერილში რუზველტი ინგლისის პრემიერს აცნობებდა, რომ ამერიკელებს არ ჰქონდათ განზრახული უარი ეთქვათ „რაუნდაპის“ განხორციელებაზე. აშშ-ს პრეზიდენტის შეხედულებით ამ მომენტისათვის წინასწარ შეუძლებელი იყო იმის წარმოდგენა მიეცემოდათ თუ არა მოკავშირეებს 1943 წლისათვის ლა-მანშის ფორსირების შესაძლებლობა. ამგვარი შანსის არსებობის შემთხვევაში კი მათ აუცილებლად უნდა მოეხდინათ „რაუნდაპის“ რეალიზაცია. თუმცა რუზველტი განმარტავდა, რომ მოკავშირეებს აუცილებლად უნდა დაეზუსტებინათ ამ ოპერაციისათვის განკუთვნილი დივიზიათა რაოდენობა¹¹⁴. აღსანიშნავია, რომ ინგლისის პრემიერს ნამდვილად გააჩნდა შეშფოთების საფუძველი, რამაც აიძულა აშშ-ს პრეზიდენტისათვის ამგვარი წერილით მიემართა. საქმე იმაში იყო, რომ ამერიკელი შტაბების ხელმძღვანელთა ვარაუდით „ტორჩის“ რეალიზაცია გამორიცხავდა 1943 წლისათვის დაგეგმილ ევროპაში ფართომასშტაბიანი შეჭრის

ოპერაციის განხორციელებას, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ღონისძიება გადადებული იქნებოდა. ამერიკელების შეხედულებით, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მომავალი წლისათვის საბჭოთა კავშირი შესაძლებელი იყო ძლიერ დასუსტებულიყო, რაც ჰიტლერს საშუალებას მისცემდა დასავლეთ ევროპაში დიდი ძალები გადაესროლა. შესაბამისად კი ოპერაცია „რაუნდაპისათვის“ ადრე გათვალისწინებული ჯარების რაოდენობა, 1943 წლისათვის სრულიად არასაკმარისი იქნებოდა¹¹⁵. ამერიკელი შტაბების ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით, ინგლისის პრემიერი, შეიძლება ითქვას, გაცილებით ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მისი ცნობით, საბჭოთა ფრონტზე ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად მნიშვნელოვნად იყო შემცირებული იქ განლაგებული გერმანელთა ჯარების რაოდენობა. ასევე უნგრულ, რუმინულ და იტალიურ დივიზიებში შეიმჩნეოდა დემორალიზაციის ნიშნები. ფინელები კი საერთოდ არ ღებულობდნენ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში¹¹⁶. იმ შემთხვევაში გერმანელთა არმია, რომელიც სტალინგრადთან ალყაში იყო მოქცეული, განადგურებული იქნებოდა, მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფი გერმანული არმიის მდგომარეობა ძლიერ გაუარესდებოდა, რაც შესაბამისად მალე მთელი ფრონტის ხაზის მოშლას გამოიწვევდა. ჩერხილის, შეხედულებით გერმანელებს სახარბიელო მდგომარეობა არც დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში ჰქონდათ. ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა ისინი აიძულა დასავლეთ ევროპაში განლაგებული 40 დივიზიიდან 11 საფრანგეთის სანაპიროზე განეთავსებინათ. გერმანელებისათვის სულ უფრო რთული ხდებოდა საფრანგეთში სტაბილიზაციის შენარჩუნება¹¹⁷. მათ დამატებით რამდენიმე დივიზიის მოძიება ესაჭიროებოდათ ოპერაცია „ტორჩის“ საფრთხისაგან იტალიის დასაცავად და სიცილიასა და სარდინიაზე

თავიანთი გარნიზონების განსათავსებლად. მათი მდგომარეობა ასევე რთული იყო ბალკანეთში, რაც იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესებით იყო გამოწვეული. გერმანელები იძულებული იყვნენ საბერძნეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში დამატებითი საჯარისო ნაწილები გადაესროლათ. ყოველივე ეს ჩერჩილს იმის დასკვნის საფუძველს აძლევდა, რომ 1943 წლისათვის გერმანიის მსხვილი სამხედრო კონტინგენტის გადაყვანა აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთში არ მოხდებოდა¹¹⁸.

მოვლენათა ამგვარი განვითარება ინგლისის პრემიერისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა საკუთარი ე. წ. „ხმელთაშუაზღვისპირა“ სტრატეგიის რეალიზაციისათვის, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროს დაკავებას, ამ რეგიონში სამხედრო საზღვაო და საავიაციო ბაზების განთავსებასა, რომელიც აუცილებელი იყო ხმელთაშუა ზღვაში ტრანსპორტის თავისუფლად გადაადგილებისათვის, და მოკავშირეთა ჯარების ევროპაში შესაჭრელად პლაცდარმის შექმნას ითვალისწინებდა.

თავი III: აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ევროპული სტრატეგია მეორე ფრონტის გახსნის წინ

§. 1. კასაბლანკიდან თეირანამდე.

ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა მიერ წარმატებით განხორციელებული ოპერაციის შემდეგ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობისათვის დღის წესრიგში დადგა მომავალი ერთობლივი სამხედრო სტრატეგიის შემუშავების საკითხი. 1942 წლის 26 ნოემბერს პრეზიდენტმა რუზველტმა ჩერჩილს სამი მოკავშირე ქვეყნის აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს სამხედრო დელეგაციათა მონაწილეობით კაიროში ან მოსკოვში შეხვედრის გამართვა შესთავაზა¹. ინგლისის პრემიერი დაეთანხმა აშშ-ს პრეზიდენტის ამ წინადადებას, თუმცა ეჭვი გამოთქვა აღნიშნულ თათბირზე საბჭოთა წარმომადგენელთა მიწვევის მიზანშეწონილობის თაობაზე, რომლებთანაც დასავლელ მოკავშირეებს საომარ მოქმედებათა ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრის საკითხებზე უნდა ემსჯელათ. საქმე იმაში იყო, რომ ინგლისის პრემიერს არ სურდა ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, - საბჭოთა დელეგაციის მხრიდან დასმული შეკითხვების გამო, რომლებიც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან იქნებოდა დაკავშირებული. გარდა ამისა, ჩერჩილის აზრით, იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა დელეგაცია კაიროში ჩავიდოდა, რაც ინგლისის პრემიერს ნაკლებდამაჯერებლად ეჩვენებოდა, ის იმდენად შეზღუდული იქნებოდა თავის მოქმედებებში, რომ მას აუცილებლად მოუხდებოდა ნებისმიერ წამოჭრილ საკითხზე სტალინთან კონსულტაციის გამართვა. შეხვედრის მოსკოვში ჩატარებისას, მართალია ამგვარი შეფერხებები ნაკლებად მოსალოდნელი იქნებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში ჩერჩილს საჭიროდ მიაჩნდა ინგლისელებსა და ამერიკელებს აღნიშნულ შეხვედრამდე ერთიანი, შეთანხმებული

პოზიცია ჩამოეყალიბებინათ. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა რუზველტს ამ მიზნით გენერალ მარშალის ინგლისში გამოგზავნა შესთავაზა². გაეცნო რა ჩერჩილის ამ შეხედულებებს, რუზველტი დაეთანხმა ინგლისის პრემიერს იმაში, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად ერთადერთი მართებული გამოსავალი მათი სტალინთან პირადი შეხვედრა იქნებოდა, თუმცა აშშ-ს პრეზიდენტმა არ გაიზიარა ჩერჩილის მოსაზრება ინგლისელ და ამერიკელ სამხედროებს შორის შეხვედრის წინასწარ გამართვის შესახებ³. საბჭოთა მეთაურმა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებთან მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ რუზველტის 1942 წლის 2 დეკემბრის წერილით შეიტყო⁴. აშშ-ს პრეზიდენტი წერილში იუწყებოდა, რომ მხოლოდ სამხედრო ხელმძღვანელების დონეზე შეხვედრის გამართვა არასაკმარისი იქნებოდა, რადგან მათ არ შეეძლოთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ამასთანავე რუზველტი საჭიროდ თვლიდა სამი ქვეყნის მეთაურს ერთმანეთთან წინასწარ შეეთანხმებინათ გერმანიის შესაძლო კრახის შემთხვევაში განსახორციელებელი მოქმედებათა გეგმები. წერილში რუზველტმა აღნიშნული შეხვედრის მოწყობის სავარაუდო თარიღად იანვრის შუა რიცხვები, ხოლო ადგილად – ალჟირი ან სუდანის დაასახელა. სტალინი მიესალმა სამი ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის სამხედრო სტრატეგიის შესამუშავებლად შეხვედრის გამართვის იდეას, თუმცა საბჭოთა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო მან მიზანშეწონილად არ მიიჩნია ქვეყნის დატოვება⁵. საბჭოთა მეთაურის უარის შემდეგ ჩერჩილმა და რუზველტმა აღნიშნული შეხვედრის გამართვა მაროკოში, ქალაქ კასაბლანკაში გადაწყვიტეს. კონფერენციაზე, რომელიც 1943 წლის 14 იანვრიდან 24 იანვრამდე მიმდინარეობდა ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის გარდა, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მაღალი რანგის სამხედრო წარმომადგენლები ჯ.

მარშალი, ე. კინგი, ჰ. არნოლდი, დ. ეიზენჰაუერი, ა. ბრუკი, დ. პაუნდი, ჩ. პორტალი და სხვები მონაწილეობდნენ. ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც კონფერენციაზე 14 იანვარს, გაერთიანებული ინგლისურ-ამერიკული შტაბის სხდომაზე განიხილეს, მოკავშირეთა საომარ მოქმედებათა პრიორიტეტიზაციის საკითხი იყო. ამერიკელი სამხედროების შეხედულებით მოკავშირეთა რესურსების 70% ევროპას, ხოლო 30% წყნარი ოკეანის აუზში განსახორციელებელ საბრძოლო ოპერაციებს უნდა მოხმარებოდა⁶. ინგლისელები დაეთანხმნენ ამერიკელების შეთავაზებულ წინადადებას, თუმცა სამაგიეროდ მოითხოვეს, რომ მოკავშირეებს წინასწარ განესაზღვრათ იაპონიის წინააღმდეგ განსახორციელებელ ოპერაციებში საჭირო ძალების რაოდენობა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო იმის დაზუსტება თუ რა ძალების გამოყენების საშუალება ექნებოდათ მათ სხვა ფრონტებზე⁷. კონფერენციის მსვლელობისას ინგლისელ და ამერიკელ სამხედროებს შორის აზრთასხვადასხვაობა ძირითადად გერმანიის წინააღმდეგ განსახორციელებელ საომარ მოქმედებათა განსაზღვრის საკითხმა გამოიწვია. ინგლისელი სამხედროების შეხედულებით მოკავშირეებს უპირატესობა ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიისათვის უნდა მიენიჭებინათ, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში საბოლოო გამარჯვების მიღწევის შემდეგ, სიცილიის დაკავებას, იტალიის ომიდან გამოთიშვასა და მეორე ფრონტის ბალკანეთში გახსნას ითვალისწინებდა⁸. დიდი ბრიტანეთის იმპერიული შტაბის ხელმძღვანელის გენერალ ა. ბრუკის თვალსაზრისით მოკავშირეთა ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვისპირეთში შეეძლო უფრო დიდი დახმარება გაეწია საბჭოთა კავშირისათვის, ვიდრე ლა-მანშის ფორსირებას. ამასთანავე აღნიშნული სამხედრო დონისძიების განხორციელება თურქეთს მოკავშირეთა ბანაკში გადაბარებებს

აიძულებდა, ხოლო სამხრეთ ევროპის ქვეყნებს კი უშუალო საფრთხის წინაშე დააყენებდა⁹. ბრუკი მიიჩნევდა, რომ მოკავშირეებს იქამდე უნდა შეეკავებინათ თავი დასავლეთ ევროპაში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისაგან, ვიდრე გერმანიის კრახის სერიოზული ნიშნები არ გამოვლინდებოდა¹⁰. ამერიკელების შეხედულებით კი გერმანიის დასამარცხებლად ყველაზე ეფექტური გზას მხოლოდ ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა წარმოადგენდა. გენერალი მარშალი გაუმართლებლად თვლიდა ხმელთაშუაზღვისპირეთში მოკავშირეთა ჯარების საომარ ოპერაციებში ჩართვას, რადგან შიშობდა, რომ აღნიშნული სამხედრო ღონისძიებები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა 1942 წლისათვის „რაუნდაპის“ განხორციელებას. იმისათვის რათა ინგლისელებს არ მიცემოდათ საკუთარი ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიის რეალიზაციის შესაძლებლობა, მარშალმა წყნარი ოკეანის აუზში, კერძოდ, ბირმაში ოპერაციის (კოდური სახელწოდება „ანაკიმი“) ჩატარების წინადადება წამოაყენა¹¹. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ რეგიონში საბრძოლო მოქმედებების არეალის გაფართოებით ამერიკელებს სურდათ არ დაეშვათ ინგლისელების მხრიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთში დიდი რაოდენობის სადესანტო საშუალებების თავმოყრა, მომავალში ფართომასშტაბიანი ოპერაციების საწარმოებლად¹². გარდა ამისა, ამერიკელი სამხედროები ცდილობდნენ ერთგვარი ზეწოლა მოეხდინათ თავიანთ ბრიტანელ კოლეგებზე, რათა ისინი 1943 წლისათვის დასავლეთ ევროპაში შეჭრის განხორციელებაზე დაეთანხმებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმის საშიშროება არსებობდა, რომ მათ (ამერიკელებს) მთელი ყურადღება წყნარი ოკეანის აუზში ჩასატარებელ ოპერაციებზე გადაეტანათ¹³. თუმცა ინგლისელების მხრიდან, წყნარი ოკეანის აუზში ჩასატარებელ ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიუხედავად,

ამერიკელებმა მაინც ვერ მოახერხეს ხელი აეღებინებინათ თავიანთი მოკავშირისათვის ხმელთაშუაზღვისპირა სტრატეგიის რეალიზაციის განზრახვაზე. უფრო მეტიც, ბრიტანელებმა შეძლეს თავად აშშ-ს პრეზიდენტის დაინტერესება აღნიშნულ რეგიონში მოწინააღმდეგეზე სწრაფი და იოლი გამარჯვების მიღწევის შესაძლებლობებით. ჩანდა რომ, რუზველტი აშკარად მიიზიდა იტალიის ომიდან გამოთიშვის პერსპექტივამ¹⁴. ამერიკელი სამხედროებისთვისაც ცხადი იყო ის, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე 1943 წლისათვის დაგეგმილი ევროპაში შეჭრის ოპერაციის განხორციელება სულ უფრო უტოპიური ხდებოდა. მათ ამგვარ თვალსაზრისს ის გარემოებაც განაპირობებდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში საბრძოლო მოქმედებების დასრულება მხოლოდ 1943 წლის მაისისათვის იყო ნავარაუდები. გარდა ამისა, ლა-მანშის გადასალახავად მოკავშირეებს ამჯერად უკვე სულ მცირე 12 დივიზია მაინც ესაჭიროებოდათ¹⁵. 28 იანვარს, 10 დღიანი დებატების შემდეგ, ინგლის-ამერიკის გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გამართულ ბოლო სხდომაზე ჩერჩილსა და რუზველტს 1943 წლისათვის განსახორციელებელი სამარ კამპანიათა გეგმების შესახებ მოხსენება გააცნეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ცნობით აღნიშნულ მოხსენებაში საუბარი იყო გერმანული წყალქვეშა ნაგების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების თაობაზე, რომელიც მოკავშირეებისათვის უწინდებურად პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო. მოხსენებაში ყურადღება ჰქონდა დათმობილი საბჭოთა კავშირისათვის საჭირო რესურსებით დახმარების გაწევის აუცილებლობას. რაც შეეხება ხმელთაშუაზღვისპირეთში განსახორციელებელ საბრძოლო მოქმედებებს, - აქ დაგეგმილი იყო სიცილიის ოკუპაცია, - ხმელთაშუა ზღვის არეალში საკომუნიკაციო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით და ასევე

იტალიაზე ზეწოლის გაძლიერება, რასაც რუსეთის ფრონტიდან გერმანული ნაწილების მოხსნა უნდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, აღნიშნული ოპერაციების განხორციელებით რეგიონში ისეთი მდგომარეობა უნდა შექმნილიყო, რომელიც თურქეთს აქტიური მონაწილის სახით ომში მოკავშირეთა მხარეს დადგომისაკენ უბიძგებდა¹⁶. მოხსენების შემდეგი ნაწილი უშუალოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიიდან საწარმოებელ ოპერაციებს ეძღვნებოდა. აქ საუბარი იყო: გერმანიის სამხედრო ცენტრებზე საჰაერო იერიშების გაძლიერების, შეზღუდული სახის სადესანტო ოპერაციების ჩატარების, ბრიტანეთის კუნძულებზე მოკავშირეთა დიდი ძალების თავმოყრისა და მათი კონტინენტზე ნებისმიერი მომენტისათვის გადასხმის მზადყოფნის შესახებ. ეს უკანასკნელი კი გერმანიის კრახის შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო¹⁷. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა გაერთიანებულმა შტაბმა დაადგინა კოტანტენის ნახევარკუნძულზე შეჭრის ვადა 1943 წლის 1 აგვისტო, უნდა ითქვას, რომ კონფერენციის აღნიშნული გადაწყვეტილება მაინც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ 1943 წლისათვის გერმანიის სამხედრო კრახი ძნელი წარმოსადგენი იყო. სხვა შემთხვევაში კი მოკავშირეები თავს შეიკავებდნენ ლა-მანშის ფორსირებისაგან. გარდა ამისა, კონფერენციაზე არ იქნა დანიშნული ამ სამხედრო ღონისძიების მთავარსარდალი, რასაც დაგეგმვის გაერთიანებული კომიტეტი სასწრაფო საქმედ მიიჩნევდა¹⁸. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ მოკავშირეთა ზემოთხსენებული გადაწყვეტილების მიღება უფრო საბჭოთა კავშირის მხრიდან მწვავე რეაქციის თავიდან აცილებისთვის იყო გამიზნული. გაერთიანებული შტაბის მოხსენების შემდეგი ნაწილი იაპონიის წინააღმდეგ წყნარ ოკეანესა და შორეულ აღმოსავლეთში გასატარებელ სამხედრო ღონისძიებებს ეხებოდა.

აღნიშნული ოპერაციები ისეთი მასშტაბებით უნდა წარმოებულყო, რომ ხელი არ შეშლოდა 1943 წელს მოკავშირეთა მხრიდან გერმანიისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას, თუკი ამისათვის ხელსაყრელი შესაძლებლობა შეიქმნებოდა. ამგვარად გადაწყდა, რომ აღნიშნულ რეგიონში 1943 წლისათვის ბირმის განთავისუფლებისა, მარშალისა და კაროლინის კუნძულების დაკავების ოპერაცია განხორციელდებოდა¹⁹. კასაბლანკის კონფერენციის დამთავრების შემდეგ²⁰ ჩერჩილმა და რუზველტმა ერთობლივი წერილი გაუგზავნეს სტალინს, რომელშიც მას უახლოეს პერიოდში ხმელთაშუა ზღვის რაიონში ჩასატარებელ სამხედრო ოპერაციათა და სამხრეთ ევროპაში ღერძის სახელმწიფოთა საჰაერო დაბომბვების შესახებ შეატყობინეს. ხოლო რაც შეეხება ევროპაში შეჭრას, როგორც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერები წერილში იუწყებოდნენ, ამ მიზნისათვის ინგლისში კონცენტრირებული იქნებოდა ამერიკის ქვეითი და საჰაერო ძალები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად მოემზადებოდნენ კონტინენტზე გადასხმისათვის, როცა ეს შესაძლებელი იქნებოდა²¹. როგორც ჩანს, სტალინი არ დააკმაყოფილა რუზველტისა და ჩერჩილის მიერ მოწოდებულმა ამგვარმა ინფორმაციამ. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თხოვნით მიმართა მოკავშირეებს ეცნობებინათ მისთვის 1943 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გასახსნელად დასახული კონკრეტული გეგმები და მისი განხორციელების ვადები²². 9 თებერვალს დიდი ბრიტანეთის პრემიერმა თავის საპასუხო წერილში, რომლის ტექსტი აშშ-ს პრეზიდენტთან იყო შეთანხმებული, სტალინს აცნობა, რომ მოკავშირეები თავიანთი რესურსების ფარგლებში ენერგიულად ემზადებოდნენ აგვისტოში „არხის“ ფორსირებისათვის. იმ შემთხვევაში თუ ოპერაცია გადაიდებოდა ამინდის ან სხვა მიზეზების გამო, მაშინ ის მომზადდებოდა სექტემბრისათვის უფრო

დიდი ძალების მონაწილეობით. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება, ჩერჩილის შეხედულებით, დამოკიდებული იყო იმაზე თუ რა რაოდენობის ძალებს მოუყრიდნენ თავს გერმანელები კონტინენტზე, მოკავშირეთა შეჭრის მომენტისათვის²³. უნდა ითქვას, რომ მოკავშირეთა ამ განცხადებას შეცდომაში შეჰყავდა საბჭოთა მთავრობა, რადგან, როგორც ცნობილი იყო კასაბლანკის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებით ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა ფაქტობრივად 1944 წლამდე იქნა გადადებული²⁴. 16 თებერვალს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თავისი უკმაყოფილება გამოთქვა მეორე ფრონტის გახსნის ამ ვადებთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული მომენტისათვის შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა ეს ვადები მაქსიმალურად შემცირებულიყო, რათა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტი დასახელებულ დროზე ადრე, - გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში გახსნილიყო²⁵. თავიანთ საპასუხო წერილებში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერებმა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გადავადების მიზეზებად ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა ჯარების საბრძოლო მოქმედებების გაჭიანურება (რაც უამინდობითა და ინგლის-ამერიკის ჯარების გართულებული მომარაგებით იყო გამოწვეული) და სადესანტო საშუალებების ნაკლებობა დაასახელეს²⁶. კერძოდ, ინგლისის პრემიერი თავის 11 მარტის წერილში აღნიშნავდა, რომ მოკავშირეები მხოლოდ აპრილის ბოლოსთვის თუ შეძლებდნენ ჩრდილოეთ აფრიკაზე სრული კონტროლის დამყარებას. ხოლო ოპერაცია „ჰასკი“, რომელიც სიცილიის დაკავებას ითვალისწინებდა, დაგეგმილზე ერთი თვით ადრე ივნისში განხორციელდებოდა. აღნიშნული ოპერაციების ჩატარების ვადები კი ტონაუისა და სადესანტო საშუალებების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ინგლისის პრემიერის ცნობით, იმ

მომენტისათვის ბრიტანეთში ლა-მანშის ფორსირებისათვის ადრე განსაზღვრული 27 ამერიკული დივიზიის ნაცვლად მხოლოდ ერთი დივიზია იდგა, რაც არა ჯარების რაოდენობის, არამედ ტონაჟის ნაკლებობით იყო განპირობებული²⁷. იმის გამო, რომ ინგლისს დიდი ძალისხმევისა და რესურსების გამოყენება უხდებოდა ჩრდილოეთ აფრიკაში, წყნარ ოკეანესა და ინდოეთში სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად, აგრეთვე სსრკ-სათვის დახმარების გასაწევად, ჩერჩილის აზრით, ყოველივე ეს კი ტონაჟისა და სადესანტო საშუალებების რაოდენობაზეც აისახებოდა, რომელიც აუცილებელი იყო ლა-მანშის ფორსირებისათვის. თუმცა იმ შემთხვევაში თუ გერმანია საგრძნობლად დასუსტდებოდა, მოკავშირეები ინგლისის პრემიერის ცნობით, აპირებდნენ აგვისტომდე განხორციელებინათ კონტინენტზე შეჭრის ოპერაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოუმზადებელი და არასაკმარისი ძალებით ნაადრევად ჩატარებული სამხედრო ღონისძიება, მისი შეხედულებით, მარცხისათვის იყო განწირული²⁸.

ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის ამგვარი არგუმენტების გაცნობის შემდეგ საბჭოთა მეთაურმა უკმაყოფილება გამოთქვა ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა ჯარების საბრძოლო მოქმედებათა გაჭიანურების გამო, რამაც მისი აზრით, აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა მდგომარეობა შეამსუბუქა. სტალინი, მართალია მიესალმა ოპერაცია „ჰასკის“ რეალიზაციის დაჩქარებას, თუმცა იქვე შენიშნა, რომ აღნიშნული სამხედრო ღონისძიება თავისი მნიშვნელობით ვერანაირად ვერ შეცვლიდა საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნას. საბჭოთა ლიდერი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ გერმანელები აღმოსავლეთის ფრონტზე ახალი მასშტაბური ოპერაციების განხორციელებისათვის ემზადებოდნენ. სწორედ ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელი იყო მოკავშირეებს დაეჩქარებინათ

დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა და კონტინენტზე გაზაფხულისათვის ან ზაფხულის დასაწყისში შეჭრილიყვნენ²⁹.

ამ დროისათვის კი, 1943 წლის გაზაფხულზე, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიისა და იტალიის ჯარების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს, რომელიც მაისის შუა რიცხვებში ამ უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ უკიდურესად გაართულა ღერძის სახელმწიფოთა მდგომარეობა. ჩრდილოეთ აფრიკის დაკარგვის შემდეგ გერმანელებს სერიოზული საფრთხე ახლა უკვე ევროპის დასავლეთიდან და სამხრეთიდანაც დაემუქრათ, ხოლო ევროპაში მათი მთავარი მოკავშირე იტალია კი – უშუალო დარტყმის წინაშე აღმოჩნდა. შექმნილმა ვითარებამ საჭირო გახადა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებს ერთმანეთთან შეეთანხმებინათ შემდგომი საომარ მოქმედებათა სტრატეგია. ამ მიზნით 1943 წლის 12 მაისს ვაშინგტონში შედგა მორიგი შეხვედრა რუზველტსა და ჩერჩილს შორის. (კონფერენციის კოდური სახელწოდება „ტრაიდენტი“) უნდა აღინიშნოს რომ, კონფერენციაზე ორივე მხარეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციები გააჩნდათ. ინგლისელები ხმელთაშუა ზღვის რაიონში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებით იყვნენ დაინტერესებულნი, რაც სიცილიის დაკავების შემდეგ მოკავშირეთა ჯარების აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრას ითვალისწინებდა³⁰. ინგლისელებისაგან განსხვავებით, ამერიკელები უპირატესობას ტრანსლამანშური სტრატეგიის რეალიზაციას ანიჭებდნენ³¹. დიდი ბრიტანეთის პრემიერის შეხედულებით, ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა მთავარი ამოცანა იტალიის ომიდან გამოთიშვა იყო. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ძალისხმევა გერმანიის ნაადრევ კრახს არ გამოიწვევდა, მას შეეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა თურქეთსა და

ბალკანეთზე. ჩერჩილის მტკიცებით, ბალკანეთში იტალიის 25 დივიზია იმყოფებოდა და მისი ომიდან გამოსვლის შემთხვევაში, გერმანია იძულებული გახდებოდა სსრკ-ს ფრონტიდან საკუთარი დივიზიები მოეხსნა და ბალკანეთში განეღობებინა, ან საერთოდაც კი დაეტოვებინა ეს რეგიონი. გარდა ამისა, იტალიის კაპიტულაციის შედეგად მისი ფლოტი მოკავშირეთა ხელში გადავიდოდა, რაც ჩერჩილის აზრით, ინგლისური სახაზო გემებისა და ავიამზიდების მნიშვნელოვან ნაწილს გამოათავისუფლებდა, რომელიც შესაძლებელი იყო ბენგალის ყურესა და წყნარ ოკეანეში იაპონიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ³². ინგლისის პრემიერის შეხედულებით, სწორედ აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენდა სსრკ-სათვის დახმარების ყველაზე ეფექტურ საშუალებას. რაც შეეხება ევროპაში შეჭრას, ჩერჩილმა მიზანშეწონილად ჩათვალა მისი 1944 წლისათვის გადატანა. თუმცა წარმატების რეალური გარანტიის არქონის შემთხვევაში ის აღნიშნული ღონისძიების კიდევ უფრო შორს გადადების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა³³. სწორედ ამიტომაც ინგლისის პრემიერი საჭიროდ თვლიდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს სიცილიის დაკავების შემდეგ, საბრძოლო მოქმედებები საკუთრივ იტალიის ტერიტორიაზე გადაეტანათ, რათა მოკავშირეთა ჯარები ლა-მანშის ფორსირებამდე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, უმოქმედოდ არ ყოფილიყვნენ³⁴. პრეზიდენტი რუზველტი მოწონებით შეხვდა ჩერჩილის წინადადებას მეორე ფრონტის გახსნის 1944 წლამდე გადადების შესახებ. მან ასევე კმაყოფილება გამოთქვა ომში თურქეთის მოსალოდნელ ჩართვასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლებოდა მოკავშირეთათვის მნიშვნელოვანი ბაზა გამხდარიყო სსრკ-ს ფრონტზე გერმანელთა კომუნიკაციებზე საჰაერო იერიშების მისატანად³⁵. სამაგიეროდ აშშ-ს პრეზიდენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია სიცილიის დაკავების შემდეგ ხმელთაშუა ზღვის რაიონში

ინგლის-ამერიკის ჯარების მხრიდან საომარი მოქმედებების გაფართოება. რუზველტის შეხედულებით, იტალიის ოკუპაცია მოკავშირეთა რესურსების გამოფიტვას გამოიწვევდა, რაც ხელსაც კი შეუწყობდა იქ მყოფი გერმანული დივიზიების გამოთავისუფლებას სხვადასხვა ფრონტებზე საბრძოლველად³⁶. ამიტომ ოპერაცია „ჰასკის“ დასრულების შემდეგ მოკავშირეთა ჯარები ლა-მანშის ფორსირებისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, რომელიც მისი აზრით, ყველაზე საუკეთესო გზა იყო გერმანიის დასამარცხებლად³⁷.

აშშ-ს პრეზიდენტის საპასუხოდ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ლა-მანშის ფორსირება არ განხორციელდებოდა, აუცილებელი იყო მოკავშირეებს თავიანთი მრავალრიცხოვანი ძალები იტალიაში შესაჭრელად გამოეყენებინათ. ინგლისის პრემიერის შეხედულებით მათ ამისათვის არა მთელი იტალიის, არამედ ამ ქვეყნის მხოლოდ პორტებისა და აეროდრომების ოკუპაცია მოუწევდათ. ყოველივე ეს კი აუცილებელი იყო ბალკანეთსა და სამხრეთ ევროპაში შემდგომი ოპერაციების საწარმოებლად³⁸. თუმცა მიუხედავად დიდი მცდელობისა ჩერჩილმა ვერ შეძლო რუზველტი ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებაზე დაეთანხმებინა. როგორც ჩანს, ამერიკელები უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ინგლისელები მათი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო დახმარების გამოყენებით საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობდნენ³⁹. გარდა ამისა, ამერიკელებისათვის ისიც ცხადი იყო, რომ ხმელთაშუა ზღვისპირა სტრატეგიის რეალიზაციას შეეძლო მკვეთრად გაეუარესებინა წყნარი ოკეანის ფრონტზე აშშ-ს მდგომარეობა⁴⁰.

საბოლოოდ ვაშინგტონის კონფერენციაზე მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელთა შეხვედრებზე მხარეებმა მოახერხეს ერთგვარი კომპრომისის მიღწევა. გადაწყდა, რომ

ძირითად სამხედრო ღონისძიებად ლა-მანში ფორსირების ოპერაცია მიჩნეულიყო, რომელიც მოკავშირეებს 1944 წლის 1 მაისამდე უნდა განესორციელებინათ.⁴¹ ამისათვის დაგეგმილი იყო 1943 წლის 1 ნოემბრის შემდეგ ბრიტანეთის კუნძულებზე 4 ამერიკული და 3 ინგლისური დივიზიის თავმოყრა, რომლებსაც აშშ-დან ყოველთვიურად 3-5 ამერიკული დივიზია შეემატებოდა⁴². ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ხმელთაშუა ზღვის რაიონში განსახორციელებელ სამხედრო ღონისძიებებს, კონფერენციის გადაწყვეტილებით, დ. ეიზენჰაუერს დაევადა შეემუშაებინა სიცილიის დაკავების ოპერაციაზე უფრო მასშტაბური გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ „ჰასკის“ რეალიზაციას იტალიის კაპიტულაცია არ მოჰყვებოდა⁴³. სწორედ აღნიშნული დადგენილებით იყო გამოწვეული ვაშინგტონის სამიტის დასრულებისთანავე ჩერჩილის ალჟირში, დ. ეიზენჰაუერის შტაბში, ჯ. მარშალისა და ა. ბრუკის თანხლებით გამგზავრება. როგორც ჩანს, ბრიტანეთის პრემიერს განზრახული ჰქონდა მოკავშირეთა მთავარსარდალი ოპერაცია „ჰასკის“ რეალიზაციის შემდეგ იტალიაში შეჭრაზე დაეთანხმებინა. ინგლისელთა შეხედულებით იტალიის ომიდან გამოსვლით გერმანია იძულებული იქნებოდა ბალკანეთში განლაგებული იტალიური დივიზიები საკუთარით შეეცვალა, რაც მათ ძალებს კიდევ უფრო დაფანტავდა. ყოველივე ამას კი შეეძლო შემდგომში გავლენა ლა-მანში ფორსირებაზეც მოეხდინა. ბრიტანელთა თვალსაზრისით, მოკავშირეებს საფრანგეთში შეჭრა იმ შემთხვევაში გაუადვილდებოდათ თუ გერმანელები მოკლებულნი იქნებოდნენ სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას⁴⁴. დასავლეთ ევროპაში შეჭრისათვის კი მოკავშირეები, ჩერჩილის თქმით მზად 1944 წლის 1 მაისისათვის უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც მათ განკარგულებაში 29 დივიზიისაგან შემდგარი საექსპედიციო არმია

იქნებოდა. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, ბრიტანეთის პრემიერი გერმანიის დამარცხების უეცარი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, დიდი ძალების მონაწილეობით ლა-მანშის გადალახვის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა. ამისათვის, მისი აზრით, აუცილებელი იყო აღნიშნული ღონისძიებისათვის მოკავშირეებს შესაბამისი გეგმები შეემუშაებინათ⁴⁵. რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვის რაიონში საწარმოებელ ოპერაციებს, ინგლისის პრემიერის შეხედულებით მოკავშირეთა მხრიდან სიცილიის იოლად დაკავების შემთხვევაში მათ იტალიაზე შეტევა მხოლოდ იმ პირობით უნდა განეხორციელებინათ თუ აპენინებზე გერმანელთა დიდი ძალების გადასროლა არ მოხდებოდა⁴⁶. საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ ეიზენჰაუერთან გამართულ შეხვედრებზე ინგლისელები ხშირად აქცენტს ფორსირებაზე აკეთებდნენ. ამ გზით სავარაუდოა, მათ ამერიკელებისაგან ხმელთაშუა ზღვის რაიონში საბრძოლო მოქმედებათა გაფართოებაზე თანხმობის მიღება სურდათ. თუმცა ბრიტანელების ამ ძალისხმევას იმედგაცრუება ელოდა. აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსმა ჯ. მარშალმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოკავშირეებს სიცილიის დაკავებამდე აპენინებზე შეჭრის გადაწყვეტილება მიეღოთ. ბრიტანელებისაგან განსხვავებით მარშალი თვლიდა, რომ იტალიის ომიდან გამოთიშვა საჰაერო დაბომბვების გზითაც შეიძლებოდა⁴⁷. ამისათვის საჭირო იყო მოკავშირეებს იერიში არა საკუთრივ იტალიაზე არამედ სარდინიასა და კორსიკაზე მიეტანათ და იქ არსებულ აეროდრომებს დაჰატრონებოდნენ. გარდა ამისა, მისი აზრით ამ სამხედრო ღონისძიებას ის უპირატესობაც გააჩნდა, რომ აღნიშნული კუნძულების დაკავება დიდი ძალების მონაწილეობის გარეშეც იყო შესაძლებელი⁴⁸. ჯ. მარშალისაგან განსხვავებით ეიზენჰაუერი თვლიდა, რომ თუ მოკავშირეებს იტალიის ომიდან გამოთიშვა სურდათ, მათ შეტევა სიცილიის ოკუპაციის

შემდეგ აპენინებზე უნდა მიეტანათ, რაც უფრო მეტ შედეგს მოიტანდა ვიდრე კუნძულების დაკავება. გარდა ამისა, მისი აზრით სიცილიის დაკავების შემდეგ მოკავშირეებს იმაზეც შეექმნებოდათ წარმოდგენა თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდებოდათ მათ უშუალოდ იტალიის ოკუპაციის შემთხვევაში⁴⁹. საბოლოოდ ალჟირში გამართული შეხვედრები კონკრეტული შედეგების მიღწევის გარეშე დასრულდა. დიდი მცდელობის მიუხედავად ინგლისის პრემიერმა ვერ მოახერხა მარშალი იტალიაში შეჭრაზე დაეყოლიებინა. აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდა. აპენინებზე შეჭრის საკითხის განხილვა სიცილიის აღებამდე გადაიდო.

საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარემ, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების მიერ ვაშინგტონის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ფ. რუზველტის წერილით შეიტყო, რომელიც სტალინმა 1943 წლის 4 ივნისს მიიღო. აშშ-ს პრეზიდენტის ცნობით მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის მიერ შემუშავებული ძირითადი სტრატეგიული გეგმები შემდეგი ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებდა, კერძოდ: ღერძის სახელმწიფოთა წყალქვეშა ნაგებობების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ომში თურქეთის აქტიური ან პასიური ფორმით ჩართვას, იაპონიის სამხედრო ძალის შესუსტებას, მასზე ძლიერი ზეწოლის შენარჩუნების გზით, ომში ჩინეთის პოტენციალისა და ბაზების გამოყენებას, საიდანაც შესაძლებელი იყო იაპონიის წინააღმდეგ ოპერაციების წარმოება და აფრიკაში განლაგებული ფრანგული შეიარაღებული ნაწილების დახმარებას, ევროპის ტერიტორიაზე აქტიური საომარ მოქმედებებში მათი მონაწილეობის მიზნით⁵⁰. ამ ღონისძიებების გატარების გარდა აშშ-ს პრეზიდენტი აგრეთვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოპერაცია „ჰასკის“

რეალიზაციას, რასაც საბოლოოდ იტალიის კრახი უნდა მოჰყოლოდა. ყოველივე ეს რუზველტის შეხედულებით გაცილებით გაუადვილებდა მოკავშირეებს სამხრეთ და აღმოსავლეთ გერმანიაზე საჰაერო იერიშების განხორციელებას, რაც საფრთხესაც კი შეუქმნიდა მოწინააღმდეგის პოზიციებს ბალკანეთში⁵¹. საინტერესოა, რომ ანალოგიური აქციებით აპირებდნენ მოკავშირეები საბჭოთა კავშირის დახმარებასაც. აშშ-ს პრეზიდენტის ცნობით საკუთრივ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებზე გაძლიერებული საჰაერო იერიშების განხორციელება, მოწინააღმდეგის არა მარტო სამრეწველო ცენტრებსა და ავიაციას გაანადგურებდა, არამედ დამრთავუნველად იმოქმედებდა გერმანიის მოსახლეობის სულისკვეთებაზეც⁵². რაც შეეხება ევროპაში მეორე ფრონტის ორგანიზების საკითხს, რუზველტი სტალინს ატყობინებდა, რომ კონტინენტზე მოკავშირეთა შეჭრა მომავალი წლისათვის განხორციელდებოდა, როდესაც 1944 წლის გაზაფხულისათვის ბრიტანეთის კუნძულებზე ლა-მანშის ფორსირებისათვის კონცენტრირებული იქნებოდა საჭირო რაოდენობის ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსი⁵³. 11 ივნისს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა საპროტესტო წერილით მიმართა რუზველტსა და ჩერჩილს, რომელშიც იუწყებოდა, რომ აშშ-ს პრეზიდენტისა და ინგლისის პრემიერის მიერ ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგებოდა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ 1943 წლის დასაწყისში მიღებულ გადაწყვეტილებებს. სტალინმა მოკავშირეებს მათი ის დაპირებაც შეახსენა, რომლის თანახმად აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს 1943 წლის აგვისტო-სექტემბრისათვის უნდა მოეხდინათ ლა-მანშის ფორსირება. აღნიშნული ღონისძიების 1944 წლის გაზაფხულისათვის გადატანა კი საბჭოთა მეთაურის აზრით ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებდა

სსრკ-ს, რომელსაც მოკავშირეთა მხრიდან სერიოზული დახმარების გარეშე მოუწევდა ბრძოლის გაგრძელება⁵⁴. საბჭოთა მეთაურის ამ წერილზე პასუხის გაცემა თავისთავზე ჩერჩილმა აიღო. ინგლისის პრემიერი სტალინთან გაგზავნილ წერილში აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირს არანაირ დახმარებას არ აღმოუჩენდა მოკავშირეთა ჯარების ლა-მანშზე შეტევა ასი ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით. ჩერჩილის თვალსაზრისით იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი შეძლებდნენ კონტინენტზე შეჭრას მათ აუცილებლად მოუწევდათ მისი დატოვება, რადგან გერმანელებს საფრანგეთში იმაზე მეტი ძალები გააჩნდათ, ვიდრე მოკავშირეებს ეყოლებოდათ 1943 წლისათვის მათთან დასაპირისპირებლად. გარდა ამისა, სამხედრო სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლობას, რომლებიც მიზანშეუწონლად მიიჩნევდნენ იმ ეტაპისათვის არხის ფორსირებას, ინგლისის პრემიერის შეხედულებით შეეძლო ქვეყანაში პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად არასახარბიელო ატმოსფერო შეექმნა. მითუმეტეს აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას, მისი აზრით მხოლოდ უაზრო მსხვერპლი და გარდაუვალი მარცხი თუ მოჰყვებოდა. ჩერჩილის თქმით საბჭოთა კავშირისათვის დახმარების საუკეთესო გზას ბრძოლების მოგება და არა წაგება წარმოადგენდა⁵⁵. აღსანიშნავია, რომ ინგლისის პრემიერის ამ წერილში გამოთქმული აზრები სრულად გაიზიარა აშშ-ს პრეზიდენტმაც, რის შესახებაც მან აცნობა კიდევ საბჭოთა მეთაურს⁵⁶. გარდა ამისა, ხსენებულ წერილში რუზველტი სტალინს თხოვდა გაგებით მოკიდებოდა ტონაჟის მხრივ შექმნილ მძიმე მდგომარეობას, თუმცა ამასთანავე აშშ-ს პრეზიდენტს იმედს უსახავდა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში მტრის წყალქვეშა ნაგების წინააღმდეგ დაწყებული აქტიური საომარი კამპანია, რომლის შედეგად რუზველტის ცნობით მოკავშირეებმა შეძლეს გაეზარდათ

თავიანთი ტონაჟის მარაგი⁵⁷. ჩერჩილისა და რუზველტის ამ გზავნილებს სტალინმა კიდევ ერთი საპროტესტო წერილით უპასუხა. საბჭოთა მეთაურმა ამჯერად მოკავშირეთა ლიდერების ყურადღება ინგლისის პრემიერის 1942 წლის 10 ივნისის მემორანდუმზე გაამახვილა, რომლის თანახმად 1943 წლისათვის ევროპის კონტინენტზე შეჭრა არა ასე ათასი მეტრძოლის მონაწილეობით, როგორც ამას ახლა აცხადებდა უ. ჩერჩილი, - არამედ 1 მილიონი ჯარისკაცის გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო. სტალინს აგრეთვე არც ის გამორჩა, რომ 1943 წლის თებერვლის ერთობლივ წერილში მოკავშირეთა ლიდერები მას 1943 წლის აგვისტო-სექტემბრისათვის ლა-მანშის ფორსირებას დიდი ძალების მონაწილეობით დაპირდნენ⁵⁸. საბჭოთა კავშირის ინტერესების ამგვარ იგნორირებას კი, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყო ევროპაში მეორე ფრონტის ორგანიზებით, სტალინის აზრით შეეძლო მოკავშირეთა მიმართ მათი ნდობა სერიოზულად შეერყია⁵⁹.

ჩერჩილმა უპასუხოდ სტალინის არც ეს წერილი დატოვა. დიდი ბრიტანეთის პრემიერმა საბჭოთა მეთაურისადმი 27 ივნისს გაგზავნილ წერილში განაცხადა, რომ ის ყოველთვის გულწრფელი იყო მასთან ურთიერთობაში და მოკავშირეთა პირობის შეუსრულებლობის მიზეზებად სამხედრო მოქმედებათა არეალის გაფართოება, სადესანტო გემებისა და ტონაჟის ნაკლებობა დაასახელა⁶⁰. ამჯერად სტალინმა ინგლისის პრემიერის წერილი უკომენტაროდ დატოვა. სამაგიეროდ საბჭოთა ლიდერმა დიპლომატიურ დემარშს მიმართა და ივლისის დასაწყისში ლონდონიდან და ვაშინგტონიდან „საკონსულტაციოდ“ მოსკოვში გამოიწვია სსრკ-ს ელჩები ი. მაისკი და მ. ლიტვინოვი⁶¹. გარდა ამისა, ამგვარი ინტენსიური წერილობითი ურთიერთობის შემდეგ სტალინმა, მოკავშირეთა ლიდერებთან თვენახევრითაც კი შეწყვიტა მიმოწერა

და მხოლოდ აგვისტოს დასაწყისში, კურსკის ბრძოლის მოგების შემდეგ განაახლა ის.

ამ დროისათვის 1943 წლის 10 ივლისს აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა დაიწყეს თავიანთი ჯარების გადასხმა სიცილიაზე. აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისათვის მოკავშირეებმა კუნძულზე 13 დივიზია გადასხეს, რისთვისაც გამოყენებულ იქნა 3 ათასამდე სატრანსპორტო და სადესანტო გემი. ოპერაციას ჰაერიდან მხარს უჭერდა 4 ათასზე მეტი გამანადგურებელი. საწყის ეტაპზე შეტევაში მონაწილეობა მიიღო 160 ათასმა ჯარისკაცმა 600 ტანკისა და 1800 ქვემეხის თანხლებით⁶². მოკავშირეთა შეტევები სწრაფად და წარმატებით განვითარდა. ამერიკელი გენერლის ჯ. პატონისა და ინგლისელი გენერლის ბ. მონტგომერის არმიებს კუნძულზე დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ბევრი სიმაგრე მოკავშირეებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს. შექმნილი რთული ვითარებიდან თავის დასაღწევად მუსოლინიმ ჰიტლერს მიმართა. მათი შეხვედრა 19 ივლისს ჩრდილოეთ იტალიის ქ. ფელტრეში გაიმართა. თუმცა დუჩეს თხოვნის მიუხედავად ჰიტლერმა აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო მას სერიოზული დახმარება ვერ გაუწია. გერმანელებმა სიცილიაში მხოლოდ 2 დივიზია გააგზავნეს⁶³. ამასობაში 22 ივლისს მოკავშირეთა ჯარები პალერმოში შევიდნენ. სიცილიაში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი იტალია ააფორიაქა. 24 ივლისს „დიდმა ფაშისტურმა საბჭომ“ ბ. მუსოლინის უნდობლობა გამოუცხადა. მეორე დღეს მეფე ვიქტორ ემანუელ III-მ ის თანამდებობიდან გადააყენა და დააპატიმრა⁶⁴. იტალიის ახალ მთავრობას სათავეში მარშალი პ. ბადოლიო ჩაუდგა. 26 ივლისს ქვეყანაში საალყო მდგომარეობა იქნა შემოდებული. ამ დროისათვის კი სიცილიაში საომარი მოქმედებები გრძელდებოდა. იტალიურ გარნიზონების სამხედროთა დიდი ნაწილი ინგლისელ-

ამერიკელ ჯარისკაცებს ტყვედ უბრძოლველად ბარდებოდნენ. მოკავშირეებს წინააღმდეგობას მხოლოდ გერმანული დივიზიები თუ უწევდნენ⁶⁵. თუმცა აგვისტოს დასაწყისისათვის კუნძულიდან ევაკუაცია გერმანელებმაც დაიწყეს. 16 აგვისტოს ამერიკელებმა მესინა დაიკავეს. ამით მოკავშირეებმა 38 დღიანი ბრძოლის შემდეგ სიცილიაზე სრული კონტროლი დაამყარეს⁶⁶.

იმავდროულად გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტზე, ხმელთაშუა ზღვის რაიონში განხორციელებულ ოპერაციასთან შედარებით გაცილებით მასშტაბური საომარი კამპანია მიმდინარეობდა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობას იღებდა 4 მილიონზე მეტი ჯარისკაცი. საბჭოთა ჯარების ეფექტური და წარმატებული შეტევის შედეგად, გერმანელებმა კურსკის მიდამოებში სასტიკი დამარცხება იწვნეს. წითელმა არმიამ მტრის 30 დივიზია გაანადგურა. მოწინააღმდეგის საერთო დანაკარგმა 500 ათასამდე ჯარისკაცი, 1500 ტანკი, 3 ათასი ქვემეხი და 3700 თვითმფრინავი შეადგინა⁶⁷. კურსკის ბრძოლის მოგების შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტზე სტრატეგიული ინიციატივა მთლიანად საბჭოთა არმიის ხელში გადავიდა, რომელიც წარმატებით აგრძელებდა გერმანული სამხედრო მანქანის განადგურებას.

ხმელთაშუა ზღვის რაიონსა და გერმანია-სსრკ-ს ფრონტზე განვითარებულმა მოვლენებმა მოკავშირეთა დასავლელ ლიდერებს შემდგომი საომარი კამპანიის ბალკანეთზე გადატანის ინტერესი გაუღვიძა. 1943 წლის 16 ივლისს დიდი ბრიტანეთის პრემიერი უ. ჩერჩილი სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრ ი. სმეტსთან გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ რადგანაც ოპერაცია „ჰასკი“ წარმატებით ხორციელდებოდა, საჭირო იყო მოკავშირეებს საბრძოლო მოქმედებები აპენინებზე გადაეტანათ. ჩერჩილის თქმით მათ ასევე დახმარება უნდა აღმოეჩინათ ბალკანელებისათვის და

მარტო რომისა და ჩრდილოეთ იტალიის დაკავებით არ უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ⁶⁸. ინგლისის პრემიერის მსგავსად, იმ მომენტისათვის აშშ-ს პრეზიდენტიც დაინტერესებული იყო საბრძოლო მოქმედებების ბალკანეთში გადატანით. 1943 წლის 26 ივლისს, ამასთან დაკავშირებით რუზველტი ჩერჩილს აცნობებდა, რომ რომში განვითარებული მოვლენების შემდეგ მოკავშირეებს სამოქმედოდ იტალიის მთელი ტერიტორია უნდა გამოეყენებინათ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლა სრულიად ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაეხადებინათ⁶⁹. აშშ-ს პრეზიდენტის თვალსაზრისის გაცნობის შემდეგ ინგლისის პრემიერმა საკუთარი შეხედულებები უფრო ვრცლად მემორანდუმში ჩამოაყალიბა, რომელიც მუსოლინის რეჟიმის დამხობის შემდეგ მოკავშირეთა სამოქმედო გეგმებს შეეხებოდა. აღნიშნულ მემორანდუმში ჩერჩილმა განსაკუთრებული ყურადღება აპენინებზე განვითარებულ მოვლენებს დაუთმო, რომელსაც ინგლისის პრემიერის შეხედულებით შეექმლო სერიოზული ზემოქმედება მოეხდინა ბულგარეთზე, რუმინეთსა და უნგრეთზე. ამასთანავე ჩერჩილის აზრით, იტალიის კრახი ძლიერი ზეწოლის მანიშნებელი უნდა გამხდარიყო თურქეთისათვის, ამ უკანასკნელის მოკავშირეთა ბანაკში გადასაბარგებლად⁷⁰. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერი აუცილებლად მიიჩნევდა საბერძნეთში, ალბანეთსა და იუგოსლავიაში, ადრიატიკის ზღვიდან თავიანთი აგენტებისა და „კომანდოს“ რაზმების შეგზავნას. მისი შეხედულებით, აპენინის ნახევარკუნძულსა და ადრიატიკის ზღვაზე მოკავშირეთა კონტროლის დამყარებისა და ბალკანეთში განლაგებული იტალიური ჯარების ევაკუირების ან იარაღის დაყრის შემთხვევაში გამორიცხული არ იყო გერმანელთა ძალების უკან დახევა ჩრდილოეთით, მდინარე დუნაიმდე და მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნების დატოვება⁷¹. ამ დროისათვის

გაერთიანებულ ინგლისურ-ამერიკულ შტაბს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება მოკავშირეთა ჯარების სამხრეთ იტალიაში შეჭრის შესახებ. აღნიშნული ოპერაცია კი დიდი ბრიტანეთის პრემიერის შეხედულებით პრელუდია უნდა ყოფილიყო საომარ მოქმედებათა ბალკანეთში გადასატანად. სწორედ ეს საკითხი განიხილებოდა 1943 წლის ივლისში ჩერჩილისა და აშშ-ს თავდაცვის მინისტრს ჰ. სტიმსონს შორის ლონდონში გამართულ შეხვედრაზე, რომლის დროსაც ინგლისის პრემიერმა მოკავშირეთა ჯარებისათვის კონტინენტზე შეჭრის საუკეთესო ადგილად დასავლეთ ევროპის ნაცვლად ბალკანეთი მიიჩნია⁷². ჩერჩილისაგან განსხვავებით სულ სხვა მოსაზრება გააჩნდა აშშ-ს არმიის შტაბების ხელმძღვანელებს, რომლებმაც აგვისტოს დასაწყისში მათ მიერ შემუშავებულ მემორანდუმში ბალკანეთი ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებებისათვის არახელსაყრელ ადგილად ჩათვალეს და პრიორიტეტი ჩრდილოეთ საფრანგეთს მიანიჭეს⁷³. აშშ-ს არმიის შტაბების შეხედულებებს პრეზიდენტი რუზველტიც დაეთანხმა, რომელმაც ცალსახად დაუჭირა მხარი 1944 წლის გაზაფხულისათვის დაგეგმილ ჩრდილო საფრანგეთში შეჭრის ოპერაციას.

ამ დროისათვის მოკავშირეთა საომარ მოქმედებათა შემდგომი გეგმების განსასაზღვრავად დღის წესრიგში დადგა რუზველტსა და ჩერჩილს შორის მორიგი შეხვედრის გამართვის საკითხი. კონფერენცია (კოდური სახელწოდება „კვადრანტი“) 14-დან 24 აგვისტომდე კვებეკში მიმდინარეობდა⁷⁴. უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე ინგლისელები კიდევ შეეცადნენ ამერიკელებისათვის თავიანთი „იტალიურ-ბალკანური“ ვარიანტის უპირატესობა დაემტკიცებინათ, რომელიც მოკავშირეთა ჯარების მიერ იტალიის დაკავების შემდეგ საბრძოლო მოქმედებების ბალკანეთში გადატანას ითვალისწინებდა. მართალია ა. ბრუკი დაეთანხმა ჯ. მარშალს იმაში,

რომ 1944 წლისათვის მოკავშირეებს უმთავრეს ოპერაციად „ოვერლორდი“ ელიარებინათ, თუმცა დიდი ბრიტანეთის იმპერიული შტაბის უფროსის აზრით, ლა-მანშის ფორსირება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი თუ დასავლეთ ევროპაში განლაგებული გერმანელთა ძალების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებული იქნებოდა⁷⁵. რაც შეეხება თავად ინგლისის პრემიერის პოზიციას, მისი შეხედულებით ოპერაცია „ოვერლორდის“ რეალიზაციისათვის საჭირო იყო რიგი პირობების გათვალისწინება. კერძოდ, ჩერჩილი მიიხნევდა, რომ ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი თუ იმ მომენტისათვის კონტინენტზე მოწინააღმდეგეს 12 დივიზიაზე მეტი არ ეყოლებოდა და ჯარების გადასხმის რაიონში მოკავშირეებს ჰაერში უპირატესობა ექნებოდათ. გარდა ამისა, გერმანელებს ლა-მანშის ფორსირებიდან 2 თვის განმავლობაში არ უნდა მისცემოდათ დამატებით 15 დივიზიის მობილიზების შესაძლებლობა⁷⁶. ჩერჩილისაგან განსხვავებით, რომელიც ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდა ლა-მანშის ფორსირების ოპერაციას და უპირატესობას ბალკანეთში საბრძოლო მოქმედებათა გადატანას ანიჭებდა, შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვის გერმანიის დასამარცხებლად ყველაზე ეფექტურ გზას ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა წარმოადგენდა. აშშ-ს სტრატეგიული ინტერესებისათვის უფრო მნიშვნელოვანი გერმანიის რურისა და საარის ოლქების დაკავება იყო, ვიდრე ბალკანეთის ოკუპაცია. სწორედ ამით იყო გამოწვეული რუზველტის მიერ კვებეკის კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ჯარებს გერმანიის დედაქალაქი მანამდე უნდა დაეკავებინათ, სანამ ბერლინში საბჭოთა არმია შეიჭრებოდა⁷⁷. გარდა ამისა, ბალკანეთი რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ინგლისის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა

ნაკლებად მიმზიდველი იყო შეერთებული შტატებისათვის, რომელსაც აღნიშნულ რეგიონში ბრიტანეთისაგან განსხვავებით სუსტი გავლენა ჰქონდა⁷⁸. ინგლისის პრემიერს კი, რომელიც ე.წ. ხმელთაშუა ზღვისპირა პროექტის რეალიზაციით იყო დაინტერესებული და რომლის სტრატეგიასაც სამხედროზე მეტად პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად, სურდა მეორე ფრონტის ბალკანეთში გახსნით მოკავშირეებს ევროპის სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი დაეკავებინათ და ამით ხელი შეეშალათ აღნიშნულ რეგიონში საბჭოთა არმიის შეჭრისათვის.

საბოლოოდ, კვებეკის კონფერენციაზე პრეზიდენტმა რუზველტმა შეძლო მტკიცედ დაეცვა „ოვერლორდი“ და წინ აღდგომოდა ბალკანეთში საომარ მოქმედებათა გადატანას. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტმა ჩერჩილი სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრაზეც დაითანხმა. (ოპერაციის კოდური სახელწოდება „ენვილი“, შემდეგ „დრაგუნი“) თავის მხრივ, ინგლისის პრემიერმა, მართალია ვერ მოახერხა რუზველტი საკუთარი სტრატეგიის უპირატესობაში დაერწმუნებინა, თუმცა კონფერენციის გადაწყვეტილებები, რომლებიც იტალიაში მოკავშირეთა საბრძოლო მოქმედებათა წარმოებას შეეხებოდა მას ბალკანური პროექტის რეალიზაციის იმედს უსახავდა. 24 აგვისტოს კონფერენციამ მოიწონა გაერთიანებული შტატების ხელმძღვანელთა კომიტეტის მიერ მომზადებული შემაჯამებელი მოხსენება მოკავშირეთა 1943-1944 წლებში განსახორციელებელ სტრატეგიული გეგმების შესახებ. აღნიშნული მოხსენების თანახმად ევროპაში შემდეგი ღონისძიებები იყო დაგეგმილი, კერძოდ: 1) გერმანიის საჰაერო დაბომბვები 2) ოპერაცია „ოვერლორდის“, როგორც მოკავშირეთა ძირითადი სამხედრო ღონისძიებების 1944 წლის 1 მაისისათვის განხორციელება 3) „ოვერლორდის“ ალტერნატივად ოპერაცია „იუპიტერის“

(ნორვეგიაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის კოლური სახელწოდება) გეგმის მომზადება, იმ შემთხვევაში თუ ლა-მანშის ფორსირება შეუძლებელი იქნებოდა 4) იტალიაში საომარი კამპანიის სამ ეტაპად წარმოება, რომლის I ეტაპი - იტალიის ომიდან გამოთიშვასა და რომის რაიონში სამხედრო ბაზების შექმნას, II ეტაპი - სარდინიასა და კორსიკის დაკავებას, ხოლო III ეტაპი - ჩრდილოეთ იტალიაში განლაგებულ გერმანელთა ჯარებზე მუდმივ ზეწოლას ითვალისწინებდა 5) მოკავშირეთა ჯარების სამხრეთ საფრანგეთში შეჭრა 6) გერმანიის უეცარი კრახის შემთხვევაში კონტინენტზე დესანტის გადასხმა (ოპერაცია „რენკინი“) და 7) ბალკანეთში შეზღუდული სახის აქციების ჩატარება, რომელიც აღნიშნულ რეგიონში მცირერიცხოვანი დივერსიულ-სადესანტო ჯგუფების მოქმედებას, პარტიზანთა ჰაერიდან და ზღვიდან მომარაგებასა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების დაბომბვებს ითვალისწინებდა⁷⁹.

კონფერენციის დასრულების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს კვებეკში მიღებული გადაწყვეტილებები აცნობეს⁸⁰. მოკავშირეთა ლიდერები თავიანთ ერთობლივ წერილში, ევროპაში 1943-1944 წლებში განსახორციელებელ საომარ მოქმედებათა შესახებ იუწყებოდნენ, რომ ლა-მანშის ფორსირების მიზნით კვლავაც გააგრძელებდნენ გერმანიის საჰაერო დაბომბვებს და ბრიტანეთის კუნძულებზე მოახდენდნენ ამერიკული ჯარების კონცენტრაციას. აგრეთვე დაიკავებდნენ იტალიას, კორსიკასა და სარდინიას, რომელთაც, როგორც მოკავშირეთა ბაზებს, გერმანიის წინააღმდეგ საომარი კამპანიის საწარმოებლად გამოიყენებდნენ, ხოლო ბალკანეთში შეზღუდული სახის ოპერაციებს განახორციელებდნენ⁸¹. აღსანიშნავია, რომ წერილში არაფერი იყო ნათქვამი დასავლეთ

ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის კონკრეტული დროის შესახებ. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მოკავშირეთა ლიდერების ეს წერილი უპასუხოდ დატოვა.

ამ დროისათვის, 1943 წლის სექტემბრის დასაწყისში აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ხმელთაშუა ზღვის რაიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებები განაახლეს. მას შემდეგ რაც 3 სექტემბერს სიცილიაში ხელი მოეწერა იტალიასთან დაზავებას⁸². მოკავშირეთა ჯარები სამხრეთ იტალიაში შეიჭრნენ და ნეაპოლის მიმართულებით წინსვლა დაიწყეს. 8 სექტემბერს იტალიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ ჩერჩილს სტიმული მისცა ხელახლა დაეწყო ბრძოლა „ბალკანური სტრატეგიის“ რეალიზებისათვის. ინგლისის პრემიერის ყურადღება ამჯერად დოდეკანესის კუნძულებმა (როდოსი, ლეროსი, კოსი, სიმი, სტამპალია და სხვ.) მიიპყრო. მისი შეხედულებით აღნიშნული კუნძულების დაკავებით, რომელთაც იქ არსებული საზღვაო და საჰაერო ბაზების გამო დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნდა, მოკავშირეები შეძლებდნენ ეგეოსის ზღვაზე სრული კონტროლის დამყარებას⁸³. ყოველივე ეს კი, ჩერჩილის აზრით სერიოზულ ზემოქმედებას მოახდენდა თურქეთზე, რომლის პოზიციას ინგლისის პრემიერისათვის საკუთარი ბალკანური პროექტის ხორცშესასხმელად არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა⁸⁴.

სექტემბრის დასაწყისში ინგლისის პრემიერი, საკუთარი შეხედულების რუზველტისათვის გასაცნობად ვაშინგტონში ჩავიდა. აშშ-ს პრეზიდენტმა მოიწონა დოდეკანესის კუნძულების დაკავების გეგმა. აღნიშნულ ოპერაციას მხარი მოკავშირეთა გაერთიანებულმა შტაბმაც დაუჭირა⁸⁵. ამის შემდეგ ინგლისელებმა 10 სექტემბერს ეგეოსის ზღვაში საომარი მოქმედებები დაიწყეს⁸⁶. თავდაპირველად მათ დოდეკანესის არქიპელაგის რამდენიმე კუნძული, მათ შორის,

ღეროსი და კოსი დაიკავეს. გერმანელების მედგარი წინააღმდეგობის გამო როდოსის ოკუპაცია მარცხით დასრულდა. ამ უკანასკნელის დაკავების გარეშე მოკავშირეთა ჯარების წარმატება ყოველგვარ აზრს კარგავდა⁸⁷. სწორედ ამიტომ 25 სექტემბერს ინგლისის პრემიერმა დ. ეიზენჰაუერს როდოსის დასაკავებლად დამატებითი ძალების გამოყოფა სთხოვა. 7 ოქტომბერს კი ასეთივე თხოვნით მან პრეზიდენტ რუზველტს მიმართა⁸⁸. აშშ-ს პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში ჩერჩილი წუხილს გამოთქვამდა ეგეოსის ზღვაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, რომელიც დოდეკანესის არქიპელაგის კუნძულებზე გერმანელთა წარმატებული კონტრშეტევებით იყო გამოწვეული⁸⁹. მოვლენების ამგვარ განვითარებას კი, ინგლისის პრემიერის აზრით შეეძლო იტალიური კამპანიის წარმატებით განხორციელებაზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა, რადგანაც აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულები, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური თვალსაზრისით ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და ერთიან საომარ მოქმედებათა თეატრს წარმოადგენდა. ჩერჩილის შეხედულებით სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ გერმანელები ბალკანეთში მოსალოდნელი არასასურველი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით დოდეკანესის კუნძულების შენარჩუნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გარდა ამისა, მისი აზრით აღნიშნულ რეგიონში მოკავშირეთა საბრძოლო მოქმედებების გააქტიურებას შეეძლო იტალიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების მსგავსი რეაქცია ბალკანეთის ქვეყნებში: კერძოდ, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, საბერძნეთსა და იუგოსლავიაში გამოეწვია. გამორიცხული არც ის იყო, რომ მოვლენების ასეთ განვითარებას გერმანიის წინააღმდეგ ომში თურქეთის ჩაბმაც მოჰყოლოდა. ყოველივე ეს კი, ინგლისის პრემიერის აზრით მნიშვნელოვნად

გაიაღვილებდა მოკავშირეებს იტალიაში საომარი კამპანიის წარმოებას⁹⁰. რაც შეეხება საკუთრივ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საბრძოლო მოქმედებების გადატანას, ჩერჩილი წერილში აცხადებდა, რომ ის ამის განხორციელებას აღნიშნულ რეგიონში არა მოკავშირეთა ჯარების გაგზავნით, - არამედ „კომანდოსთა“ რაზმებისა და აგენტების გამოყენებით აპირებდა, რათა ხელი შეეწყო იქ გაჩაღებული პარტიზანული ბრძოლებისათვის. ინგლისის პრემიერი იმედოვნებდა, რომ ასეთი ტიპის აქციებით მოკავშირეები შეძლებდნენ მნიშვნელოვანი შედეგებისათვის მიედწიათ. ყოველივე ამის პრელუდიად კი ჩერჩილს, უპირველეს ყოვლისა როდოსისა და დოდეკანესის სხვა კუნძულების დაკავების ოპერაცია მიაჩნდა, რომელიც მოკავშირეებს სწრაფად და გაბედულად, კარგად მომზადებული საჯარისო კონტინგენტის მონაწილეობით იმ შემთხვევაშიც უნდა განხორციელებინათ, თუკი ამისათვის აუცილებელი გახდებოდა ლა-მანშის ფორსირებისათვის განკუთვნილი სადესანტო გემების გამოყენება⁹¹. ინგლისის პრემიერისათვის, შეიძლება ითქვას, მოულოდნელიც კი აღმოჩნდა რუზველტის პასუხი, რომელმაც ფაქტობრივად უარი განაცხადა ინგლისელების დახმარებაზე. აშშ-ს პრეზიდენტი ჩერჩილისათვის გაგზავნილ წერილში აცხადებდა, რომ მას არ სურდა ეიზენჰაუერისათვის თავს ისეთი ოპერაციები მოეხვია, რომლებიც ხელს შეუშლიდა იტალიაში მიმდინარე საომარი კამპანიის სწრაფად და წარმატებით განვითარებას. გარდა ამისა, მისი აზრით დაუშვებელი იყო მოკავშირეთა ძალებისა და შეიარაღების ამგვარი გადანაცვლება, რომელსაც შეეძლო საფრთხის ქვეშ დაეყენებინა ოპერაცია „ოვერლორდის“ დათქმულ ვადებში განხორციელება. პრეზიდენტის ამ შეხედულებებს, თავის მხრივ მხარი აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელებმაც დაუჭირეს⁹². ინგლისის პრემიერი, რუზველტის

ასეთმა პასუხმა მეტად რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩერჩილი განსაკუთრებით იმ გარემოებამ აღაშფოთა, რომ დოდეკანესის კუნძულების დაკავების ოპერაცია, რომელიც თავად პრეზიდენტისა და აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელთა მიერ იყო მოწონებული, მას ახლა მხოლოდ საკუთარი ძალებით, ამერიკელთა დახმარების გარეშე უნდა განეხორციელებინა. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერმა არადამაჯერებლად მიიჩნია რუზველტის არგუმენტები იმის შესახებ, რომ თითქოს აღნიშნული ოპერაცია რაიმე საფრთხეს შეუქმნიდა „ოვერლორდის“ რეალიზაციას⁹³. 8 ოქტომბერს, როდოსის დაკავების თხოვნით, ჩერჩილმა რუზველტს კიდევ ერთხელ მიმართა⁹⁴. ინგლისის პრემიერისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში აშშ-ს პრეზიდენტი იუწყებოდა, რომ როდოსისა და დოდეკანესის კუნძულების დაკავების ოპერაცია მოკავშირეთა მხრიდან დიდი რესურსების გამოყენებას საჭიროებდა. ყოველივე ეს კი შესაბამისად ან იტალიის ფრონტიდან ან კიდევ ლა-მანშის ფორსირებისათვის განკუთვნილი ძალების მოხსნას გამოიწვევდა, რაც მისთვის მიუღებელი იყო. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტის შეხედულებით, მოკავშირეები რომის ჩრდილოეთით საომარი კამპანიის წარმოების გზით უფრო შეძლებდნენ ბალკანეთისათვის საფრთხის შექმნას, ვიდრე როდოსის დასაკავებლად მეტად სარისკო სადესანტო ოპერაციების განხორციელებით⁹⁵. საბოლოოდ, ინგლისელებმა დიდი მცდელობის მიუხედავად, ამერიკელთა მხრიდან სერიოზული დახმარების გაწევის გარეშე, ვერ მოახერხეს როდოსისა და დოდეკანესის სხვა კუნძულების შენარჩუნება. გერმანელებმა საზღვაო და საჰაერო სადესანტო ძალების გამოყენებით კვლავ შეძლეს არქიპელაგზე თავიანთი გავლენის აღდგენა. მოვლენების ამგვარმა განვითარებამ კი ხელი შეუშალა ჩერჩილის ბალკანური გეგმების რეალიზებას. ინგლისის პრემიერის შეხედულებით, სწორედ ეგეოსის ზღვაში

განცდილი მარცხით იყო გამოწვეული თურქეთის პოზიცია, რომელმაც უარი განაცხადა მოკავშირეთათვის საკუთარი აეროდრომების გადაცემასა და 1943 წლის შემოდგომისათვის გერმანიასთან ომში ჩაბმაზე⁹⁶. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, ჩერჩილი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას საკუთარი ბალკანური პროექტის განხორციელებისათვის.

1943 წლის 19-30 ოქტომბერს მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობას სამი ქვეყნის სსრკ-ს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები მ. მოლოტოვი, კ. ჰალი და ე. იდენი იღებდნენ, ინგლისის პრემიერი შეეცადა საკუთარი საგარეო საქმეთა მინისტრის მეშვეობით, ბალკანეთის რეგიონის მიმართ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ შეექცო⁹⁷. კერძოდ ჩერჩილს აინტერესებდა დაუჭერდა თუ არა მხარს სსრკ ეგეოსის ზღვაში მოკავშირეთა საბრძოლო მოქმედებებს. აგრეთვე თურქეთის ომში ჩაბმას, დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გახსნას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ინგლისის სამხედრო საზღვაო და სავაჭრო გემებს საბჭოთა ფრონტისათვის დახმარება აღმოეჩინათ. ინგლისის პრემიერი ასევე იმითაც ინტერესდებოდა თუ რამდენად იყო სსრკ მოწადინებული, თურქეთისა და მოკავშირეთა ქვეყნების შეიარაღებული ძალების მოსამარაგებლად ინგლის-ამერიკის სამხედრო გემებისათვის შავ ზღვაში თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცა. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერს სურდა გაერკვია მისაღები იქნებოდა თუ არა საბჭოთა მხარისათვის აღნიშნულ რეგიონში მოკავშირეთა ამგვარი გააქტიურება თუ ისინი კვლავინდებურად უპირატესობას მხოლოდ საფრანგეთში შეჭრას მიანიჭებდნენ⁹⁸. უნდა აღინიშნოს რომ, საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ომის საწყის ეტაპზე დაინტერესებულიც კი იყო მეორე ფრონტის ბალკანეთში გახსნით⁹⁹,

ამჯერად ეს რეგიონი ასეთი ოპერაციისათვის მიზანშეუწონლად მიიჩნია და მათთვის ერთადერთ მისაღებ სამხედრო ღონისძიებად ლა-მანშის ფორსირება დაასახელა¹⁰⁰. გარდა ამისა, მოსკოვის კონფერენციაზე საბჭოთა მხარემ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციათა წარმომადგენლებისაგან 1944 წლის გაზაფხულისათვის ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის განზრახვის დადასტურებაც მოითხოვა¹⁰¹. ამის საპასუხოდ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა გენერალმა ჰ. ისმემ მოკავშირეთა სახელით განაცხადა, რომ ლა-მანშის ფორსირება 1944 წლისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი მოკავშირეთა ჯარების ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის მომენტისათვის აღნიშნულ რაიონში ხელსაყრელი კლიმატური პირობები იქნებოდა, ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა გერმანელთა ავიაციის მოქმედება, მოწინააღმდეგეს კონტინენტზე 12 დივიზიაზე მეტი არ ეყოლებოდა და ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ არხის გადალახვიდან პირველი 2 თვის განმავლობაში გერმანელებს ამ რეგიონში არ უნდა მიცემოდათ დამატებით 15 დივიზიის გადასროლის შესაძლებლობა¹⁰². უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე, როგორც ჰ. ისმემ ასევე ამერიკელმა დელეგატმა გენერალმა ჯ. დინმაც დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის კონკრეტული ვადების დასახელებისაგან თავი შეიკავეს¹⁰³. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. იდენმა კი 27 ოქტომბერს საბჭოთა მეთაურთან შეხვედრის დროს საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა 1944 წლის გაზაფხულისათვის ლა-მანშის ფორსირების შესაძლებლობა¹⁰⁴. ამის მიზეზად მან იტალიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა დაასახელა და სტალინს, ჩერჩილის დაავალებით გენერალ ჰ. ალექსანდერის ცნობა გადასცა, რომელიც აპენინებზე მოკავშირეთა ჯარების წარუმატებლობის შემთხვევაში ჩრდილოეთ

საფრანგეთში შეჭრის შეფერხებასაც არ გამორიცხავდა¹⁰⁵. საინტერესოა აღინიშნოს, ის რომ თავად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის შეხედულებით იტალიის ფრონტზე მყოფი ინგლის-ამერიკის ჯარების რაოდენობა ვერ იძლეოდა მოკავშირეთა წინაშე დასმული ამოცანების შესრულების საშუალებას. სწორედ ამიტომ ინგლისის პრემიერი მოსკოვში, თავის საგარეო მინისტრთან გაგზავნილ წერილში მიზანშეუწონლად მიიჩნევდა „ოვერლორდის“ დათქმულ ვადებში განხორციელებას, რადგან ამას შეეძლო მარცხისათვის გაეწირა იტალიაში მიმდინარე ოპერაციები და ხელი შეეშალა ბალკანეთთან მიმართებაში მოკავშირეთა გეგმების რეალიზებისათვის. გარდა ამისა, ჩერჩილის აზრით ინგლის-ამერიკის ჯარებს მხოლოდ გერმანიის კრახის შემთხვევაში უნდა მოეხდინათ ლა-მანშის ფორსირება. სხვა ვითარებაში კი „ოვერლორდისათვის“ განკუთვნილი ძალები არასაკმარისი იქნებოდა მოწინააღმდეგესთან დასაპირისპირებლად¹⁰⁶. საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ ინგლისის პრემიერის შეხედულებით ყოველივე ეს არ ნიშნავდა „ოვერლორდის“ უარყოფას, რომელიც 1944 წლისათვის ძირითად ოპერაციად უნდა დარჩენილიყო. ის მხოლოდ აუცილებლად მიიჩნევდა ლა-მანშის ფორსირების თუნდაც ივლისამდე გადადებას, რათა მანამდე მოკავშირეთა ჯარებს იტალიის დედაქალაქის დაკავება მოესწროთ¹⁰⁷.

საბოლოოდ, მოსკოვის კონფერენციაზე, რომელზეც საკითხთა ფართო სპექტრი განიხილებოდა¹⁰⁸, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა საბჭოთა მხარეს ვაშინგტონისა და კვებეკის კონფერენციებზე, ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის მიერ 1944 წლის გაზაფხულისათვის მეორე ფრონტის გახსნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში დატოვება დაუდასტურეს. თუმცა კ. ჰალისა და ე. იდენის განცხადებით ლა-მანშის ფორსირების მომენტისათვის გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გენერალ ჰ.

ისმეის მიერ ჩამოთვლილი პირობები¹⁰⁹. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ხელი შეუწყო ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი ქვეყნების კიდევ უფრო დაახლოებას, რაც კარგ წინაპირობას ქმნიდა სამი სახელმწიფოს მეთაურთა შორის უმაღლესი დონის შეხვედრის ჩატარებისათვის, რომლის გამართვის ადგილად საბოლოოდ თეირანი შეირჩა.

ნოემბრის ბოლოს, თეირანის კონფერენციის მომზადების პერიოდში, მოკავშირეთა ერთიანი სტრატეგიის შემუშავების მიზნით კაიროში ჩერჩილსა და რუზველტს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. კაიროს კონფერენცია, (კოდური სახელწოდება „სექსტანტი“) რომელიც 22 ნოემბერს გაიხსნა ძირითადად წყნარი ოკეანის საომარ მოქმედებათა თეატრს მიეძღვნა. მასში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან და აშშ-ს პრეზიდენტთან ერთად ჩინეთის ლიდერი გენერალსიმუსი ჩან კაიშიც მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ვ. მოლოტოვი. თუმცა სტალინმა იაპონიასთან ურთიერთობების უკიდურესად გაუარესების შიშით, რადგანაც კონფერენცია იაპონიის წინააღმდეგ ომის წარმოების გეგმების განხილვას უნდა დათმობოდა,¹¹⁰ თავი შეიკავა სახალხო კომისრის ეგვიპტის დელაქალაქში გაგზავნისაგან.¹¹¹ კონფერენციაზე აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მეთაურებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც იაპონიისათვის წყნარ ოკეანეში 1941 წლის შემდეგ დაპყრობილი ყველა კუნძულის ჩამორთმევას და იაპონელთა მიერ დაკავებული ყველა ჩინური მიწის (მათ შორის მანჯურიისა და ტაივანის) ჩინეთისათვის გადაცემას ითვალისწინებდა¹¹². ჩინეთის საკითხის განხილვის შემდეგ ჩერჩილმა და რუზველტმა ყურადღება ევროპის საომარ მოქმედებათა თეატრს დაუთმეს. მათ ხმელთაშუა ზღვის რაიონში და იტალიის ფრონტზე

შექმნილი მდგომარეობა გაანალიზეს. უნდა აღინიშნოს, რომ კაიროს კონფერენციაზე ჩერჩილი კიდევ ერთხელ შეეცადა ამერიკელები საკუთარი სტრატეგიის უპირატესობაში დაერწმუნებინა. მართალია, ინგლისის პრემიერმა „ოვერლორდი“ მოკავშირეთა ძირითად სამხედრო ღონისძიებად მიიჩნია, თუმცა მისი შეხედულებით, აღნიშნულ ოპერაციის განხორციელებას ხელი არ უნდა შეეშალა ხმელთაშუა ზღვის არეალში სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებებისათვის. კერძოდ ჩერჩილს მხედველობაში ჰქონდა რომის და როდოსის დაკავება, იტალიაში პიზა-რიმინის ხაზამდე მოკავშირეთა ჯარების გასვლა, იუგოსლაველი პარტიზანების მომარაგება და ეგეოსის ზღვის გახსნა¹¹³. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერი თვლიდა, რომ მოკავშირეებს პიზა-რიმინის ხაზამდე გასვლის შემდეგ უნდა გადაეწყვიტათ თუ რომელი მიმართულებით გაეგრძელებინათ შეტევა – მარცხნივ, სამხრეთ საფრანგეთის მიმართულებით თუ მარჯვნივ – ბალკანეთისაკენ¹¹⁴. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელებმა, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი არ დაეშვათ ზმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა ძალების კიდევ უფრო დაქსაქსვა და ლა-მანშის ფორსირების გადადება ჩერჩილის შეხედულებები არ გაიზიარეს¹¹⁵.

საბოლოოდ, კონფერენციის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ,¹¹⁶ რომელსაც მოკავშირეთა ევროპულ სტრატეგიასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს დელეგაციები კაიროდან თეირანს გაემგზავრნენ.

თეირანის კონფერენცია (კოდური სახელწოდება „ევრიკა“) 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. მასში აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მეთაურების გარდა სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყებათა ხელმძღვანელები, პოლიტიკური და

სამხედრო მრჩევლები მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება მოკავშირეთა სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრის საკითხებს დაეთმო. მათ შორის ერთ-ერთ უმთავრესს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის დროისა და ადგილის დადგენა წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ სამი ქვეყნის მეთაურთა შეხვედრის მოწყობის საკითხი ხელახლა 1943 წლის გაზაფხულზე წამოიჭრა, როდესაც რუზველტმა, საბჭოთა კავშირში აშშ-ს ყოფილი ელჩის ჯ. დევისის მეშვეობით, სტალინს ბერინგის სრუტის სანაპიროზე ჩერჩილის მონაწილეობის გარეშე შეხვედრის გამართვა შესთავაზა¹¹⁷. მაშინ სტალინმა ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო ივლის-აგვისტომდე აშშ-ს პრეზიდენტთან შეხვედრაზე უარი განაცხადა¹¹⁸. თუმცა მან ორმხრივი შეხვედრის ნაცვლად, მიზანშეწონილად მიიჩნია კონფერენციის გამართვა სამი ქვეყნის მეთაურთა მონაწილეობით¹¹⁹. ამის შემდეგ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ლიდერების მიერ უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობის ადგილად რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ფერბენქსი¹²⁰, კაირო, ბაღდადი¹²¹, ასმარა, ბასრა, ანკარა¹²², ხართუმი და კუნძული კვიპროსი¹²³ დასახელდა. სტალინისათვის ყველა ეს ადგილი მიუღებელი აღმოჩნდა. საბჭოთა მეთაურს შეხვედრისათვის ყველაზე შესაფერის პუნქტად ირანის დედაქალაქი თეირანი მიაჩნდა. სხვა შემთხვევაში ის უარს აცხადებდა სამიტში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად კონფერენციაზე ვ. მოლოტოვის გაგზავნას აპირებდა¹²⁴. საბოლოოდ, სტალინის პოზიციამ განსაზღვრა კიდევ „დიდი სამეულის“ ლიდერების შეხვედრის ადგილი.

თეირანის კონფერენციამ მუშაობა 28 ნოემბერს დღის 4 საათზე დაიწყო. სხდომა რუზველტმა გახსნა. პრეზიდენტმა პირველად წყნარი ოკეანის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა მიმოიხილა და ხაზგასმით აღნიშნა ის, რომ იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი

სიმძიმის საკუთარ მხრებზე გადატანა აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს უწევდათ. რუზველტი წყნარ ოკეანეში განსახორციელებელ იმ სამხედრო ღონისძიებებსაც შეეხო, რომელსაც მისი შეხედულებით გერმანიის კრახის შემდეგ იაპონიის სწრაფად დასამარცხებლად იყო საჭირო. ასეთ ღონისძიებებად მან ჩრდილოეთ ბირმის განთავისუფლება, რეგიონში საზღვაო კომუნიკაციების გახსნა, ომში ჩინეთის მხარდაჭერა და მის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ბაზების შექმნა დაასახელა, საიდანაც მომავალი წლისათვის იაპონიაზე საჰაერო დაბომბვები უნდა განხორციელებულიყო¹²⁵. წყნარ ოკეანეში შექმნილი მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა ყურადღება დასავლეთ ევროპაში შეჭრის ოპერაციას დაუთმო. კერძოდ მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა ამერიკელები და ინგლისელები უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში ადგენდნენ ლა-მანშის ფორსირების გეგმას, მათ ვერ შეძლეს ამ ოპერაციის დაწყების ვადის განსაზღვრა. რუზველტმა ამის მიზეზად ტონაჟის ნაკლებობა და არხის გადალახვის სირთულე დაასახელა, რის გამოც კვებეკში მიღებული გეგმის მიხედვით, კონტინენტზე მოკავშირეთა ჯარების შეჭრის თარიღად 1944 წლის 1 მაისი იქნა მიჩნეული¹²⁶. ამის შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სადესანტო ოპერაციებში მონაწილეობის საკითხს შეეხო და შესაძლებლად მიიჩნია მათი გამოყენება იტალიაში, ადრიატიკისა და ეგეოსის ზღვის რაიონებში, აგრეთვე თურქეთის დასახმარებლად ამ უკანასკნელის ომში ჩაბმის შემთხვევაში. თუმცა რუზველტმა იქვე შენიშნა, რომ აღნიშნული ოპერაციების განხორციელებას შეეძლო ლა-მანშის ფორსირების 2-3 თვით გადადება გამოეწვია. სწორედ ამიტომ მან მიზანშეწონილად ჩათვალა ამ საკითხზე საბჭოთა მეთაურის აზრის გაგება¹²⁷. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვამ გაოცება თვით

ამერიკელთა დელეგაციის წევრებს შორისაც კი გამოიწვია,¹²⁸ რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ის მტკიცედ დაიცავდა „ოვერლორდს“¹²⁹. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, კერძოდ ი. უნდასინოვის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად პრეზიდენტის ამ განცხადების ძირითად მიზეზად სსრკ-ში აშშ-ს საელჩოს მხრიდან რუზველტისათვის მიწოდებული არასწორი ინფორმაცია სახელდება, თითქოს საბჭოთა მთავრობა უფრო დაინტერესებული იყო 1943 წელს ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებით, ვიდრე 1944 წლისათვის დასავლეთ ევროპაში შეჭრით¹³⁰. გარდა ამისა, მისი აზრით არც ის იყო გამორიცხული, რომ რუზველტს, რომელიც თავის დროზე დიდ ინტერესსაც კი იჩენდა „ხმელთაშუაზღვის სტრატეგიის“ რეალიზების მიმართ, საბჭოთა მთავრობის მხრიდან წინააღმდეგობის გაუწევლობის შემთხვევაში თანხმობა განეცხადებინა „ოვერლორდის“ გადადებაზე¹³¹. კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტის აღნიშნულ განცხადებას განაპირობებდა ის იყო, რომ რუზველტს სურდა საბჭოთა მთავრობისაგან გერმანიის დამარცხების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე გარანტია მიეღო. საპასუხოდ ის აპირებდა მხარი დაეჭირა „ოვერლორდისათვის“¹³².

საბჭოთა მეთაური, რომელიც მიხვდა რუზველტის სურვილს თავის გამოსვლაში ჯერ წყნარი ოკეანის საომარ თეატრს შეეხო. მან კმაყოფილება გამოთქვა ამ რეგიონში ინგლის-ამერიკის ჯარების წარმატებული მოქმედებათა გამო და ამასთანავე სინანულით აღნიშნა, რომ სსრკ-ს ჯერჯერობით არ შეეძლო იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება გაეწია მოკავშირეებისათვის. მისი ცნობით შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების რაოდენობა მხოლოდ თავდაცვითი ღონისძიებებისათვის იყო საკმარისი, ხოლო შეტევითი ოპერაციების განსახორციელებლად ამ რაოდენობის

სამჯერ გაზრდა იყო საჭირო. ვინაიდან აღნიშნულ რეგიონში საბჭოთა კავშირისათვის გერმანიასთან ომის პირობებში დამატებითი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა შეუძლებელი იყო, სტალინმა მოკავშირეებს იაპონიასთან ომში ჩაბმა ევროპაში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ აღუთქვა¹³³. შეეხო რა ლა-მანშის ფორსირების საკითხს, საბჭოთა მეთაურმა აღნიშნა, რომ მათი შეხედულებით იტალიის საომარ მოქმედებათა ასპარეზს მნიშვნელობა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაში მოკავშირეთა გემების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ჰქონდა და არა გერმანიაზე შეტევის განხორციელებისათვის, რადგან აქ ინგლის-ამერიკის ჯარებს გზას აღპები გადაუღობავდა. ამიტომ სტალინმა საბჭოთა კავშირისათვის მდგომარეობის შემსუბუქების საუკეთესო საშუალებად ჩრდილოეთ ან ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთიდან გერმანიაზე შეტევა მიიჩნია, რადგან ამ უკანასკნელის ყველაზე სუსტ ადგილს, მისი აზრით სწორედ საფრანგეთი წარმოადგენდა¹³⁴. საბჭოთა მეთაური თურქეთის ომში შესაძლო მონაწილეობის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ეს ქვეყანა გზას გაუხსნიდა მოკავშირეებს ბალკანეთისაკენ. თუმცა მან იქვე დასძინა, რომ ბალკანეთიდან უფრო შორს იყო გერმანიის გული, ვიდრე საფრანგეთიდან¹³⁵. უნდა აღინიშნოს, რომ სტალინი მიუხედავად იმისა გერმანია-სსრკ-ს ომის პირველ თვეებში დაინტერესებულნი იყვნენ იყო ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნით, ამჯერად მან საბჭოთა მთავრობისათვის ერთადერთ მისაღებ სამხედრო ღონისძიებად ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა მიიჩნია. ჩვენი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ სტალინი კარგად ხვდებოდა ბალკანეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრა აღნიშნულ რეგიონს აშშ-დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროში მოაქცევდა. საბჭოთა მეთაურისათვის კი, რომელიც ახლა უკვე საბოლოოდ

დარწმუნებული იყო გერმანიასთან ომში გამარჯვებაში და თანაც დაინტერესებას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართაც იჩენდა, რასაკვირველია, მისთვის ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნა სასურველი არ იქნებოდა. სტალინის გამოსვლის შემდეგ საკუთარი შეხედულებები ჩერჩილმა ჩამოაყალიბა. მან განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს დიდი ხანია მიღწეული ჰქონდათ შეთანხმება გერმანიაზე ჩრდილოეთ ან ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთიდან იერიშის მიტანის შესახებ, რისთვისაც ფართო სამზადისი მიმდინარეობდა. ჩერჩილის თქმით მოკავშირეთა მთავარი ამოცანა ისეთი პირობების შექმნა იყო, რომელიც შესაძლებელს გახდიდა 1944 წლის გაზაფხულის ბოლოსათვის საფრანგეთში ინგლის-ამერიკის ჯარების შეჭრას. ამ სამხედრო ღონისძიებაში საწყის ეტაპზე მონაწილეობა 16 ბრიტანულ და 19 ამერიკულ დივიზიას უნდა მიეღო. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერის თქმით ნავარაუდევო იყო მაისის, ივნისისა და ივლისის თვეების განმავლობაში არხით კონტინენტზე დახლოებით 1 მილიონი ჯარისკაცის გადაყვანა. ხოლო ოპერაცია „ოვერლორდის“ დამატებითი დივიზიებით შევსება შეერთებული შტატებიდან უნდა განხორციელებულიყო. ვინაიდან აღნიშნული ოპერაციის დაწყება 6 თვის შემდეგ იყო გათვალისწინებული, ჩერჩილმა დროის ამ შუალედში მიზანშეწონილად მიიჩნია ხმელთაშუა ზღვის რაიონში განლაგებული ინგლის-ამერიკის ჯარების გამოყენება¹³⁶. ამ მიზნით ინგლისის პრემიერს განზრახული ჰქონდა რომის აღება და პიზარინის ხაზამდე გასვლა, რაც მისი აზრით გაუადვილებდა მოკავშირეებს სადესანტო ოპერაციების განხორციელებას დასავლეთ და სამხრეთ საფრანგეთში¹³⁷. შემდეგ ჩერჩილი თურქეთის საკითხსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ საჭირო იყო თურქეთზე ზეწოლა გერმანიის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად. ინგლისის პრემიერის

თქმით ეს საშუალებას მისცემდა მოკავშირეებს მცირე ძალებით დაეკავებინათ როდოსი და დოდეკანესის სხვა კუნძულები, გაეხსნათ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა შავი ზღვის გამოყენება რუსეთისათვის განკუთვნილი დახმარების მისაწოდებლად¹³⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა, რომელიც 1944 წლისათვის ყველა ოპერაციის ბაზად „ოვერლორდს“ მიიჩნევდა, სრული დაუინტერესებლობა გამოიჩინა რომის აღების, დოდეკანესის კუნძულების დაკავებისა და თურქეთის ომში მონაწილეობის საკითხის მიმართ. საბჭოთა ლიდერმა შენიშნა, რომ თურქეთი მოკავშირეთა ზეწოლის შემთხვევაშიც არ ჩაებმებოდა გერმანიასთან ომში. ჩერჩილი, რომელსაც ეგონა, რომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო ამ ქვეყნის ომში მონაწილეობით, სტალინის აღნიშნულმა განცხადებამ გააოცა კიდევ. მართალია სტალინს ეს პირდაპირ არ უთქვამს, თუმცა ჩანდა, რომ მას აშკარად არ უნდოდა თურქეთის ომში ჩაბმა.¹³⁹ ის ალბათ უკვე ემზადებოდა ომის დამთავრების შემდეგ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე პრეტენზია განეცხადებინა.¹⁴⁰ იმ შემთხვევაში თუ თურქეთი მოკავშირე გახდებოდა, რასაკვირველია მასზე უფლების წაყენება გაცილებით ძნელი იქნებოდა¹⁴¹. შეეხო რა საომარ მოქმედებებს იტალიის ფრონტზე, სტალინმა აღნიშნა, რომ აქ აუცილებელი იყო მოკავშირეებს თავდაცვითი ღონისძიებებისათვის მიემართათ, თავი შეეკავებინათ რომის აღებისაგან და აღნიშნულ რაიონში მხოლოდ მაცდუნებელი ოპერაციის განხორციელებით შემოფარგლულიყვნენ¹⁴². საბჭოთა მეთაურის საპასუხოდ ჩერჩილმა განაცხადა, რომ „ოვერლორდის“ განხორციელებამდე მოკავშირეებს აუცილებლად რომი უნდა დაეკავებინათ, რადგანაც მას დაუშვებლად მიაჩნდა ხმელთაშუა ზღვის რაიონში მათი ჯარების 6 თვის განმავლობაში

უმოქმედოდ ყოფნა. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერის შეხედულებით, იტალიის დედაქალაქის დაკავება და პიზა-რიმინის ხაზამდე გასვლა იმისთვისაც იყო საჭირო, რათა მოკავშირეებს გერმანიაზე საჰაერო იერიშების განხორციელების შესაძლებლობა მისცემოდათ¹⁴³. ჩერჩილის ამ გამოსვლის კომენტარებისას რუზველტმა შენიშნა, რომ ხმელთაშუა ზღვაში ოპერაციების ჩატარებას შეეძლო გავლენა მოეხდინა „ოვერლორდის“ დაწყების ვადაზე, რაც მიუღებელი იყო მისთვის¹⁴⁴. თავის მხრივ, ჩერჩილმა აშშ-ს პრეზიდენტის საპასუხოდ განაცხადა, რომ მას არ შეეძლო ხმელთაშუა ზღვაში ოპერაციების გაწირვის სანაცვლოდ ზუსტად დაეცვა „ოვერლორდის“ დაწყების ვადა – 1 მაისი¹⁴⁵. გარდა ამისა, ინგლისის პრემიერმა საჭიროდ მიიჩნია ამ საკითხის სამხედრო სპეციალისტებისათვის განსახილველად გადაცემა, რაზედაც მან სტალინისაგან და რუზველტისაგან თანხმობა მიიღო. აგრეთვე გადაწყდა თურქეთის საკითხის სამხედრო წარმომადგენლების თათბირზე გატანა. ამის შემდეგ კონფერენციის პირველმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მეორე დღეს, დილით, სამხედრო წარმომადგენელთა თათბირზე გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის იმპერიული შტაბის უფროსმა ა. ბრუკმა ძირითადი ყურადღება ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩასატარებელ სამხედრო ღონისძიებებს დაუთმო. მან აღნიშნა, რომ „ოვერლორდის“ ოპერაციის დაწყებამდე საჭირო იყო მოკავშირეებს ხმელთაშუა ზღვის რაიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებებისათვის მიემართათ, რასაც ითვალისწინებდა კიდევ ინგლის-ამერიკის მიერ შემუშავებული გეგმები. ბრუკმა განაცხადა, რომ მათ საკმარისი ძალები გააჩნდათ იტალიაში ფრონტის ხაზის ჩრდილოეთით გადასატანად, თუმცა ადგილმდებარეობის პირობების გამო მოკავშირეთა ამ ძალებს არ შეეძლოთ გერმანიის ჯარებზე სათანადო

ზემოქმედება. სწორედ ამიტომ, მისი აზრით საჭირო იყო 11-12 დივიზიის მონაწილეობით ზღვიდან საფლანგო იერიშის განხორციელება¹⁴⁶. შემდეგ ბრუკი თურქეთის საკითხზე გადავიდა და აღნიშნა, რომ მისი ომში ჩაბმის შემთხვევაში გაიხსნებოდა საზღვაო კომუნიკაციები დარდანელსა და შავ ზღვაზე. ამას კი შეეძლო რუმინეთისა და ბულგარეთის ომიდან გამოსვლაზეც ემოქმედა. აგრეთვე, მისი აზრით, შავი ზღვის გახსნით გაადვილდებოდა სსრკ-ს მომარაგება. გარდა ამისა, თურქეთში მოკავშირეთა საავიაციო ბაზების შექმნით შესაძლებელი გახდებოდა გერმანელთა დიდმნიშვნელოვან ობიექტებზე: კერძოდ, რუმინეთის ნავთობსარეწებზე საჰაერო იერიშების განხორციელება¹⁴⁷. ამის შემდეგ ბრუკი დოდეკანესის კუნძულების დაკავების საკითხსაც შეეხო და შენიშნა, რომ აღნიშნული ოპერაციის განხორციელება, რომელიც მოკავშირეთა მხრიდან დიდი ძალების მონაწილეობას არ მოითხოვდა, საჭირო იყო შავი ზღვის გასახსნელად და გერმანელთა იმ ძალების შესაკავებლად, რომელთა გამოყენებაც მოწინააღმდეგეს „ოვერლორდის“ რეალიზაციის პერიოდში შეეძლო. მართალია, ეს ღონისძიებები ოპერაცია „ოვერლორდის“ გადადებას გამოიწვევდა, თუმცა, მისი შეხედულებით, საფრანგეთში მოკავშირეთა წარმატებული შეჭრა სწორედ მათ განხორციელებაზე იყო დამოკიდებული¹⁴⁸. სტალინის წინადადების კომენტარებისას კი, რომელიც იტალიის ფრონტზე თავდაცვაზე გადასვლას ითვალისწინებდა, ბრუკმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მოკავშირეები იძულებული იქნებოდნენ აპენინებზე დიდი ძალები ჰყოლოდათ, რაც თავის მხრივ შეზღუდავდა სამხრეთ საფრანგეთში გადასასხმელი ნაწილების რაოდენობას¹⁴⁹.

დიდი ბრიტანეთის იმპერიული შტაბის ხელმძღვანელის შემდეგ სიტყვით აშშ-ს არმიის შტაბის უფროსი ჯ. მარშალი გამოვიდა,

რომელმაც განაცხადა, რომ ჯერჯერობით ხმელთაშუაზღვისპირეთის შესახებ მოკავშირეების მხრიდან კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული არ იყო, რადგანაც ამ საკითხის განხილვა მათ თეირანში ჰქონდათ განზრახული. რაც შეეხება „ოვერლორდს“, მან აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებისათვის გათვალისწინებული იყო შეერთებული შტატებიდან საფრანგეთში 60 დივიზიის გადაყვანა, თუმცა მისი თქმით მთავარი პრობლემა ტონაჟისა და სადესანტო საშუალებების ნაკლებობაში მდგომარეობდა¹⁵⁰. ლა-მანშის წარმატებით ფორსირებისათვის კი მარშალმა აუცილებლად მიიჩნია მოკავშირეთა ჯარების სამხრეთ საფრანგეთში შეჭრა, რომელიც ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყებამდე 2-3 კვირით ადრე უნდა განხორციელებულიყო¹⁵¹. აშშ-ს შტაბის უფროსის შემდეგ სიტყვით გამოვიდა საბჭოთა მხარის წარმომადგენელი მარშალი კ. ვოროშილოვი. ის დაინტერესდა თუ რა კეთდებოდა იმისათვის, რათა სატრანსპორტო და სადესანტო საშუალებების პრობლემა გადაჭრილიყო. გარდა ამისა, მან შეკითხვით მიმართა ა. ბრუკს – თვლიდა თუ არა ის „ოვერლორდს“ მოკავშირეთა მთავარ ოპერაციად და ხომ არ მიაჩნდა მას, რომ საჭირო იყო მისი შეცვლა ხმელთაშუაზღვის რაიონში რომელიმე სხვა ოპერაციით¹⁵². ვოროშილოვის საპასუხოდ მარშალმა და ბრუკმა განაცხადეს, რომ ყველაფერი კეთდებოდა სატრანსპორტო და სადესანტო საშუალებების პრობლემის გადასაჭრელად, რაც აუცილებელი იყო „ოვერლორდის“ წარმატებით განხორციელებისათვის¹⁵³. გარდა ამისა, ბრუკმა აღნიშნა, რომ ინგლისელები „ოვერლორდს“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და იგი ომის არსებით ნაწილად მიაჩნდათ, თუმცა მისი აზრით, ამ ოპერაციის წარმატებისათვის საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება, რომლებიც გერმანელებს საკუთარი რეზერვების გამოყენების საშუალებას არ მისცემდნენ¹⁵⁴. იმისათვის,

რომ მოკავშირეები მზად ყოფილიყვნენ 1944 წლის 1 მაისისათვის „ოვერლორდის“ განსახორციელებლად, ბრუკის თქმით საჭირო იყო ხმელთაშუა ზღვიდან ბრიტანეთის კუნძულებზე სადესანტო გემების დიდი ნაწილის დაუყოვნებლივ გადაყვანა. თუმცა მისი აზრით, ყოველივე ამას შეეძლო იტალიაში საომარი მოქმედებების შეჩერება გამოეწვია, რაც საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედებდა „ოვერლორდის“ წარმატებაზე¹⁵⁵.

სამი ქვეყნის სამხედრო წარმომადგენელთა თათბირის დასრულების შემდეგ, დღის მეორე ნახევარში მთავრობათა მეთაურების მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომა ბრუკის, მარშალისა და ვოროშილოვის მოხსენებებით დაიწყო, რომელთაც წარმოადგინეს ანგარიში სამხედროთა თათბირის მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ კვლავ განახლდა ევროპაში მეორე ფრონტის საკითხის განხილვა. თავდაპირველად სტალინი იმით დაინტერესდა თუ ვინ იქნებოდა დანიშნული „ოვერლორდის“ სარდლად, რომელსაც ოპერაციის როგორც მომზადების, ისე მისი განხორციელებისათვისაც პასუხს აგებდა. რუზველტმა ამის შესახებ განაცხადა, რომ ეს საკითხი გადაჭრილი არ იყო. ჩერჩილმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ კონფერენციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მთავარსარდლის დანიშვნა წარმოადგენდა და პირობა მისცა სტალინს ორი კვირის განმავლობაში, ამ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს პრეზიდენტთან ერთად შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა¹⁵⁶. ამის შემდეგ ჩერჩილმა ყურადღება ხმელთაშუა ზღვისპირეთისა და ბალკანეთის საკითხების განხილვას დაუთმო. მან ორი დღეობის გადასაყვანად საკმარისი სადესანტო საშუალებების ხმელთაშუა ზღვაში დატოვების სურვილი გამოთქვა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი გამოყენება იტალიის ნახევარკუნძულის გაყოფებით იქ მეოფი გერმანელთა ძალების გასანადგურებლად ან თურქეთის ომში ჩაბმის შემთხვევაში

– კუნძულ როდოსის დასაკავებლად. თუმცა ამ ოპერაციების განხორციელებას, ჩერჩილის თქმით შეეძლო „ოვერლორდის“ გადაღება გამოეწვია¹⁵⁷. შემდეგ ჩერჩილი ბალკანეთის საკითხს შეეხო და თურქეთის რაიონში ოპერაციების საწარმოებლად 2-3 დივიზიის გამოყოფა მოითხოვა. გარდა ამისა, მან აუცილებლად მიიჩნია მოკავშირეთა მხრიდან თურქეთზე ზეწოლა, რათა მას შობის დადგომამდე ომი გამოეცხადებინა გერმანიისათვის. ჩერჩილის თქმით ყოველივე ამას შეეძლო სასურველი პოლიტიკური ცვლილებები გამოეწვია ბალკანეთის ქვეყნებში: კერძოდ, ბულგარეთში, რუმინეთსა და უნგრეთში¹⁵⁸.

ჩერჩილის გამოსვლის შემდეგ სიტყვა სტალინმა აიღო. მან შესთავაზა მოკავშირეთა ლიდერებს სამხედრო კომისიისათვის სამი დირექტივა მიეცათ. სტალინის თქმით, პირველ დირექტივაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ის, რომ „ოვერლორდის“ დაწყების ვადა არ გადაიდებოდა და ოპერაცია 1944 წლის მაისის განმავლობაში განხორციელდებოდა. მეორე დირექტივის თანახმად „ოვერლორდამდე“ 2-3 თვით ადრე ან მის განხორციელებასთან ერთად მოკავშირეებს დესანტი უნდა გადაესხათ სამხრეთ საფრანგეთში. იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალებების ნაკლებობის გამო ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ „ენვილი“ (სამხრეთ საფრანგეთში შეჭრის კოდური სახელწოდება) ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყებიდან მოგვიანებით უნდა განხორციელებულიყო. მესამე დირექტივით სტალინი სამხედრო კომისიისაგან „ოვერლორდის“ მთავარსარდლის დანიშვნის დაჩქარებას მოითხოვდა¹⁵⁹. საბჭოთა მეთაურის შემდეგ სიტყვით რუზველტი გამოვიდა, რომელმაც სტალინისა და ჩერჩილის წინადადებები უადრესად საინტერესოდ მიიჩნია. მან ყურადღება „ოვერლორდის“ დაწყების ვადაზე შეაჩერა და აღნიშნა, რომ

მიზანშეწონილი იქნებოდა ლა-მანშის ფორსირება მაისის პირველი კვირის განმავლობაში. გარდა ამისა, რუზველტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხმელთაშუა ზღვაში ოპერაციების ჩატარება გავლენას იქონიებდა „ოვერლორდის“ დაწყების ვადაზე¹⁶⁰. სტალინმა თავის მხრივ ლა-მანშის ფორსირების სასურველ ვადად 10-20 მაისი მიიჩნია¹⁶¹. ინგლისის პრემიერმა რუზველტისა და სტალინის საპასუხოდ განაცხადა, რომ ის ვერ მისცემდა მათ „ოვერლორდის“ დაწყების ვადის დაცვის გარანტიას და კვლავ მოითხოვა ხმელთაშუა ზღვაში არსებული შესაძლებლობების გამოყენება. გარდა ამისა მან სტალინს შეახსენა მოსკოვის კონფერენციაზე ჩამოყალიბებული პირობები, რომელზეც დამოკიდებული იყო „ოვერლორდის“ წარმატებით განხორციელება¹⁶². ჩერჩილის ამ გამოსვლით აღშფოთებულმა სტალინმა მოკავშირეებისაგან „ოვერლორდის“ დაწყების ზუსტი ვადის დასახელება მოითხოვა¹⁶³. აშშ-ს პრეზიდენტმა ამასთან დაკავშირებით სტალინს განუცხადა, რომ „ოვერლორდის“ დაწყების ვადა განსაზღვრული იყო კვებეკში და მხოლოდ ვითარების უაღრესად სერიოზულ ცვლილებებს შეეძლო გაემართლებინა მისი შეცვლა¹⁶⁴. სხდომის დასასრულს მცირე დისკუსია გამოიწვია ჩერჩილის მიერ „ოვერლორდთან“ დაკავშირებული საკითხების სამხედრო კომისიისათვის განსახილველად გადაცემის წინადადების დაყენებამ, რასაც აშშ-ს პრეზიდენტიც დაეთანხმა. სტალინმა კი ჩერჩილისა და რუზველტისაგან განსხვავებით ამ საკითხის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ თათბირი სამხედრო წარმომადგენელთა მონაწილეობით არ გამართულიყო და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი თავად მთავრობათა მეთაურებს გადაეწყვიტათ¹⁶⁵.

მეორე დღეს 30 ნოემბრის შუადღეს, რუზველტმა და ჩერჩილმა სტალინს საუბრის დროს აცნობეს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შტაბების მიერ¹⁶⁶ დილით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, რომლის მიხედვით ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყება 1944 წლის მაისის განმავლობაში იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა ლამანშის ფორსირების პარარელურად სამხრეთ საფრანგეთში დაგეგმილი იყო სადესანტო ოპერაციის განხორციელება, რომლის მასშტაბები დამოკიდებული იყო იმ მომენტისათვის მოკავშირეთა ხელთ არსებულ სადესანტო საშუალებების რაოდენობაზე¹⁶⁷. იმავე დღეს მთავრობათა მეთაურთა მონაწილეობით გამართულ სხდომაზე სტალინმა კმაყოფილებით აღნიშნა ამ გადაწყვეტილებების დიდი მნიშვნელობა. ის თავის მხრივ დაპირდა რუზველტს და ჩერჩილს, რომ საბჭოთა კავშირი ვალდებულებას კისრულობდა 1944 წლის მაისისათვის განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი შეტევა გერმანელთა წინააღმდეგ, რათა მათ საკუთარი დივიზიები აღმოსავლეთის ფრონტზე მიეჯახკათ და „ოვერლორდის“ წარმატებით განხორციელებისათვის ხელის შეშლის საშუალება არ მისცემოდათ¹⁶⁸.

ამგვარად თეირანის კონფერენციაზე დასრულდა ევროპაში მეორე ფრონტის საკითხის განხილვა. კონფერენციამ მუშაობა 1943 წლის 1 დეკემბერს დაამთავრა. ამავე დღეს აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მთავრობათა მეთაურებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციებს გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედებისა და სამსახელმწიფოს შორის ომისშემდგომი თანამშრომლობის თაობაზე. აგრეთვე მიღებულ იქნა დეკლარაცია ირანის შესახებ¹⁶⁹.

აღსანიშნავია, რომ თეირანის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებებით კმაყოფილი დარჩნენ თავად სსრკ-ს, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელები. სტალინის შეხედულებით

კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიჰიტლერული კოალიციის გასამტკიცებლად¹⁷⁰. აშშ-ს პრეზიდენტმა სამი ქვეყნის მეთაურთა შეხვედრა უაღრესად წარმატებულად შეაფასა და ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენად მიიჩნია, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათი ქვეყნების შემდგომი თანამშრომლობისათვის¹⁷¹. ჩერჩილმა, თავის მხრივ, განსაკუთრებით ხაზი კონფერენციაზე სამხედრო სფეროში მიღწეულ შედეგებს გაუსვა, რომელთა შორის უმთავრესი, მისი აზრით საბჭოთა კავშირის მხრიდან იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე გარანტიის მიღება იყო¹⁷². „დიდი სამეულის“ ლიდერების მიერ გამოთქმული ამ შეხედულებების მიუხედავად, მაინც რა შეფასება შეიძლება მიეცეს თეირანის კონფერენციას? ჩვენი აზრით სამიტმა ფაქტობრივად წერტილი დაუსვა იმ დიპლომატიურ ბრძოლას, რომელსაც საბჭოთა კავშირი 1941 წლიდან აქტიურად აწარმოებდა დიდ ბრიტანეთთან და შეერთებულ შტატებთან, დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გასახსნელად. სსრკ-ს ამ დიპლომატიურ გამარჯვებას კი ხელი შეუწყო კონფერენციაზე რუზველტის სტალინისადმი მხარდაჭერამ, რამაც საბოლოოდ განაპირობა კიდევ საფრანგეთში შეჭრის გადაწყვეტილების მიღება. თავის მხრივ აშშ-ს პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ ის უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობას, რომლის დახმარების გარეშე რუზველტის შეხედულებით შეუძლებელი იყო იაპონიაზე სწრაფი და იოლი გამარჯვების მიღწევა. მას შემდეგ რაც რუზველტმა სტალინისაგან იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრკ-ს ჩაბმის გარანტია მიიღო, რითაც არსებითად დაინტერესებული იყო შეერთებული შტატები, მან მხარი „ოვერლორდს“ დაუჭირა. თეირანის კონფერენციაზე თავის მხრივ ჩერჩილმა, რომლის შეხედულებით ყოველგვარი სამხედრო წარმატება

უმნიშვნელო იყო თუ მას პოლიტიკური დანაკარგების მოტანა შეეძლო და რომელიც კარგად ხელავდა იმ საფრთხეს რასაც საბჭოთა ჯარების ბალკანეთში შეჭრა გამოიწვევდა, ვერ შეძლო აშშ-ს პრეზიდენტი ე. წ. „ხმელთაშუაზღვისპირა“ სტრატეგიის რეალიზაციაზე დაეთანხმებინა. ჩვენი აზრით ინგლისის პრემიერის გეგმის მიმართ, რომელიც ომში თურქეთის ჩართვას, ბალკანეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრასა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის დაკავებას ითვალისწინებდა, - რუზველტის აქტიურ მხარდაჭერას შეეძლო ხელი შეეშალა ამ რეგიონში საბჭოთა გავლენის დამყარებისათვის და გარკვეულწილად ომის ვადების შემცირებაზე ემოქმედა¹⁷³. რუზველტი კი ბალკანეთში აშშ-ს სუსტი გავლენის გამო ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა აღნიშნული რეგიონის მიმართ და უპირატესობას რურისა და საარის ოლქების დაკავებას ანიჭებდა, რაც დასავლეთ ევროპაში შეჭრით იყო შესაძლებელი. გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტისათვის გასათვალისწინებელი იყო ერთი გარემოებაც. ამერიკელი სამხედროები მოკავშირეთა ჯარების ბალკანეთში შეჭრის პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებდნენ, რადგანაც მათ ეს რეგიონი საბრძოლო მოქმედებებისათვის არახელსაყრელად მიაჩნდათ. მათი შეხედულებით, იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეთა შეტევები წარმატებით არ განვითარდებოდა, საბჭოთა ჯარებს საშუალება მიეცემოდათ ჩრდილოეთ გერმანიაში, პოლანდიასა და საფრანგეთში შეჭრილიყვნენ¹⁷⁴. ამ ფაქტორებმა კი არსებითად განსაზღვრა კიდევ აშშ-ს პოზიცია თეირანის კონფერენციაზე. ჩვენი შეხედულებით, რუზველტის მხრიდან მხოლოდ „ტრანსლამანშური“ სტრატეგიის მხარდაჭერით და ჩერჩილისეული ე. წ. ბალკანური პროექტის იგნორირებით უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპის

„გაწითლებისა“ და ამ რეგიონში საკუთარი დიქტატის დამყარების
საშუალება მისცა.

§ 2 ტრანსლამანური სტრატეგიის საბოლოო გამარჯვება - ოპერაციები „ოვერლორდი“ და „დრაგუნი“

თეირანის კონფერენციის დასრულების შემდეგ უ. ჩერჩილი და ფ. რუზველტი ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეხვდნენ კაიროში, სადაც განახლდა მოლაპარაკება მოკავშირეთა შემდგომი საბრძოლო მოქმედებათა სტრატეგიის შემუშავების შესახებ. კონფერენციაზე ჩერჩილმა შეძლო რუზველტის დარწმუნება უარი ეთქვა ჩრდილოეთ ბირმასა (ოპერაცია „ტარზანი“) და ბენგალის ყურეში (ოპერაცია „ბაკენიერი“) დაგეგმილი ოპერაციების განხორციელებაზე, რომელთა ჩატარებაზე აშშ-ს პრეზიდენტმა პირობა გენერალსიმუს ჩან კაიშს მისცა. ინგლისის პრემიერის ამგვარი მოქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ მისი შეხედულებით სტალინის მხრიდან იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე თანხმობის მიღების შემდეგ მიზანშეწონილი არ იყო იაპონიასთან საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად ჩინეთის ტერიტორიაზე ბაზების შექმნა, რადგან ასეთი ღონისძიებებისათვის აღმოსავლეთ ციმბირი მოკავშირეებისათვის უფრო ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დაგეგმილი ოპერაციებისათვის განკუთვნილი სადესანტო საშუალებების გადაგზავნა ხმელთაშუა ზღვიდან უნდა განხორციელებულიყო, რასაც ჩერჩილის აზრით შეეძლო ხელი შეეშალა „ოვერლორდისა“ და ხმელთაშუა ზღვის რაიონში გათვალისწინებული ღონისძიების რეალიზაციისათვის¹⁷⁵. კაიროს კონფერენციაზე „ოვერლორდი“ და „ენვილი“ კიდევ ერთხელ მიჩნეულ იქნენ მთავარ ოპერაციებად, რომელთა განხორციელება 1944 წლისათვის იყო განსაზღვრული. ამასთან ერთად გადაწყდა, რომ მოკავშირეებს არ უნდა ეწარმოებინათ არავითარი სხვა სამხედრო მოქმედება, რომელიც

ხელს შეუშლიდა ამ ორი ოპერაციის წარმატებით განხორციელებას¹⁷⁶. აგრეთვე კონფერენციაზე ჩერჩილისა და რუზველტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამერიკელი გენერლის დ. ეიზენჰაუერის მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ, რომელსაც ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრა უნდა განეხორციელებინა. მიუხედავად იმისა, რომ კაიროს კონფერენციაზე ინგლისის პრემიერმა კიდევ ერთხელ ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ევროპაში 1944 წლისათვის დაგეგმილ ოპერაციათა მიმართ, ის კვლავ შეეცადა „ოვერლოდის“ გადადების სანაცვლოდ საკუთარი ბალკანური სტრატეგიის რეალიზაციისათვის მიეღწია, რათა ამით ყველაფერი ელონა აღმოსავლეთ ევროპაში წითელი არმიის შეჭრის თავიდან ასაცილებლად.¹⁷⁷

1943 წლის დეკემბერში ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოხდა მოკავშირეთა ჯარების ხელმძღვანელთა რეორგანიზაცია. მას შემდეგ რაც დ. ეიზენჰაუერი დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა, ხმელთაშუა ზღვის საბრძოლო თეატრის ხელმძღვანელობა ინგლისელ გენერალ ჰ. უილსონს გადაეცა, რომლის მოადგილედ ამერიკელი გენერალი ჯ. დევერსი დაინიშნა. აპენინებზე კი მე-8 ინგლისური არმია გენერალ ო. ლიზისა (მოგვიანებით მან ამ პოსტზე გენერალი ბ. მონტგომერი შეცვალა) და მე-5 ამერიკული არმია გენერალ მ. კლარკის ხელმძღვანელობით იტალიაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლის გენერალ ჰ. ალექსანდერის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა¹⁷⁸.

ხმელთაშუაზღვისპირა საბრძოლო მოქმედებათა თეატრის მთლიანად ინგლისელთა დაქვემდებარებაში გადასვლამ ჩერჩილს საშუალება მისცა მიეღო გადაწყვეტილება საზღვაო სადესანტო ოპერაციის განსახორციელებლად, რათა ანციოსთან გერმანელთა

თავდაცვითი ზღუდე გაერდვით და რომის მიმართულებით შეეცაოთ. 25 დეკემბერს ჩერჩილმა თხოვნით მიმართა რუზველტს, რათა მას თანხმობა განეცხადებინა „ოვერლორდისათვის“ განკუთვნილ 56 სატანკო-სადესანტო ბარჯის ინგლისში გაგზავნის შეჩერებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამას შეეძლო ლა-მანშის ფორსირების 3-4 კვირით (1 მაისიდან ათვლით) გადადება გამოეწვია¹⁷⁹. 28 დეკემბერს თავის საპასუხო წერილში რუზველტი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა ჩერჩილს სატანკო-სადესანტო ბარჯების ინგლისში გაგზავნის შეჩერებას, თუ ოპერაცია „ოვერლორდი“ ძირითად ღონისძიებად დარჩებოდა და თეირანსა და კაიროში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად დათქმულ ვადებში განხორციელდებოდა¹⁸⁰. ჩერჩილი კმაყოფილი დარჩა რუზველტის ამგვარი პასუხით. მალე მან 1944 წლის 6 იანვარს აშშ-ს პრეზიდენტს მორიგი წერილით მიმართა, რომელშიც იუწყებოდა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მოკავშირეები ოპერაცია „ენვილის“ გაფართოების ნაცვლად „ოვერლორდს“ უფრო დიდი ძალების მონაწილეობით განახორციელებდნენ. გარდა ამისა, ითვალისწინებდა რა მთვარის ფაზის მდგომარეობას, ჩერჩილმა „ოვერლორდის“ რეალიზაციისათვის ყველაზე სასურველ პერიოდად ივნისი დაასახელა. მისი აზრით, დროის ეს მონაკვეთი ხელსაყრელი იყო სტალინისათვისაც აღმოსავლეთის ფრონტზე ფართომასშტაბიანი ოპერაციების ჩასატარებლად, რომლებიც საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის პარარელურად უნდა განხორციელებულიყო¹⁸¹. 14 იანვარს ინგლისის პრემიერისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში რუზველტმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა სტალინისათვის მიცემული დაპირების შესრულების აუცილებლობის შესახებ, რომელიც დიდი ძალების მონაწილეობით, „ოვერლორდისა“ და „ენვილის“ ერთდროულად განხორციელებას ითვალისწინებდა. აშშ-ს

პრეზიდენტის შეხედულებით მათ არ უნდა მიეღოთ რაიმე გადაწყვეტილება ოპერაციების გადადების შესახებ, ვიდრე ეიზენჰაუერი და უილსონი, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ოპერაციათა შესრულებისათვის საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ¹⁸². 21 იანვარს ეიზენჰაუერი ბრიტანელებთან მოსალაპარაკებლად ინგლისში ჩავიდა. აქ გამართულ შეხვედრებზე მან მიზანშეწონილად მიიჩნია „ენვილის“ შესუსტების ხარჯზე „ოვერლორდის“ გაძლიერება. თუმცა ის ვაშინგტონში, ინგლის-ამერიკის გაერთიანებულ შტაბში გაგზავნილ ტელეგრამაში აღნიშნავდა, რომ სადესანტო საშუალებების არსებობის შემთხვევაში სასურველი იქნებოდა თუ საწყის ეტაპზე „ოვერლორდი“- 5, ხოლო „ენვილი“- 3 დივიზიის მონაწილეობით ჩატარდებოდა. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ოპერაციებისათვის საკმარისი ძალები არ იქნებოდა, მაშინ ეიზენჰაუერის შეხედულებით უმჯობესი იქნებოდა ლა-მანშის ფორსირება - 5, ხოლო სამხრეთ საფრანგეთში შეჭრა 1 დივიზიის მონაწილეობით განხორციელებულიყო. ამასთან ერთად ეს უკანასკნელი იმ მომენტამდე უნდა ყოფილიყო მუქარის ხასიათის მატარებელი ოპერაცია, სანამ მოწინააღმდეგის სისუსტე მოკავშირეებს მისი აქტივიზაციის შესაძლებლობას არ მისცემდა¹⁸³.

1944 წლის 22 იანვარს ინგლისელებმა და ამერიკელებმა დაიწყეს დესანტის გადასხმა ანციოში, მაგრამ ოპერაციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მოკავშირეებმა ვერ შეძლეს გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზი და იტალიაში საომარი მოქმედებები ისევ შეფერხდა. მალე ინგლის-ამერიკის უთანხმოებამ ევროპული სტრატეგიის საკითხებში ახალი ხასიათი მიიღო. 1944 წლის 4 თებერვალს დიდი ბრიტანეთის შტაბების ხელმძღვანელებმა კომიტეტმა პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თავიანთ ამერიკელ კოლეგებს გაუგზავნეს ტელეგრამა, რომელშიც ხაზგასმით იყო

აღნიშნული, რომ უმთავრეს ამოცანას „ოვერლორდის“ წარმატებით განხორციელება წარმოადგენდა და უპირველეს ყოვლისა მოკავშირეებს სწორედ ამ სამხედრო ღონისძიების რეალიზაციისათვის უნდა ეზრუნათ. მხოლოდ ამის შემდეგ, მათი აზრით, შესაძლებელი იყო ხმელთაშუა ზღვის რაიონში დამატებითი ძალების მოძიება. ითვალისწინებდა რა, იტალიის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას, კერძოდ იმას, რომ მოკავშირეები ჯერ კიდევ ვერ ახერხებდნენ საბრძოლო მოქმედებების რომის ჩრდილოეთით გადატანას, ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია „ენვილის“ განხორციელება. გარდა ამისა, კომიტეტმა მიუთითა, რომ, რადგანაც სამხრეთ საფრანგეთისა და ნორმანდიის საბრძოლო მოქმედებათა ზონები ერთმანეთიდან 500 მილით იყო დაშორებული, ამიტომ შეუძლებელი იყო „ენვილის“ განხორციელებას მცირედიდაც ხელი შეეწყო „ოვერლორდის“ რეალიზაციისათვის¹⁸⁴. ამის საპასუხოდ აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელებმა წინადადება წამოაყენეს აღნიშნული საკითხი ეიზენჰაუერთან და ინგლისის შტაბების მეთაურებთან ერთად გადაეწყვიტათ. ეიზენჰაუერმა კი კვლავ მხარი სამხრეთ საფრანგეთში შეჭრას დაუჭირა, მაგრამ ამჯერად მან ეჭვქვეშ დააყენა „ენვილისათვის“ იტალიის ფრონტიდან ჯარების მოხსნის შესაძლებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია კ. უილსონმაც დააფიქსირა, რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა იტალიიდან ჯარების მოხსნაზე. მისი შეხედულებით უმჯობესი იქნებოდა მოკავშირეებს ჯერ რომი დაეკავებინათ, ხოლო სამხრეთ საფრანგეთში იმ მომენტისათვის შეჭრილიყვნენ, როცა გერმანელთა თავდაცვითი ხაზი რღვევას დაიწყებდა¹⁸⁵. საბოლოოდ, ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია „ენვილის“ დათქმულ ვადებში განხორციელება, რადგანაც

მათი შეხედულებით იტალიაში შექმნილი ვითარება ჯარებისა და სადესანტო გემების მოხსნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამ მოსაზრებას აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტიც დაეთანხმა, რომელმაც აგრეთვე დაადგინა, რომ გენერალი უილსონი უნდა მომზადებულიყო სამხრეთ საფრანგეთში შესაჭრელად. ამასთანავე მას იტალიის ფრონტზე რაც შეიძლება მეტი გერმანული დივიზიის განადგურება და შეკავება დაევალა¹⁸⁶.

რაც შეეხება ოპერაცია „ოვერლორდს“ - მისი მომზადება გენერალ ფ. მორგანის მეთაურობით, რომელსაც მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი შტაბის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობა ეკავა, 1943 წლის მთელი ზაფხულის განმავლობაში მიმდინარეობდა. გეგმის მიხედვით ოპერაციის მაშტაბები და ნორმანდიის სანაპიროზე განსახორციელებელი პირველი შტურმი იმ დროისათვის მოკავშირეთა ძალების განკარგულებაში არსებულ სადესანტო საშუალებების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. გენერალ მორგანისათვის მიცემული დირექტივით პირველი შტურმი სამი დივიზიის მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო, რომელსაც მყისვე ორი დივიზია დაეხმარებოდა. აღნიშნული დირექტივის მიხედვით მორგანის მიერ წარმოდგენილი გეგმა სამი დივიზიის კანსა (საუბარია ნორმანდიაში მდებარე ქალაქზე) და კარანტანს შორის სანაპიროზე გადასხმას ითვალისწინებდა. გენერალს სურდა ჯარის ნაწილი კარანტანის ჩრდილოეთით შერბურთან ახლოს გადაესხა, თუმცა მისი აზრით ამას შეიძლებოდა ძალების დაქსაქსვა გამოეწვია, რადგან კარანტანის დაჭაობებული ადგილიდან შეტევის განხორციელება საარმიო დაჯგუფებებს შორის კავშირის დამყარებასა და კოორდინირებულ მოქმედებას გაართულებდა¹⁸⁷.

კვებულის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ ოპერაცია „ოვერლორდის“ მომზადება კიდევ უფრო ჩქარი ტემპებით გაგრძელდა. კვებულის შეხვედრის დასრულებიდან მოკლე ხანში გენერალი დ. ეიზენჰაუერი უმაღლეს მთავარსარდალად, - ხოლო გენერალი ბ. მონტგომერი საექსპედიციო არმიის ხელმძღვანელად დაინიშნენ. ეიზენჰაუერის მოადგილე ავიაციის მარშალი ა. ტედერი გახდა. ავიაციის მარშალ ტ. ლი-მელორის საჰაერო ძალების ხელმძღვანელობა, ხოლო ადმირალ ბ. რამსეის სამხედრო საზღვაო ფლოტის მეთაურობა დაეკისრა. ეიზენჰაუერის შტაბის უფროსად გენერალი ბ. სმიტი დაინიშნა, რომლის მოადგილეობა გენერალ ფ. მორგანს დაევალა¹⁸⁸. საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როგორც ეიზენჰაუერი ისე მონტგომერი გენერალ მორგანისაგან განსხვავებით მიიჩნევდნენ, რომ ლა-მანშზე პირველი შტურმი უფრო დიდი ძალების მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო ვიდრე ეს ამ უკანასკნელის გეგმაში იყო წარმოდგენილი. მათი შეხედულებით მოწინააღმდეგეზე სწრაფი წარმატების მისაღწევად საჭირო იყო არა სამი არამედ ხუთი დივიზია, რათა მოკავშირეთა ძალებს კონტინენტზე გადასხმიდან უმოკლეს დროში შეტევისათვის რაც შეიძლება დიდი პლაცდარმის დაკავება შეეძლებოდათ. მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობდა, თუ სად გამოეძებნათ მოკავშირეებს ხუთი დივიზიის გადასასხმელად საჭირო სადესანტო გემები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან მათ უკვე მოეხდინათ „ოვერლორდისათვის“ საჭირო გემების ტრანსპორტირება¹⁸⁹. თუმცა არსებული გემების რაოდენობა ლა-მანშის ფორსირებისათვის მაინც არასაკმარისი იყო. მართალია ხმელთაშუა ზღვაში ორი დივიზიის გადასხმისათვის სამყოფი სადესანტო გემების რაოდენობა არსებობდა, თუმცა აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები ოპერაცია „ენვილისათვის“ – მოკავშირეთა ძალების სამხრეთ

საფრანგეთში შეჭრისათვის იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სამხედრო ღონისძიების ძირითადი დანიშნულება, რომელიც „ოვერლორდთან“ ერთად უნდა განხორციელებულიყო, ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გერმანული ძალების მოხსნის უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. იმ შემთხვევაში თუ „ენვილის“ მასშტაბები შემცირდებოდა, მაშინ ის ვერანაირ დახმარებას გაუწევდა მოკავშირეთა ძირითად ოპერაციას „ოვერლორდს“¹⁹⁰.

საბოლოო გადაწყვეტილება გენერალმა ეიზენჰაუერმა ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტთან გამართული შეხვედრის შემდეგ 1944 წლის მარტში მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას ეიზენჰაუერის ხმელთაშუა ზღვის რაიონში არსებული სიტუაციის გაცნობამ შეუწყო ხელი. აქ ყოფნით ამერიკელ გენერალს პირადად შეეძლო საკუთარი თვალთ ეხილა და შეეფასებინა ადგილზე არსებული სადესანტო საშუალებების საბრძოლო რესურსი. გადაწყდა, რომ „ენვილისათვის“ განკუთვნილი ერთი დივიზიის გადასასხმელად საკმარისი რაოდენობის გემები ლა-მანშის ფორსირებისათვის გამოეყენებინათ. ხოლო კონტინენტზე გადასასხმელ დამატებით ერთი დივიზიისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი – მოკავშირეებს ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელებამდე დარჩენილ დროში დაემზადებინათ. ამისათვის კი გენერლის აზრით საჭირო იყო ლა-მანშზე შტურმი ივნისის სავსემთვარეობამდე გადაევალებინათ. ეიზენჰაუერის შეხედულებას მხარი აშშ-ინგლისის შტაბების ხელმძღვანელთა კომიტეტებმაც დაუჭირეს. ამასთანავე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დიდ ბრიტანეთს და აშშ-ს „ოვერლორდის“ განსახორციელებლად განსაზღვრული სამი დივიზიისათვის თითო თითო დივიზიაც დაემატებინათ, რათა ლა-მანშის ფორსირების

პირველი ეტაპისათვის საჭირო დივიზიათა საერთო რაოდენობა ხუთამდე გაზრდილიყო¹⁹¹.

როდესაც „ოვერლორდის“ მასშტაბები განისაზღვრა. მოკავშირეები ინტენსიურ წრთვნებს შეუდგნენ. სადესანტო ოპერაციების განხორციელების თეორიული და პრაქტიკული დეტალები დამუშავებულ იქნა კომბინირებულ ოპერაციათა შტაბის მიერ აღმირალ ლ. მაუნტბეტენის ხელმძღვანელობით. სწავლებათა დამამთავრებელ ეტაპზე, რომელიც მაისის თვეში მიმდინარეობდა და სადაც შეიარაღებული ძალების სამივე სახეობა მონაწილეობდა, გათვალისწინებულ იქნა ყველა წინამორბედი მაშტაბური სამხედრო მეცადინეობათა გაკვეთილები, მათ შორის დიეპის მწარე გამოცდილებაც.

რა თქმა უნდა მოკავშირეთა აღნიშნული ქმედებები მოწინააღმდეგის თვალს შეუმჩნეველი არ რჩებოდა. თუმცა მთავარი გამოცანა თუ სად და როდის მოხდებოდა აშშ-ინგლისის გაერთიანებული ძალების კონტინენტზე გადასხმის ოპერაცია გერმანელებისათვის ჯერ კიდევ ამოუხსნელი რჩებოდა. საინტერესოა, რომ თავად მოკავშირეები დაინტერესებულნიც კი იყვნენ მათი მზადება პა-დე-კალეს რაიონში დაბანაკებულ გერმანელებს დაეფიქსირებინათ, რათა მოწინააღმდეგეს ეფიქრა, რომ ბრიტანეთიდან შეტევა მათი განლაგების მიმართულებით განხორციელდებოდა.

1944 წლის აპრილისათვის მოკავშირეთა გეგმებმა დასრულებული სახე მიიღეს. უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ინგლისის მეორე არმიას გენერალ მ. დემპსის ხელმძღვანელობით სამი დივიზია სანაპიროზე კანის ჩრდილოეთით და ჩრდილო დასავლეთით უნდა გადაესხა. მანამდე კი რამოდენიმე საათით ადრე საჰაერო სადესანტო დივიზიას კანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში ხიდები უნდა დაეკავებინა და

აღმოსავლეთ ფლანგის დაცვა უზრუნველყო. ინგლისელთა მარჯვენა ფლანგზე კი აშშ-ს პირველი არმიის ერთი დივიზია გენერალ ო. ბრედლის მეთაურობით მდინარე ვირის აღმოსავლეთ, ხოლო მეორე მის ჩრდილოეთ სანაპიროზე უნდა გადამსხდარიყო. ამ უკანასკნელის დასახმარებლად კი გათვალისწინებული იყო საჰაერო სადესანტო ორი დივიზიის ქვეყნის სიღრმეში გადასროლა¹⁹².

მოკავშირეთა შეტევის პირველ ობიექტებად კანი, ბაიე, იზინი და კარანტანი მოიაზრებოდა. ამ პუნქტების დაკავების შემდეგ ამერიკელებს კოტანტენის ნახევარკუნძულისა და მისი ჩრდილოეთით მდებარე ქ. შერბურის ოკუპაცია უნდა მოეხდინათ. ინგლისელებს კი მოწინააღმდეგის მხრიდან აღმოსავლეთით კონტრშეტევის შემთხვევაში ამერიკელთა ფლანგი უნდა დაეცვათ და აეროდრომების მოსაწყობად კანის სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი დაეკავებინათ¹⁹³. მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ ლა-მანშის ფორსირებიდან სამი კვირის განმავლობაში მათი საჯარისო ნაწილები აღმოსავლეთით პარიზის მიმართულებით შეძლებდნენ გაჭრილიყვნენ, ხოლო დასავლეთით ბრეტანის პორტებს დაიკავებდნენ. რაც შეეხება ფლოტს – მის მთავარ ამოცანას მოკავშირეთა ჯარების ლა-მანშზე უსაფრთხოდ გადაყვანა და მათ ხელთ არსებული საშუალებებით გადასხმის მხარდაჭერა წარმოადგენდა. ამის შემდეგ ფლოტს ზღვის მდგომარეობისა და მტრის მოქმედების მიუხედავად დროულად უნდა უზრუნველყო დამხმარე ძალისა და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირება¹⁹⁴. მოკავშირეებისათვის აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლა-მანშზე ფორსირებისას მეწინავე საჯარისო შენაერთების ჰაერიდან დაცვის უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ არსზე შეტევამდე რამდენიმე ხნით ადრე მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მოკავშირეთა მხრიდან საფრანგეთის სანაპიროების ინტენსიური

დაბომბვა ხორციელდებოდა. იბომბებოდა გერმანელთა სამხედრო კომუნიკაციები, აეროდრომები, სარაღარო სისტემები. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა სამხედრო საჰაერო ძალების უპირველეს ამოცანას, როგორც ზღვიდან ისე ჰაერიდან საკუთარი გემებისა და ბადრაგების დაცვა წარმოადგენდა, რათა მათ უსაფრთხოდ მოეხდინათ საჯარისო ნაწილების დანიშნულების ადგილამდე გადაყვანა¹⁹⁵.

მოკავშირეთა ფართომასშტაბიანი შეტევის მზადების შესახებ, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ გერმანელებმა არ იცოდნენ თუ დროის რომელ მონაკვეთში და კონკრეტულად სად მოხდებოდა კონტინენტზე შეჭრა. დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელება მოკავშირეთა მხრიდან დიდ ძალისხმევასა და შემოქმედებასაც კი მოითხოვდა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მკაცრი ზომების მიღებასაც არ ერიდებოდნენ. ლა-მანშის ფორსირებამდე რამდენიმე კვირით ადრე აიკრძალა სანაპირო ზოლში თავისუფალი გადაადგილება, გაძლიერდა ცენზურა, შეწყდა საფოსტო ამანათებისა და წერილების გაგზავნა, საელჩოებს აეკრძალათ დაშიფრული ტელეგრამებით სარგებლობა, შეფერხებით მუშაობდა დიპლომატიური ფოსტაც¹⁹⁶.

ამგვარი ზომების მიღებით მოკავშირეები ერთდროულად ორი მიზნის მიღწევას ცდილობდნენ. თან მკაცრად ასაიდუმლოებდნენ ნებისმიერ ინფორმაციას ოპერაცია „ოვერლორდის“ შესახებ, თანაც შეცდომაში შეჰყავდათ მოწინააღმდეგე თითქოს ისინი დუვრის სრუტისა და არა ნორმანდიის მიმართულებით აპირებდნენ შეტევას. მოკავშირეები ამ მიმართულებითაც არ იშურებდნენ ძალისხმევას: კენტსა და სასექსში ხდებოდა საჯარისო ნაწილების თავმოყრის იმიტაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის პორტებში ისინი გემების მაკეტების აგებით იყვნენ დაკავებული, სანაპიროს ტერიტორიაზე

სადესანტო სწავლებებს მართავდნენ, რასაც თან ახლდა რადიოგადამცემების გაძლიერებული მუშაობა. იმ რაიონებში, სადაც მოკავშირეები არ გეგმავდნენ გადასხმას, მათი მხრიდან ინტენსიური დაზვერვითი სამუშაოები ხორციელდებოდა ვიდრე იმ რაიონში, სადაც რეალურად უნდა მომხდარიყო კონტინენტზე შეჭრა. ყოველივე ამან კი ინგლისის პრემიერის აზრით საუკეთესო შედეგი გამოიღო. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო იმაში, რომ მოკავშირეთა მთავარ სამიზნეს პადე-კალე წარმოადგენდა¹⁹⁷. მათი ჯარების განლაგება კონტინენტზე კი „ოვერლორდის“ განხორციელების დაწყებამდე ამგვარად გამოიყურებოდა. ფელდმარშალი გ. ფონ რუნდშტედტი, რომლის განკარგულებაში 60 დივიზია იყო, ხელმძღვანელობდა ე. წ. „ატლანტიკის ზღუდის“ მთელს რაიონს, რომელიც ბელგია ჰოლანდიის საზღვრებიდან იწყებოდა და სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროს ჩათვლით, ბისკაის ყურით მთავრდებოდა. ჰოლანდიის სანაპიროდან, მდინარე ლუარამდე კი გენერალ რომელის საჯარისო შენაერთები იდგნენ. მისი მეთხუთმეტე არმია 19 დივიზიის შემადგენლობით კალესა და ბულონს შორის ტერიტორიას აკონტროლებდა, ხოლო მეშვიდე არმია, რომლის შემადგენლობაში ცხრა ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია იყო ნორმანდიაში იდგა. აღსანიშნავია, რომ ათი სატანკო დივიზია, რომელიც გერმანელებს დასავლეთ ფრონტზე გააჩნდათ ბელგიიდან ბორდომდე ჰყავდათ გაფანტული. ჩერჩილის შეხედულებით ასეთი განლაგებით გერმანელები, რომლებიც იმ მომენტისათვის თავდაცვითი ღონისძიებებით იყვნენ დაკავებულნი ფრანგების მიერ 1940 წელს დაშვებულ შეცდომებს იმეორებდნენ, ასუსტებდნენ რა ამით თავიანთი კონტრშეტევის პოტენციალს¹⁹⁸.

1944 წლის იანვარში ფელდმარშალმა ე. ფონ რომელმა, მხედართმთავრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ, თავდაცვით სფეროში შექმნილი ხარვეზების გამოსწორება დაიწყო. მისი ინიციატივით მთელი სანაპიროს გასწვრივ აიგო ბეტონის ე. წ. კედლები, მოეწყო სხვადასხვა სახის წინაღობები და საცეცხლე წერტები, ხმელეთზე და ზღვაში ჩაიდო ნაღმები. სანაპიროს მიმდებარე სოფლები ძლიერ იქნა გამაგრებული. ინგლისის პრემიერის აზრით იმ შემთხვევაში თუ რომელს უფრო მეტი დრო ექნებოდა თავდაცვის ზღუდის მოსაწყობად მოკავშირეთა წინაშე დასახული ამოცანა გაცილებით გართულდებოდა. ამის დასტურად ჩერჩილს ის ფაქტი მოჰყავდა, რომ ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყებამდე მოკავშირეთა მხრიდან, როგორც ჰაერიდან ისე ზღვიდან განხორციელებულმა დაბომბვებმა ვერ შეძლო გაენადგურებინა მოწინააღმდეგის მრავალი ბეტონის ნაგებობა. თუმცა პირველმა შტურმმა წარმატებით მოახერხა მტრის უმეტესი სარადარო დანადგარების მწყობრიდან გამოყვანა, რომლებიც კონტინენტის სანაპირო ზოლში იყო განლაგებული. ჩერჩილის ცნობით კალედან გერნსიმდე გერმანელებს გააჩნდათ 120 დიდი სარადარო მოწყობილობა. მოკავშირეებმა შეძლეს აღმოეჩინათ და წარმატებით გაენადგურებინათ „ოვერლორდის“ განხორციელების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მრავალი ასეთი სარადარო სადგური. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ცნობით „ოვერლორდის“ დაწყებამდე ერთი დღით ადრე 6 სარადარო სადგურიდან გამართულად მუშაობა მხოლოდ ერთს თუ შეეძლო. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში თავი ძირითადად ინგლისელმა სამხედროებმა გამოიჩინეს¹⁹⁹.

მიუხედავად მოკავშირეთა მხრიდან ასეთი მასშტაბური სამხედრო მზადებისა, მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა „არხის“ ფორსირების დრო და ადგილი. ოპერაცია

„ოვერლორდის“ დაწყების წინ გერმანიის მთავარსარდლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იმის შესახებ, თუ კონტინენტის რომელ კონკრეტულ უბანზე მიიტანდნენ იერიშს მოკავშირეთა ჯარები. ფელდმარშალი რუნდშტედტი მტკიცედ იყო დარწმუნებული იმაში, რომ სადესანტო შეტევა პა დე კალეზე განხორციელდებოდა, რადგანაც ეს იყო ყველაზე მოკლე და შედარებით ადვილად შესაღწევი საზღვაო გზა გერმანიის გულისაკენ. საინტერესოა, რომ გ. რუნდშტედტს ე. რომელიც ეთანხმებოდა. მაგრამ ჰიტლერისა და მისი შტაბისათვის ცნობილი გახდა, რომ ბრძოლის მთავარი არენა ნორმანდია იქნებოდა. თუმცა ჩერჩილის ცნობით მას შემდეგ, რაც მოკავშირეთა ჯარები კონტინენტზე შეიჭრნენ, გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ბოლომდე დარწმუნებული არ იყო იმაში თუ კონტინენტის რომელ მონაკვეთზე მიიტანდა მოწინააღმდეგე მთავარ დარტყმას²⁰⁰. აღსანიშნავია, რომ გერმანიის დაზვერვას მოკავშირეთა ჯარების რაოდენობაზე და სატრანსპორტო საშუალებებზე გადაჭარბებული წარმოდგენა გააჩნდა. მათი მონაცემებით მოკავშირეებს საკმარისი რესურსი გააჩნდათ მეორე მაშტაბური გადასხმის განსახორციელებლად, ხოლო ნორმანდიას ისინი წინასწარ საცდელ და დამხმარე სამხედრო ღონისძიებად განიხილავდნენ. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში გერმანელებმა მთელი დღე დაკარგეს, რათა ორი სატანკო დივიზია ფრონტის ხაზის გასაძლიერებლად გადაეგზავნათ²⁰¹.

1944 წლის გაზაფხულისათვის ბრიტანეთის კუნძულებზე უკვე თავმოყრილი იყო მოკავშირეთა მნიშვნელოვანი ძალები ჩრდილოეთ საფრანგეთში შესაჭრელად. 10 აპრილს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიების ხელმძღვანელებმა გენერლებმა დინმა და ბეროუზმა, წითელი არმიის გენერალური შტაბის მეთაურს მარშალ ა. ვასილევსკის აუწყეს, რომ ლა-მანშის ფორსირება 1944 წლის 31

მაისს ან 2-3 დღის შესაძლო გადავადებით განხორციელდებოდა. 22 აპრილს სტალინმა აცნობა ჩერჩილსა და რუზველტს, რომ თეირანში მიღწეული შეთანხმების თანახმად, წითელი არმია ინგლის-ამერიკის ჯარების დასავლეთ ევროპაში შეჭრის პარარელურად აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა წინააღმდეგ ახალ შეტევას წამოიწყებდა, რომელიც მაქსიმალურად დაეხმარებოდა მოკავშირეთა ოპერაციათა განხორციელებას²⁰².

ამ დროისათვის კი იტალიის ფრონტზე აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. მოკავშირეთა შეტევები წარმატებით განვითარდა. 18 მაისს დაკავებულ იქნა ქ. კასინო. 4 ივნისს მოკავშირეთა ჯარები რომში შევიდნენ. 5 ივნისს ეიზენჰაუერის სავლეთ შტაბში დანიშნულ იქნა ნორმანდიაში შეჭრის საბოლოო თარიღი – 6 ივნისი. ოპერაცია „ოვერლორდის“ განხორციელებამდე 1 დღით ადრე დიდი ბრიტანეთის პრემიერმა წერილით მიმართა საბჭოთა მეთაურს, რომ მოკავშირეები 5 ათასი გემისა და 11 ათასი თვითმფრინავის გამოყენებით რამდენიმე საათის შემდეგ არხის ფორსირებას შეუდგებოდნენ. წერილში ჩერჩილი სტალინს მოკავშირეთა ჯარების მიერ რომის აღებას ატყობინებდა. აღნიშნულ კამპანიას მისი შეხედულებით რაც შეიძლება მეტი მტრის დივიზიების სხვადასხვა ადგილიდან მოწყვეტა უნდა მოჰყოლოდა. ინგლისის პრემიერი, იმედოვნებდა რომ ამით მოკავშირეები ძირითადი ოპერაციის მხარდაჭერას შეძლებდნენ. ამავე წერილში ჩერჩილი მწუხარებას გამოთქვამდა, იმის გამო, რომ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი დ. ეიზენჰაუერი იძულებული იყო ერთი ღამით გადაედო ლა-მანშზე შტურმი²⁰³. მეორე დღეს თავის საპასუხო წერილში სტალინი მიესალმა „ოვერლორდის“ დაწყებას და ჩერჩილს აცნობა, რომ თეირანში მიღწეული გადაწყვეტილების თანახმად

ივნისის შუა რიცხვებში საბჭოთა ჯარები გერმანელთა წინააღმდეგ ფართომასშტაბიან შეტევით ოპერაციას დაიწყებდნენ²⁰⁴.

ოპერაციის განხორციელების წინ ინგლის-ამერიკის ავიაციამ მასირებულად დაბომბა მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციები. 6 ივნისის დღით კი საფრანგეთის სანაპიროს 5 უბანზე დაიწყო მოკავშირეთა საზღვაო დესანტის კონტინენტზე გადასხმის ოპერაცია. მოკავშირეებს გერმანელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ²⁰⁵. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გერმანელები ინგლის-ამერიკის ჯარების ევროპაში შეჭრას პა-დე-კალეს რაიონში მოელოდნენ და ყველაზე მეტად ეს ადგილი ჰქონდათ გამაგრებული. ნორმანდიაში შეჭრას კი ისინი სათუოდ მიიჩნევდნენ²⁰⁶. უნდა აღინიშნოს, რომ ლა-მანშის ფორსირების ოპერაცია ძალზე დეტალურად იყო მომზადებული. თავისი მასშტაბების, ტექნიკური საშუალებების, მონაწილეთა რაოდენობისა და ორგანიზაციის თვალსაზრისით ის უნიკალური იყო სამხედრო ისტორიაში. ოპერაციის უნიკალურობაზე და გრანდიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ 1944 წლის ივნისის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე კონცენტრირებული საექსპედიციო ძალების რიცხვი 2 მილიონ 876 ათას 439 ადამიანს აღწევდა. საწყის ეტაპზე „ოვერლორდის“ ჩატარებისათვის მოკავშირეებმა თავი მოუყარეს 39 დივიზიას. მათი სამხედრო საჰაერო ძალები 11 ათას საბრძოლო და 2 ათასზე მეტ სატრანსპორტო თვითმფრინავს ითვლიდა. სამხედრო საზღვაო ძალების განკარგულებაში კი იყო სხვადასხვა ტიპის 6 ათასამდე საბრძოლო და სადესანტო გემი²⁰⁷. რაც შეეხება გერმანელებს მათ ამ დროისათვის დასავლეთ ევროპაში ჰყავდათ 60 დივიზია. ამასთან მათი დიდი ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ პა-დე-კალეს რაიონში იყო განლაგებული. გერმანელებს ნორმანდიაში მხოლოდ 10 დივიზია ჰყავდათ. საფრანგეთის აეროდრომებზე

თავმოყრილი იყო მათი 500 თვითმფრინავი, რომელთაგან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მხოლოდ 90 ბომბდამშენი და 70 გამანადგურებელი იყო²⁰⁸. ამგვარად ინგლის-ამერიკის ჯარებს მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდათ მოწინააღმდეგის ძალებთან შედარებით, რამაც განაპირობა კიდევ ოპერაცია „ოვერლორდის“ წარმატება. 7 ივნისს ჩერჩილმა საბჭოთა მეთაურს მოკავშირეთა ჯარების კონტინენტზე გადასხმის შესახებ შეატყობინა. ინგლისის პრემიერის ცნობით მოწინააღმდეგის ზურგში და ფლანგებზე 25 ათასიანი კონტინენტის დესანტირება წარმატებით იყო დასრულებული, ხოლო ნორმანდიის სანაპიროზე დღის ბოლოსათვის 250 ათასი ჯარისკაცის გადასხმა იგეგმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა ჯარებმა ტანკების ნაწილი დაკარგეს, დიდი ბრიტანეთის პრემიერი იმედს არ კარგავდა, რომ თავიანთი საჰაერო და ჯავშანსატანკო ძალების წყალობით გერმანელებზე უპირატესობის მოპოვებას შეძლებდნენ. ამისათვის კი ჩერჩილის მტკიცებით მოკავშირეებს ხელში უნდა ჩაეგდოთ შერბურის პორტი და კონტინენტზე ერთი თვის განმავლობაში 25 დივიზიის ტრანსპორტირება მოეხდინათ²⁰⁹. უკვე 12 ივნისისათვის მოკავშირეებმა 80 კილომეტრამდე გააფართოვეს დაკავებული პლაცდარმი და ფრონტის სიღრმეში 17 კილომეტრით შეიჭრნენ. თუმცა მათი შემდგომი შეტევები, ვიდრე გათვალისწინებული იყო შედარებით ნელი ტემპით წარიმართა. 19 ივნისს ფელდმარშალმა ე. ფონ რომელმა ფელდმარშალ გ. ფონ რუნდშტედტს აუწყა, რომ მოკავშირეები ლა-მანშზე ფართომასშტაბიან გადასხმას სომასა და ჰავრს შორის გეგმავდნენ. საბოლოოდ მოკავშირეთა ჯარების კონტინენტზე შეჭრიდან ექვსი კვირის შემდეგ ივლისის მიწურულს ფელდმარშალ რომელის მეთხუთმეტე არმიის რეზერვი პა დე კალედან სამხრეთით იქნა გადასროლილი²¹⁰.

ამ დროისათვის მოკავშირეებს უკვე მოესწროთ სანაპიროზე დაკავებული პლაცდარმის გამაგრება. თუმცა მიუხედავად ამისა ისინი გერმანელებისაგან მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ფრონტის ე. წ. ამერიკულ ფლანგზე მოკავშირეთა ჯარების გადაადგილებას კარანტანთან ახლოს მდებარე ჭაობი და მდინარე ვირი აფერხებდა. ამასთანავე მოკავშირეთა ჯარების არტილერიით მხარდაჭერა გართულებული იყო, რადგან მათი ტანკები რელიეფის გამო ძნელად მოძრაობდნენ. ბრძოლები ძირითადად ქვეითებს შორის წარიმართა. სანაპიროს თითქმის ყოველი მონაკვეთი გამაგრებულ პუნქტად იქცა. აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა შეტევები ძირითადად წარმატებით განვითარდა. პირველი სერიოზული ბრძოლა მოწინააღმდეგესთან მათ ქ. კანთან ელოდათ. საფრანგეთის ეს პატარა ქალაქი გააფთრებული შეტაკებების არენად გადაიქცა. მოკავშირეებისათვის კანის დაკავებას, მისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კანის აღმოსავლეთ ნაწილის ხელში ჩაგდება მოკავშირეებს შესაძლებლობა ეძლეოდათ იქ დესანტის გადასხმისათვის მოედანი აეშენებინათ. ამასთანავე გენერალი ბ. მონტგომერი, ამერიკელთა ჯარის დახმარებით მარცხენა ფლანგზე მაშტაბური რეიდის განეხორციელებას იმედოვნებდა²¹¹. ქალაქის შენარჩუნებას გერმანელებისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოკავშირეთა მხრიდან მათი თავდაცვის ზღუდის აქ გარღვევა იმას ნიშნავდა, რომ მათი მეშვიდე არმია იძულებული გახდებოდა სამხრეთ აღმოსავლეთით ლუარასაკენ დაეხია. ამ შემთხვევაში კი გზა პარიზისაკენ თავისუფალი გახდებოდა და მოკავშირეებს შესაძლებლობა მიეცემოდათ საფრანგეთის დედაქალაქისაკენ გაჭრილიყვნენ²¹². შექმნილი რთული ვითარებიდან თავის დასაღწევად გერმანელებმა კანისაკენ რამდენიმე სატანკო დივიზია გადაისროლეს.

აღსანიშნავია, რომ მათი მეთხუთმეტე არმიის სარეზერვო დივიზიები ჯერ კიდევ არ მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში და სენის ჩრდილოეთით იყვნენ განლაგებულნი. 12 ივნისისათვის კანის მისადგომებთან ინგლის-ამერიკის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში გერმანელთა 12, მათ შორის 4 სატანკო დივიზია მონაწილეობდა. მოკავშირეთა მხრიდან ინტენსიური დაბომბვის შედეგად გერმანელთა თითქმის მთელი კომუნიკაცია მწყობრიდან გამოვიდა ან განადგურებულ იქნა. მდინარე სენაზე ხიდების უმრავლესობა დაბომბვამ დაანგრია, რის გამოც მოწინააღმდეგე იძულებული იყო საავტომობილო მაგისტრალებითა და რკინიგზით ესარგებლა. ასეთ დროს კი ისინი მოკავშირეთა მხრიდან, როგორც დღისით ისე ღამით ინტენსიური და ეფექტური საჰაერო დაბომბვების ობიექტები ხდებოდნენ. ამასთანავე გერმანელებმა ვერ შეძლეს მაშველი საჯარისო ნაწილების ფრონტის ხაზზე დროული გადასროლა. მეტიც მათი დაქსაქსული, სუსტად აღჭურვილი დივიზიები ყოველგვარ წარმატებულ, კოორდინირებულ კონტრშეტევის შესაძლებლობას იყვნენ მოკლებული²¹³. 11 ივნისისათვის მოკავშირეებმა დაკავებულ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების არეალის გაფართოება შეძლეს. მათი დღის წესრიგში ახლა მასშტაბური შეტევისათვის საჭირო პლაცდარმის მომზადება დადგა. ამ დროისათვის კი ამერიკელები შერბურის ნახევარკუნძულის გავლით ბარნევილის მიმართულებით სწრაფად მიიწევდნენ, რომლის მისადგომებს 17 ივნისისათვის მიაღწენ. პარარელურად ისინი შეტევას ჩრდილოეთითაც ახორციელებდნენ. 22 ივნისისათვის მათ შერბურს მიაღწიეს²¹⁴. 25 ივნისს ჩერჩილი სტალინს შერბურთან განვითარებული მოვლენების შესახებ ატყობინებდა. ინგლისის პრემიერის ცნობით ამერიკელები იმედოვნებდნენ, რომ საპორტო ქალაქს რამდენიმე დღეში აიღებდნენ. მოვლენათა ასეთი განვითარება

ჩერჩილის შეხედულებით სამ ამერიკულ დივიზიას გამოათავისუფლებდა, რაც საჭირო იქნებოდა სამხრეთ მიმართულებით მოკავშირეთა შეტევითი ოპერაციების გასაძლიერებლად. ინგლისის პრემიერის მტკიცებით აღნიშნული იერიშის შემდეგ მოკავშირეებს შესაძლოა 25 ათასი გერმანელის ტყვედ აყვანა მოეხერხებინათ²¹⁵. გერმანელებმა ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მხოლოდ 26 ივნისამდე მოახერხეს მოკავშირეებისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევა. საომარი მოქმედებების დროს კი შერბურის პორტი ისე ძლიერად დაზიანდა, რომ მან აგვისტოს ბოლომდე ვერ შეძლო ფუნქციონირება. 1944 წლის 27 ივნისს საბჭოთა მეთაურმა ჩერჩილისათვის გაგზავნილ წერილში მოკავშირეებს ქ. შერბურის აღება მიულოცა²¹⁶.

აღსანიშნავია, რომ „ოვერლორდის“ დაწყებიდან პირველი 6 დღის განმავლობაში კონტინენტზე გადასხმულ იქნა 326 ათასი კარისკაცი. გადაიტვირთა 54 ათასი სხვადასხვა სახეობის მანქანა და 104 ათასი ტონა საბრძოლო მასალა. სადესანტო გემების მნიშვნელოვანი დანაკარგების მიუხედავად სანაპიროზე გადასხმული ჯარისკაცების მომარაგება შეუფერხებლად მიმდინარეობდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ცნობით ამ პროცესში ყოველდღიურად, საბრძოლო მასალებით დატვირთული, 200 დიდი და მცირე სხვადასხვა ტიპის გემი მონაწილეობდა, რაც მათი რაოდენობისა და ცუდი ამინდის გათვალისწინებით იოლი საქმე არ იყო. მიუხედავად ამ სირთულეებისა მოკავშირეებმა შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს. ამაში განსაკუთრებით გამორჩეული როლი სავაჭრო ფლოტმა შეასრულა, რომელთა მეზღვაურები ნებისმიერი რისკის ფასად მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ²¹⁷.

გერმანელთა მდგომარეობა მოკავშირეთა კონტინენტზე გადასხმის დღიდან თანდათან დამძიმდა. 17 ივნისს მარჟივალში,

სუასონთან ახლოს ჰიტლერი ფელდმარშლებს რუნდშტედტსა და რომელს შეხვდა. ორივე სარდალი ფიურერს უმტკიცებდა, რომ არანაირი აზრი არ ჰქონდა ნორმანდიაში გერმანიის არმიის ბრძოლას. მათი შეხედულებით უმჯობესი იქნებოდა, რომ მეშვიდე არმია სენის მიმართულებით ორგანიზებულად უკან დახეულიყო, სადაც მეთხუთმეტე არმიას შეუერთდებოდა მოწინააღმდეგესთან თავდაცვითი ბრძოლის საწარმოებლად. მაგრამ ჰიტლერმა ფელდმარშლების მოსაზრება არ გაიზიარა. ფიურერი მოითხოვდა, რომ თითოეულ გერმანელ ჯარისკაცს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა და არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაეხია²¹⁸.

ამ დროისათვის, ივნისის ბოლო კვირას, ქ ინგლისელებმა მოახერხეს კანის სამხრეთით პლაცდარმი შეექმნათ. თუმცა მისი აღმოსავლეთ მიმართულებით გაფართოება მათ ვერ შეძლეს. რადგანაც სამხრეთიდან ინგლისელები გერმანელთა სატანკო დივიზიების დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ. 1 ივლისით დათარიღებულ წერილში ჩერჩილი სტალინს ნორმანდიაში განვითარებული საომარი მოქმედებების შესახებ ატყობინებდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერის ცნობით ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, მოკავშირეთა ჯარებს საშუალება არ ჰქონდათ ჰაერში უპირატესობა გამოეყენებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ფრონტის ინგლისური ფლანგის წინააღმდეგ გერმანელთა რვა სატანკო დივიზია იბრძოდა, ჩერჩილის მტკიცებით მოკავშირეებს ტანკების რაოდენობის მხრივ მოწინააღმდეგეზე ერთგვარი უპირატესობა გააჩნდათ. აღნიშნულ წერილში ინგლისის პრემიერმა სტალინს უკრაინის ფრონტზე საბჭოთა ჯარების წარმატებული შეტევა მიულოცა, რომლის შედეგად წითელმა არმიამ გერმანელებისაგან სევასტოპოლი, ოდესა და ყირიმი გაათავისუფლა. 4 ივლისს კი ჩერჩილმა სტალინს საბჭოთა ჯარების მიერ ქ. მინსკის აღება მიულოცა²¹⁹. საბოლოოდ

მოკავშირეებმა შეძლეს გერმანელთა წინააღმდეგობის დაძლევა. რაც ძირითადად საავიაციო და საარტილერიო ინტენსიური დაბომბვების შედეგად მოხდა. 8 ივლისს მოკავშირეებმა ჩრდილო დასავლეთიდან მძიმე ბომბდამშენების თანხლებით კანზე ძლიერი შეტევა განახორციელეს. მათ დაახლოებით ორი ათასი ტონა ბომბი ჩამოყარეს გერმანელთა თავდაცვით კომუნიკაციებზე. გამთენიისას ინგლისელი ქვეითები შეტევაზე გადავიდნენ და წინ მნიშვნელოვნად წაიწიეს. 10 ივლისს კი მოკავშირეთა ჯარებმა ქალაქი კანი გერმანელებისაგან გაათავისუფლეს. ეს ღირშესანიშნავი მოვლენა მოკავშირეებს სტალინმა ჩერჩილისათვის გაგზავნილ 11 ივლისით დათარიღებულ წერილში მიულოცა²²⁰.

1944 წლის 12 ივლისს საბჭოთა მეთაურისათვის გაგზავნილ წერილში ჩერჩილი ნორმანდიაში განვითარებულ მოვლენებს შეეხო. მისი ცნობით კონტინენტზე იმ მომენტისათვის მოკავშირეთა ჯარების მილიონ 50 ათასი ჯარისკაცი იმყოფებოდა და ყოველდღიურად ამ კონტინენტს 25 ათასი მეომარი ემატებოდა. მოწინააღმდეგესთან მძიმე შეტაკებების შედეგად მოკავშირეთა ძალებმა 64 ათასი მეგრძოლი დაკარგეს. ჩერჩილის მტკიცებით ამდენივე იყო მსხვერპლი მოწინააღმდეგეთა რიგებშიც. თუმცა მოკავშირეებმა შეძლეს 51 ათასი გერმანელის ტყვედ აყვანა. დიდი ბრიტანეთის პრემიერის თქმით აშშ-ინგლისის ჯარების შეტევითმა ოპერაციებმა ძლიერ დააზარალა მოწინააღმდეგე. პარალელურად, ჩერჩილის ცნობით, გენერალი ალექსანდერი იტალიის ფრონტზე პიზა-რიმინის ხაზის ფორსირებასა და მდინარე პოს მიმართულებით შეტევის განხორციელებას იმედოვნებდა. რაც ინგლისის პრემიერის შეხედულებით იტალიის ფრონტზე კიდევ რამდენიმე გერმანული დივიზიის დაკავებას უზრუნველყოფდა. ჩერჩილმა ყურადღება თურქეთის ომში ჩაბმის შესახებაც გაამახვილა. ინგლისის პრემიერის შეხედულებით

თურქეთი ომში მოკავშირეთა მხარეზე ჩაბმის შემთხვევაში, საკუთარი საჰაერო სივრცის დასაცავად თვითმფრინავებს მოითხოვდა, რისი გადაცემაც მოკავშირეებს იმ მომენტისათვის შეზღუდული სამხედრო რესურსების გამო შეუძლებლად მიაჩნდათ. ამიტომ ჩერჩილის აზრით ამ ეტაპისათვის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, თურქეთის მხრიდან გერმანიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა იყო, რაც ამ უკანასკნელისათვის კრახის მომასწავებელი იქნებოდა²²¹. თავის საპასუხო 15 ივლისით დათარიღებულ წერილში საბჭოთა მეთაურმა უ. ჩერჩილთან თურქეთთან დაკავშირებული შემდგომი ურთიერთობის პერსპექტივები განიხილა. სტალინის ცნობით მოკავშირეთა მხრიდან თურქეთისადმი რამდენჯერმე იქნა შეთავაზებული, რომ მას გაეწყვიტა გერმანიასთან ურთიერთობა და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. მოკავშირეთა აღნიშნული ინიციატივა საბჭოთა ლიდერის შეხედულებით უშედეგოდ დასრულდა. ამიტომ მისი აზრით ამ მომენტისათვის თურქეთზე ზეწოლას მისი ომში ჩაბმის მიზნით მოკავშირეებისათვის არანაირი პოზიტიური რეზულტატი არ ექნებოდა. უფრო მეტიც საბჭოთა ლიდერისათვის თურქეთის თავშეკავებული პოზიცია იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ უკანასკნელს ომის შემდგომ პრეტენზიებისა და განსაკუთრებული უფლებების გაცხადების ნება არ ექნებოდა²²².

ივლისის შუა რიცხვებში უკვე კონტინენტზე მოკავშირეთა ჯარების 30 დივიზია იმყოფებოდა. აღნიშნული კონტიგენტიდან ნახევარი ამერიკელი, ნახევარი კი ინგლისელი და კანადელი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მათთან დასაპირისპირებლად გერმანელებს 27 დივიზია ჰყავდათ მობილიზირებული. რადგანაც მათ მოკავშირეებთან ბრძოლაში დაახლოებით 160 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, მათი დივიზიები გენერალ დ. ეიზენჰაუერის შეფასებით

მხოლოდ 16 დივიზიას თუ გაუტოლდებოდა. ამ დროისათვის ბრძანება, რომლის მიხედვითაც გერმანიის მეთხუთმეტე არმია სენასთან იდგა გაუქმდა და მისი რამდენიმე დივიზია მეშვიდე არმიის დასახმარებლად გაიგზავნა. აღსანიშნავია, რომ გერმანელთა დივიზიების გადაადგილება რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალებით, მდინარე სენაზე კი ბორნებით ხდებოდა, რამაც მნიშვნელოვნად დააყოვნა მათი დანიშნულების ადგილამდე მისვლა. ამის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი მოკავშირეთა ავიაციის ეფექტური დაბომბვები იყო, რაც მოწინააღმდეგეს დიდ ზიანს აყენებდა. რადგანაც გერმანელთა მაშველმა ძალამ ფრონტის ხაზზე დაგვიანებით მიაღწია, ბუნებრივია მათ ვერ შეძლეს არსებული მდგომარეობის კარდინალურად შეცვლა²²³. 1944 წლის 24 ივლისს ინგლისის პრემიერმა სტალინს ნორმანდიაში სამ დღიანი მოგზაურობისა და კონტინენტზე განვითარებული მოვლენების შესახებ აუწყა. ჩერჩილის ცნობით მოკავშირეებმა რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ვერ შეძლეს გამოეყენებინათ ავიაციის უპირატესობა, რის გამოც ოპერაცია ეფექტურად ვერ განხორციელდა. ინგლისის პრემიერის მტკიცებით ლა-მანშის ფორსირების დღიდან აშშ-ინგლისის გაერთიანებულმა ძალებმა 110 ათასი, ხოლო მოწინააღმდეგემ 160 ათასი ჯარისკაცი დაკარგა. ამასთანავე მოკავშირეებმა ტყვედ დაახლოებით 60 ათასი გერმანელი ჩაიგდეს. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისათვის, ჩერჩილის თქმით, კონტინენტზე მილიონ 400 ათასი ჯარისკაცი იყო გადასხმული. მათი მთავარი საზრუნავი კი შერბურის ნავსადგურის აღდგენა და ხელოვნური ასაწყობი პორტების გამაგრება იყო, რათა მათ შტორმული ქარიშხლებისათვის გაეძლოთ. აღნიშნულ წერილში ჩერჩილი საბჭოთა მეთაურს მოკავშირეთა მხრიდან სამხრეთ საფრანგეთში განსახორციელებელი ოპერაცია „ენვილის“ 15

აგვისტოს დაწყების შესახებ ატყობინებდა, რომელსაც ინგლისის პრემიერის შეხედულებით გენერალ ჰ. ალექსანდერის მიერ აპენინებზე წარმოებული საომარი კამპანიისათვის მხარი უნდა დაეჭირა. ამ უკანასკნელის ძირითადი ამოცანა კი მის განკარგულებაში არსებული 24 დივიზიით მოწინააღმდეგის 27 დივიზიის განადგურება და ზამთრის დადგომამდე ქ. ტრიესტის დაკავება იყო²²⁴. თავის საპასუხო წერილში სტალინმა, ნორმანდიაში მოკავშირეთა მხრიდან ახალი ოპერაციის დაგეგმის შესახებ ჩერჩილს აუწყა, რომ აღნიშნული შეტევა, წარმატებით განხორციელების შემთხვევაში გერმანიაში შექმნილ სიტუაციაზე სერიოზულად იმოქმედებდა. საბჭოთა მეთაურის აზრით აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ საფრანგეთში დაგეგმილ ოპერაცია „ენვილის“ ეფექტურად განხორციელებასაც²²⁵.

1944 წლის 25 ივლისს ამერიკელთა მეშვიდე კორპუსმა გენერალ ო. ბრედლის მეთაურობით სენ ლოდან სამხრეთით შეტევა დაიწყო. მეორე დღესვე ამერიკელთა მერვე კორპუსი ბრძოლაში მარჯვენა ფლანგზე ჩაერთო. ამერიკულმა ავიაციამ მოწინააღმდეგეს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, რითაც უზრუნველყო სატანკო და ქვეითი ნაწილების წარმატება, რომელთაც ეფექტური შეტევის წყალობით შეძლეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის ქ. კუტანსის დაკავება. ამ მანევრით მოკავშირეებმა გერმანელებს ნორმანდიის სანაპიროსაკენ უკან დასახევი გზა მოუჭრეს და მთელ მათ თავდაცვის სისტემას მდინარე ვირის დასავლეთით საფრთხე შეუქმნეს. მოკავშირეთა ავიაცია კვლავაც ეფექტურად აგრძელებდა მოწინააღმდეგეთა ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსის განადგურებას. წარმატებული იერიშის შედეგად ინგლის-ამერიკის ჯარებმა 31 ივლისს შეძლეს ქ. ავრანშის დაკავება²²⁶. პარალელურად კანადელთა საჯარისო ნაწილებმა გენერალ ჰ. კრერარის

მეთაურობით შეტევა წამოიწიეს ქ. კანიდან ფალეხის მიმართულებით. კანადელებს გერმანელები ოთხი სატანკო დივიზიით მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. შექმნილ ვითარებაში გენერალმა ბ. მონტგომერმა მოკავშირეთა ჯარების მთავარი დარტყმა ფრონტის სხვა უბანზე გადაიტანა და მეორე ინგლისურ არმიას გენერალ მ. დემპსის ხელმძღვანელობით ბრძანება მისცა კომონიდან მდინარე ვირის მიმართულებით ახალი შეტევა დაეწყო. მოკავშირეთა ავიაციის მხრიდან მოწინააღმდეგის ინტენსიური და ეფექტური იერიშის შემდეგ ინგლის-ამერიკის გაერთიანებულმა ჯარებმა 30 ივლისს მთელ ფრონტის ხაზზე შეტევა წამოიწიეს და რამდენიმე დღის შემდეგ მდინარე ვირს მიაღწენ²²⁷.

ივლისის ბოლოსასთვის მოკავშირეებმა შეძლეს მხოლოდ 110 კილომეტრით გაეფართოვებინათ დაკავებული ტერიტორია და 50 კილომეტრით შეჭრილიყვნენ ფრონტის სიღრმეში. თეირანის კონფერენციის გადაწყვეტილებით, საბჭოთა ჯარებმა „ოვერლორდის“ პარარელურად აღმოსავლეთის ფრონტზე ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწიეს. ამ ოპერაციით, 23 ივნისიდან ივლისის ბოლომდე წითელმა არმიამ ბელორუსიის ფრონტზე 500-600 კილომეტრით წინ წაიწია, პოლონეთის ტერიტორიაზე შეიჭრა და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებს მიუახლოვდა²²⁸.

პარალელურად მოკავშირეთა ჯარები ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს ბრეტანის ნახევარკუნძულზეც ახორციელებდნენ. აქ ძირითადად საბრძოლო ოპერაციაში გენერალ ჯ. პატონის მეთაურობით აშშ-ს მესამე არმია მონაწილეობდა. პატონმა ბრეტანის გერმანელებისაგან გასათავისუფლებლად ორი ჯავშანატანკო და სამი ქვეითი დივიზია დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით გაგზავნა. რამდენიმე დღიანი შეტაკებების შემდეგ გერმანელები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ძირითად ძალებს და თავიანთი

გამაგრებული პორტებისაკენ უკან დახევა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის საომარ მოქმედებებში მონაწილეობამ, რომელიც 30 ათასი მეზრძოლისაგან შედგებოდა. აგვისტოს დასაწყისისათვის მოკავშირეთა ჯარებმა შეძლეს გერმანელთა 45 ათასიანი გარნიზონი სენ მალოს, ბრესტის, ლორიანის და სენ ნაზერის მისადგომებთან მიეჯახკვათ²²⁹. აქ მათი ნეიტრალიზება პირდაპირი შეტაკებების გარეშე და დიდი მსხვერპლის თავიდან აცილების გზით შეიძლებოდა. ბრეტანის ოპერაციის პარალელურად გენერალ პატონის მესამე არმიის დანარჩენი ნაწილი აღმოსავლეთით რუანისაკენ გაემართა. 6 აგვისტოს მოკავშირეთა ჯარები ქ. ლავალში შევიდნენ, 9-ში კი ქ. ლე მანი აიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ამერიკული დივიზიები წარმატებით აგრძელებდნენ სხვადასხვა სტრატეგიული პუნქტების დაკავებას, მათი მომარაგება პრობლემების თანხლებით ხორციელდებოდა. მთავარი სირთულე ამერიკელთა მეწინავე დივიზიების მომარაგებაში მდგომარეობდა, რომელთა კომუნიკაციაც ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაფანტული. საჰაერო გზით შეზღუდული მომარაგების გარდა, მოკავშირეთა ჯარები საჭირო მასალებით შევსებას სანაპირო ბაზებიდან – დასავლეთ ნორმანდიიდან და ქ. ავრანშიდან ახორციელებდნენ. სწორედ ამიტომ ქ. ავრანში მოწინააღმდეგისათვის მთავარი სამიზნე გახდა. ჰიტლერის გეგმით გერმანელებს თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში მთელი ძალებით უნდა შეეციათ ქ. მორტენისათვის, რათა ავრანშს დაუფლებოდნენ და ამით ჯ. პატონის მესამე არმიის კომუნიკაციის გარღვევა მოეხერხებინათ. გერმანელი გენერლები ფიურერის გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათი შეხედულებით ნორმანდიისათვის ბრძოლა უკვე წაგებული იყო. შექმნილ ვითარებაში მათ

მიზანშეწონილად მიაჩნდათ იმ ოთხი დივიზიის გამოყენება, რომლებიც მეთხუთმეტე არმიიდან მდინარე სენისაკენ ორგანიზებულად უკან დასახევად ჩრდილოეთიდან გადაისროლეს. გენერლების აზრით ახალი ძალების დასავლეთით გადაადგილება, მოწინააღმდეგის მხრიდან მათი გარდაუვალი დარტყმის ქვეშ დაყენებას ნიშნავდა. თუმცა ჰიტლერმა მაინც თავისი გაიტანა და 7 აგვისტოს გერმანელთა ხუთმა სატანკო და ორმა ქვეითმა დივიზიამ აღმოსავლეთიდან მორტენზე შეტევა დაიწყო²³⁰. გერმანელებს მედგარ წინააღმდეგობას მხოლოდ ერთი ამერიკული დივიზია უწევდა. მალე ამერიკელებს დასახმარებლად სამი დივიზია მიეშველათ. ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლისა და მოკავშირეთა მხრიდან მასირებული საჰაერო დაბომბვების შემდეგ მოწინააღმდეგე იძულებული გახდა არაორგანიზებულად უკან დაეხია. გერმანელი გენერლების ვარაუდი გამართლდა, მთელი მონაკვეთი ფალეზიდან მორტენამდე, რომელიც მათი ჯარებით იყო სავსე, სამი მხრიდან მოკავშირეთა ჯარების ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა²³¹. გერმანელებს აშშ-ს მესამე არმიის ერთი კორპუსი ჩრდილოეთიდან, ხოლო პირველი არმია გენერალ კ. ჰოჯესის მეთაურობით მდინარე ვირის სამხრეთიდან უტევდა. მოკავშირეების მხრიდან იერიშში მონაწილეობდნენ კანადისა და ინგლისის მეორე არმიის დივიზიები. აშშ-დიდი ბრიტანეთის ავიაცია ინტენსიურად ბომბავდა გერმანელთა პოზიციებს. გერმანელები რამდენიმე დღის განმავლობაში, თავიანთი ჯავშანსატანკო შენაერთების წყალობით, მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მოკავშირეებს. 1944 წლის 10 აგვისტოს ჩერჩილმა სტალინს დასავლეთის ფრონტზე შექმნილი ვითარების შესახებ შეატყობინა. ინგლისის პრემიერის ცნობით მოწინააღმდეგემ ხუთი ჯავშანსატანკო დივიზიით იერიში შერბურსა და ბრეტანის ნახევარკუნძულს შორის მდებარე ქ. ავრანშზე მიიტანა. ჩერჩილის მტკიცებით ამერიკელები

მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელებს. მოკავშირეთა ავიაციის ეფექტურმა დაბომბვებმა დიდი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს. ამასთანავე, აგრძელებდა ჩერჩილი ინგლისელი გენერალი ბ. მონტგომერი ცდილობდა ამერიკელთა დივიზიები – ბრიტანელების, კანადელთა და პოლონელებით შემდგარ საჯარისო ნაწილებთან შეერთებინა, რომლებიც კანიდან ფალეზის მიმართულებით ახორციელებდნენ შეტევას. ამ მანევრით, ჩერჩილის მტკიცებით, გერმანელები მოკავშირეთა ჯარების ალყაში და მდინარე სენას მიჭაჭკუენი აშშ-ინგლისის საჰაერო ძალების დარტყმის ქვეშ ექცეოდნენ. ინგლისის პრემიერი იმედოვნებდა, რომ მოკავშირეები შეძლებდნენ შეტევის წარმატებით განხორციელებას და გამარჯვების მიღწევას. კონტინენტზე კი მისი ცნობით იმ მომენტისათვის მილიონი ამერიკელი, 750 ათასი ბრიტანელი, კანადელი, ჰოლანდიელი და ბელგიელი ჯარისკაცები იმყოფებოდნენ²³².

აგვისტოს შუა რიცხვებში აშშ-ინგლისის გაერთიანებულმა ძალებმა კიდევ უფრო შეავიწროვეს რკალი მოწინააღმდეგის განლაგების ირგვლივ. გერმანელთა მდგომარეობა თანდათან უიმედო გახდა. 20 აგვისტოს მათ მოახერხეს აღმოსავლეთის მიმართულებით ალყის გარღვევა, თუმცა ეს მანევრი გერმანელებს დიდი მსხვერპლის – რვა დივიზიის განადგურების ფასად დაუჯდათ. იმავედროულად აშშ-ს მესამე არმიის სამი კორპუსი, რომელიც ბრეტანის ნახევარკუნძულს გერმანელებისაგან ათავისუფლებდა, ლე მანიდან აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით იქნა გადასროლილი. 17 აგვისტოს ამერიკელებმა ორლეანი, შარტრი და დრიო აიღეს²³³. აქედან ისინი ჩრდილო დასავლეთით ინგლისურ არმიასთან შესაერთებლად გაემართნენ, რომელიც რუანზე შეტევას ახორციელებდა. აღსანიშნავია, რომ ინგლისური არმია ფალეზის

ბრძოლის შემდეგ შესავსებად და ძალების აღსადგენად გადაჯგუფებას საჭიროებდა. პარალელურად გერმანელები დროს არ კარგავდნენ და თავიანთი პოზიციების გამაგრებით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა მოკავშირეთა ავიაციის ეფექტურმა იერიშმა მოწინააღმდეგე იძულებული გახადა უკან მდინარე სენისაკენ დაეხია. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისათვის დაბომბვის დროს დანგრეული არც ერთი ხიდი აღდგენილი არ იყო და გერმანელებს სენის გადალახვა მეტად რთულ პირობებში მოუხდათ. მათ მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების გადარჩენა შეძლეს. რაც შეეხება მათ საჯარისო შენაერთებს, უნდა ითქვას, რომ გერმანელთა დივიზიების იმ ნაწილს, რომლებმაც მდინარის გადალახვა მოახერხეს, ბრძოლისუნარიანობის უნარი დაკარგული ჰქონდათ და მოკავშირეებისათვის ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენდნენ²³⁴.

საფრანგეთის ქალაქებზე განხორციელებული მოკავშირეთა ჯარების წარმატებული იერიშების შემდეგ ჯერი პარიზზე მიდგა. სტალინგრადისა და ვარშავის მოვლენებმა ნათლად აჩვენა ქალაქებზე განხორციელებული შტურმის უპერსპექტივობა და მიზანშეუწონლობა. ასევე ის მძიმე შედეგები რაც პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობის აჯანყებით იყო გამოწვეული. სწორედ ამიტომ ეიზენჰაუერმა გადაწყვიტა პარიზი ალყაში მოექცია და გერმანელთა გარნიზონი აეძულებინა ან ქალაქი დაეტოვებინა ან მოკავშირეთა ჯარების წინაშე კაპიტულაცია გამოეცხადებინა. 20 აგვისტოს გენერალ პატონის მიერ მდინარე სენის ფორსირებას – საფრანგეთის იატაკქვეშა მოძრაობამ აჯანყების დაწყებით უპასუხა. აღსანიშნავია, რომ გენერალ პატონის დაქვემდებარებაში იყო ფრანგული მეორე ჯავშანსატანკო დივიზია, რომელსაც გენერალი ფ. ლეკლერკი მეთაურობდა. აღნიშნული დივიზია ნორმანდიაში 1

აგვისტოს გადასხდა და მოკავშირეთა ჯარებთან ერთად ყველა შეტაკებაში მიიღო მონაწილეობა. იმავე დღეს დაბრუნდა საფრანგეთში გენერალი შ. დე გოლი. მან მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მხედართმთავრისაგან პირობა მიიღო, რომ, როდესაც ამისი დრო დადგებოდა გენერალ ლეკლერკის საჯარისო შენაერთები პირველები შევიდოდნენ საფრანგეთის დედაქალაქში. როდესაც დ. ეიზენჰაუერმა შეტყობინება მიიღო პარიზში ქუჩის ბრძოლების დაწყების შესახებ, ლეკლერკს მოქმედება უბრძანა. აღნიშნული ბრძანება გენერალმა ბრედლიმ 23 აგვისტოს საღამოს 7 საათსა და 15 წუთზე ფრანგულ შტაბს გადასცა. გენერალმა ლეკლერკმა გადაწყვიტა ისე ემოქმედა, რომ თავი აერიდებინა გერმანელებთან პირისპირ შეტაკებისთვის. 24 აგვისტოს ფრანგების საჯარისო შენაერთები პარიზს რამბუიეს მხრიდან მიაღწენ. იმ საღამოსვე ქალაქში მათი მეწინავე სატანკო კოლონა შევიდა. მეორე დღეს 25 აგვისტოს 4 საათზე გერმანელთა გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა²³⁵.

აგვისტოს ბოლოსათვის მოკავშირეთა ჯარებმა სენის რამდენიმე ადგილზე ფორსირება მოახერხეს. მოწინააღმდეგემ ბრძოლაში დაახლოებით ოთხასი ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი – მათგან ნახევარი ტყვის სახით დაკარგა. ამასთანავე მოკავშირეებმა ხელთ ჩაიგდეს ან მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის ათას სამასი ტანკი, ოცი ათასი სატვირთო მანქანა და ათას ხუთასი ქვემეხი. გერმანელთა მეშვიდე არმია, დამხმარე დივიზიების სახით ფაქტობრივად სრულად იქნა განადგურებული²³⁶.

ნორმანდიაში მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ჩერჩილი კვლავ შეეცადა „ენვილის“ დღის წესრიგიდან მოხსნას. ინგლისის პრემიერის შეხედულებით რივიერაზე მოკავშირეთა შეჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ეფექტური თუ აღნიშნული ოპერაცია

„ოვერლორდთან” ერთად ან მანამდე განხორციელდებოდა. სხვა ვითარებაში ჩერჩილის აზრით „ენვილს” არ შეეძლო დახმარება გაეწია ლა-მანშის ფორსირებისათვის²³⁷. 14 ივნისს ინგლის-ამერიკის გაერთიანებულმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება ხმელთაშუა ზღვის რაიონში სადესანტო ოპერაციის მომზადების შესახებ, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში ან ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთით უნდა განხორციელებულიყო. მოკავშირეთა ჯარების გადასხმის საბოლოო ადგილმდებარეობა კი სტრატეგიული მდგომარეობის შემდგომ ცვლილებებზე იყო დამოკიდებული. 19 ივნისს გენერალმა ჰ. უილსონმა ინგლის-ამერიკის გაერთიანებულ შტაბს აცნობა, რომ ყველაზე საუკეთესო ვარიანტად მას საბრძოლო მოქმედებების მდინარე პოს მიმართულებით გადატანა მიაჩნდა. უილსონის შეხედულებით ამის მიღწევის შემდეგ შეიძლებოდა სადესანტო ოპერაციის განხორციელება ისტრიის ნახევარკუნძულზე, კერძოდ – ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, საიდანაც მოკავშირეებს ლუბლიანის გასასვლელის გამოყენებით, ავსტრიასა და უნგრეთში შეჭრის საშუალება მიეცემოდათ. საინტერესოა, რომ უილსონის ამ შეხედულებებს სრულად დაუჭირა მხარი გენერალმა ჰ. ალექსანდერმაც²³⁸. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დ. ეიზენჰაუერმაც დააფიქსირა, რომელმაც მხარი დაუჭირა „ენვილის” განხორციელებას და სამხრეთ საფრანგეთში შესატრელად იტალიაში განლაგებული მოკავშირეთა ჯარების გამოყენება მოითხოვა. ეიზენჰაუერს აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელებიც დაეთანხმნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ჩრდილოეთ იტალიასა და ბალკანეთში ფართომასშტაბიანი ოპერაციების განსახორციელებლად ხმელთაშუა ზღვის საბრძოლო მოქმედებათა თეატრისათვის განკუთვნილი რესურსების გამოყენებას²³⁹. აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით მათი ინგლისელი

კოლეგები თვლიდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვის რაიონში განლაგებული მოკავშირეთა ჯარები ყველაზე უკეთ შეძლებდნენ „ოვერლორდის“ მხარდაჭერას. მათი აზრით კი ამისათვის საჭირო იყო გენერალ ალექსანდერს ისეთი მასშტაბებით განევითარებინა შეტევა, რომ მას მოწინააღმდეგის სრული განადგურება მოჰყოლოდა. რაც შეეხება გენერალ უილსონს, ის სამხრეთ საფრანგეთს მოკავშირეთა ჯარების შეჭრით უნდა დამუქრებოდა, რაც ჩერჩილისა და შტაბების ხელმძღვანელთა აზრით საკმარისი იქნებოდა აღნიშნულ რაიონში გერმანელთა დივიზიების შესაბოჭად²⁴⁰.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შტაბებს შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობის დასაძლევად ჩერჩილმა გადაწყვიტა რუზველტისათვის მიემართა. აშშ-ს პრეზიდენტისათვის გაგზავნილ წერილში მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა „დრაგუნის“ (სამხრეთ საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის ახალი კოდური სახელწოდება) ნაცვლად მოკავშირეები ხმელთაშუა ზღვის რაიონში მხოლოდ მუქარის ხასიათის მატარებელი ოპერაციებით თუ შემოიფარგლებოდნენ. გარდა ამისა, რუზველტისათვის გაგზავნილ წერილში ინგლისის პრემიერი შესაძლებლად მიიჩნევდა „ოვერლორდთან“ ერთად მოკავშირეებს საბრძოლო მოქმედებები იტალიის ფრონტზეც ეწარმოებინათ და ორივე დიდი კამპანია წარმატებით დაეგვირგვინებინათ²⁴¹. ინგლისის პრემიერისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო დათანხმებულიყო ისტრიასა და ბალკანეთში ამერიკული ჯარების გამოყენებაზე. რუზველტის თქმით არც ფრანგები დათანხმდებოდნენ მათი ჯარების ამ მიზნებისათვის გამოყენებას. გარდა ამისა აშშ-ს პრეზიდენტი მიიჩნევდა, რომ თეირანში მიღწეული სამხსრივი შეთანხმების გათვალისწინებით მას არ შეეძლო სტალინთან კონსულტაციის გარეშე უარი ეთქვა

„დრაგუნის” განხორციელებაზე²⁴². საბოლოოდ დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩერჩილმა ვერ შეძლო „დრაგუნის” მოხსნისათვის და სამხრეთ საფრანგეთში შეჭრისათვის განკუთვნილი ძალების ბალკანეთში გამოყენებისათვის მიედწია²⁴³. 1944 წლის 15 აგვისტოს ინგლის ამერიკის ჯარები სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროზე გადასხდნენ. პირველ დღესვე მოკავშირეებმა შეძლეს რივიერაზე 86 ათასი ჯარისკაცისა და ოფიცრის გადაყვანა²⁴⁴. გერმანელებს მათთვის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. აგვისტოს ბოლოსათვის მოკავშირეებმა მარსელი, ტულონი, გრენობლი და ვალანსი დაიკავეს. 3 სექტემბერს ინგლის-ამერიკის ჯარები ლიონში შევიდნენ.

დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა წარმატებულმა შეჭრამ კიდევ უფრო გააუარესა გერმანიის მდგომარეობა და საბოლოოდ დააჩქარა კიდევ მისი კრახი. თუმცა, ჩვენი აზრით, მხოლოდ აღნიშნული ოპერაციების განხორციელებითა და ამერიკელთა მხრიდან ჩერჩილი „ბალკანური ვარიანტის” იგნორირებით, პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის კონტროლის დამყარებასა და მსოფლიოში სხვა კომუნისტური რეჟიმების აღმოცენებას, რაც მომავალში „ცივი ომის” დაწყების მიზეზიც კი გახდა.

დაბოლოს, რაც შეეხება პასუხს კითხვაზე, შესაძლებელი იყო თუ არა დასავლეთ ევროპაში 1944 წლამდე მეორე ფრონტის გახსნა? „ოვერლორდის” ოპერაციის შეფერხების მიზეზებთან დაკავშირებით მკვლევარებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეების წარმომადგენლების მიერ სახელდებოდა სატრანსპორტო და სადესანტო საშუალებების

ნაკლებობა იყო. 1942 წლის მაისში ვაშინგტონში საბჭოთა სამთავრობო დელეგაციასთან საუბარში ამერიკელი გენერალი ჯ. მარშალი აღნიშნავდა, რომ მართალია ამერიკელებს ევროპაში შესაჭრელად გააჩნდათ კარგად გაწვრთნილი ბრძოლისუნარიანი საავიაციო და ჯავშანსატანკო დივიზიები, მაგრამ მისი აზრით მთავარი სიძნელე მათ ტრანსპორტირებაში მდგომარეობდა. ანალოგიური მიზეზით ახსნეს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გაუხსნელობა 1943 წელს თეირანის კონფერენციაზე. გენერალმა მარშალმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მეორე ფრონტის გახსნის პრობლემა მხოლოდ ტონაჟისა და სადესანტო საშუალებების ნაკლებობით აიხსნებოდა²⁴⁵. ომის შემდგომ ამ ვერსიამ მყარად მოიკიდა ფეხი თითქმის ყველა ამერიკელ თუ ბრიტანელ ისტორიკოსთა შრომებში. მაგალითად ამერიკელი ისტორიკოსი მ. მეტლოფი წერდა, რომ მხოლოდ ტონაჟის არასაკმარისმა რაოდენობამ შეაფერხა 1943 წლისათვის მეორე ფრონტის გახსნა. ამავე აზრს იზიარებდა ინგლისელი ისტორიკოსი ა. ბრაიანტი, რომლის შეხედულებით გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც აშშ დიდი ბრიტანეთის ჯარების გადაადგილებასა და მომარაგებას განსაზღვრავდა ტონაჟი იყო²⁴⁶. როგორც ცნობილია აშშ და დიდი ბრიტანეთი მეორე მსოფლიო ომში ძლიერ საზღვაო სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ომამდე მხოლოდ მათი სავაჭრო და სამგზავრო ფლოტი ათასობით გემს ითვლიდა, რომელთა საერთო წყალწყვა 40 მილიონ ტონას შეადგენდა. მართალია ომის საწყის ეტაპზე განსაკუთრებით 1941-სა და 1942 წლის პირველ ნახევარში, მათი ფლოტის ტონაჟი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ 1942 წლის მაისიდან, როგორც აშშ-ში ისე დიდ ბრიტანეთში საგრძნობლად იმატა ახლად აშენებული, მათ შორის სამხედრო გემების რიცხვმა და 1943 წლისათვის მხოლოდ მათი

წყალქვეშა ფლოტის საერთო წყალწყვის ოდენობა 11 მილიონ ტონამდე გაიზარდა²⁴⁷. ასეთი ძლიერი ფლოტის წყალობით აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა ერთი წლის განმავლობაში 1942 წლის ნოემბრიდან 1943 წლის ოქტომბრამდე განახორციელეს სამი ფართომასშტაბიანი სადესანტო ოპერაცია – ჩრდილო დასავლეთ აფრიკაში, სიცილიასა და იტალიაში. მართალია მოკავშირეთა მხრიდან ეს ოპერაციები იმაზე ნაკლებ ძალისხმევასა და სამხედრო რესურს მოითხოვდა, ვიდრე ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის გახსნის ოპერაცია, თუმცა მათი განხორციელებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით სრულიად საკმარისი იქნებოდა ჩრდილოეთ საფრანგეთში შესატრელად. ლა-მანშზე ფორსირების ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში წერდა ამერიკელი რ. ინგერსოლი, აშშ-ს სამხედრო საზღვაო ფლოტს შეეძლო ორჯერ მეტის გაკეთება, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის რაიონში²⁴⁸. ინგლისელი ისტორიკოსის ე. იანგის აზრით კი ინგლისის ფლოტს, რომელიც ჯარებისა და სამხედრო მასალების ტრანსპორტირებით იყო დაკავებული ხმელთაშუა ზღვის რაიონში შეეძლო 26-ჯერ მეტი ტვირთის გადაზიდვა ნებისმიერ პუნქტამდე, რომელიც ინგლისიდან სამი დღის ცურვის მანძილით იქნებოდა დაშორებული²⁴⁹. რაც შეეხება სადესანტო გემებს, რომელთა ნაკლებობასაც უჩიოდნენ მოკავშირეები, უნდა აღინიშნოს, რომ მათი მასიური წარმოება მხოლოდ 1941 წლის ბოლოსათვის დაიწყო. უკვე 1942 წლის შუა ხანებში აშშ-ს სადესანტო ფლოტის ტონაჟი 250 ათას ტონამდე გაიზარდა. მაგრამ 1942 წლის მეორე ნახევარში ოპერაცია „სლექჰამერზე“ უარის თქმის გამო სადესანტო საშუალებების მშენებლობის ტემპმა მკვეთრად იკლო. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მოკავშირეებს უკვე გააჩნდათ იმ რაოდენობის გემები, რაც საკმარისი იქნებოდა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში

ოპერაცია „ტორჩის“ განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ 1943-1944 წლებშიც კი ამერიკის სადესანტო ფლოტის უდიდესი ნაწილი წყნარ ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვაში საომარი მოქმედებებისათვის გამოიყენებოდა. ხოლო მათი უმნიშვნელო ნაწილი ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის მოსამზადებლად. ამერიკელი ისტორიკოსის ჩ. უილმოტის აზრით პრობლემა არა სადესანტო საშუალებების წარმოებაში არამედ მათ განაწილებაში მდგომარეობდა. 17 ათასი სადესანტო გემიდან, რომლებიც 1943 წელს იქნა აშშ-ში აგებული, წერდა უილმოტი – ოპერაცია „ოვერლორდისათვის“ ამერიკელებმა მხოლოდ ათასი ერთეული გამოყვეს, ხოლო 16,6 ათასი გემიდან ლა-მანშის ფორსირებისათვის გამოყენებულ იქნა 2,3 ათასი სადესანტო საშუალება²⁵⁰.

ზოგიერთი ამერიკელი და ინგლისელი სამხედრო მოღვაწის შეხედულებით კონტინენტზე დესანტის გადასხმისათვის სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროზე არსებული გერმანელთა თავდაცვის სისტემა ე. წ. „ატლანტიკის ზღუდე“. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზღუდე, რომლის მშენებლობა 1942 წლის გაზაფხულზე დაიწყო, თვით გერმანელი გენერლების აღიარებით არავითარ ორგანიზებულ თავდაცვის სისტემას არ წარმოადგენდა. მათი მტკიცებით ის ი. გებელსის პროპაგანდის საქებარი პროდუქტი უფრო იყო, ვიდრე ნამდვილად მიუდგომელი სიმაგრე²⁵¹.

აშშ-დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში არსებულ პრობლემებს მიიჩნევს დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შეფერხების მიზეზად ქართველი ისტორიკოსი თ. პაპასჭირი. ის 1943 წლის ბოლომდე მოკავშირეთა მხრიდან ლა-მანშის წარმატებით ფორსირებას ეჭვის ქვეშ აყენებს. ამის უმთავრესი მიზეზი კი მისი აზრით არა სადესანტო საშუალებების ნაკლებობა და მოკავშირეთა

ძალების სხვადასხვა ფრონტზე დაფანტვა იყო, არამედ ის, რომ 1941-1943 წლებში დიდი ბრიტანეთისა და განსაკუთრებით აშშ-ს არმიები სამხედრო მომზადების დონით აშკარად ჩამოუვარდებოდნენ ვერმახტს²⁵².

ჩვენ მიერ გამოკვლეული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ფრონტის გახსნა 1944 წლამდე აშშ-დიდი ბრიტანეთის მხრიდან გარკვეულ ობიექტურ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მისი გადადების მიზეზად პოლიტიკური ფაქტორების გამორიცხვა არ შეიძლება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ, როგორც აშშ, ისე დიდი ბრიტანეთი დაინტერესებულიც იყვნენ ტოტალიტარული სახელმწიფოების გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ორმხრივი დასუსტებით და სწორედ ამიტომ ამ ორი ქვეყნის მმართველი წრეები არ ჩქარობდნენ მეორე ფრონტის გახსნას. ისინი მხოლოდ იმიტომ უჭერდნენ გერმანია სსრკ-ს ომში მხარს ამ უკანასკნელს, რომ რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჩანდეს, ნაკლები ბოროტების ამორჩევის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ²⁵³. პოლიტიკური ფაქტორები ედო საფუძვლად უ. ჩერჩილის მხრიდან აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა არმიის შეჭრის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას. რაც უფრო უახლოვდებოდნენ საბჭოთა ჯარები ევროპას, დიდი ბრიტანეთის პრემიერი მით უფრო მონდომებით ცდილობდა ყოველნაირი საშუალებით ხელი შეეშალა ევროპის „გაწითლებისათვის“. ამის ნათელ დადასტურებად მოკავშირეთა ჯარების მხრიდან ხმელთაშუა ზღვის რაიონში განსახორციელებელი სამხედრო ოპერაცია შეიძლება მივიჩნიოთ. საინტერესოა, რომ ინგლისის პრემიერი არც მალავდა თავის ასეთ განზრახვას. ვიწრო წრეში ჩერჩილი პირდაპირ ამბობდა იმის შესახებ, რომ საჭირო იყო არ დაეშვათ წითელი არმიის შეჭრა დუნაისპირეთსა და ბალკანეთში²⁵⁴. რაც შეეხება მოკავშირეთა

ჯარების მხრიდან ლა-მანშის ფორსირებას ამერიკელი გენერლის ო. ბრედლის მტკიცებით ინგლისელებს სურდათ მხოლოდ დამამთავრებელი დარტყმისათვის შეჭრილიყვნენ ევროპაში, როდესაც გერმანელები დაუძღურების პირას იქნებოდნენ მისული²⁵⁵.

ომის შემდგომ ამერიკულ და ბრიტანულ ისტორიულ ლიტერატურაში, რომელიც ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას ეხება, მკვლევართა ერთმა ჯგუფმა (პ. ბოლდუინი, ჩ. უილმოტი და სხვ.) გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმადაც მოკავშირეთა ჯარების ჩრდილო საფრანგეთში შეჭრამ და ჩერჩილის ე. წ. „ბალკანური ვარიანტის“ განხორციელებლობამ აღმოსავლეთ ევროპის „გაწითლება“ გამოიწვია²⁵⁶. ისტორიკოსთა ამ ჯგუფის შეხედულების საპირისპიროდ ს. მორისონისა და რ. შერვუდის მიერ გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ „ბალკანური ვარიანტის“ განხორციელება დიდ ზიანს მოუტანდა დასავლეთის მმართველ წრეებს. მათი აზრით იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები ევროპის კონტინენტზე სამხრეთიდან შეიჭრებოდნენ, ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ საბჭოთა კავშირთან ერთად გერმანიის განადგურებაში, რაც ომის შემდეგ მათ იგნორირებას გამოიწვევდა სამშვიდობო საკითხთა გადაწყვეტისას. მოკავშირეთა ჯარების ბალკანეთში შეჭრა კი საბჭოთა არმიას შესაძლებლობას მისცემდა რური, საარი და ნორმანდია დაეკავებინა²⁵⁷.

ასე, რომ 1944 წლის გაზაფხულისათვის მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთში შეჭრა არა მარტო გერმანიის განადგურებას ისახავდა მიზნად, არამედ აშშ-დიდი ბრიტანეთის მხრიდან გარკვეული პოლიტიკური ფაქტორებითაც იყო გამოწვეული, რაც იმაში მდგომარეობდა – ხელი შეეშალათ დასავლეთ ევროპაში წითელი არმიის შეჭრისათვის და მომავალში საკუთარი

ინტერესებიდან გამომდინარე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში თავიანთი კონტროლი დაემყარებინათ.

დაბოლოს ჩვენი შეხედულებით ლა-მანშის ფორსირება ნაშრომში მოყვანილ მრავალ მიზეზთა (მათ შორის სადესანტო საშუალებათა ნაკლებობისა და აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული წინააღმდეგობების) გამო, არარეალური იყო 1941-1942 წლებში. 1943 წლისათვის კი საფრანგეთში შეჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი თუ ჩრდილოეთ აფრიკაში მოკავშირეთა საბრძოლო მოქმედებები 1943 წლის დასაწყისისათვის დასრულდებოდა. თუმცა, ჩვენი აზრით 1943 წლისათვის დასავლეთ ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარების შეჭრას წარმატების ნაკლები შანსი ექნებოდა, რადგან იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით გერმანიას ჯერ კიდევ მყარი პოზიციები გააჩნდა და ვერმახტი ადვილად შეძლებდა ხელი შეეშალა საფრანგეთის სანაპიროზე მოკავშირეთა დესანტის გადასხმისათვის.

დასკვნა

ამრიგად დავასრულეთ მეორე მსოფლიო ომის ისტორიის შემადგენელი ერთ-ერთი საინტერესო და საკვანძო პრობლემის - „მეორე ფრონტის საკითხი ანტიჰიტლერული კოალიციის მეთაურთა მიმოწერებსა და შეხვედრებში“ განხილვა. ჩვენ მიერ გამოკვლეული დოკუმენტური მასალის, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეთა მემუარების და ამ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად შესაძლებლად მიგვაჩნია დასკვნის სახით შემდეგი მოსაზრებების ჩამოყალიბება:

1) გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმის შემდეგ უმთავრესი ამოცანა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დადგა, მოკავშირეთა ძიება და მათი გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა იყო, რათა რაც შეიძლება მოკლე დროში დაეძლია ომის პირველივე დღეებში ფაშისტური ბლოკის მიერ მოპოვებული უპირატესობა. ამ მხრივ უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის უ. ჩერჩილისა და აშშ-ს პრეზიდენტის ფ. რუზველტის განცხადებებს საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის შესახებ, რაც ხელსაყრელ წინაპირობას ქმნიდა საერთო მტრის – გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისა და მომავალში მათი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

2) ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირისათვის აქტუალური გახდა ევროპის ტერიტორიაზე მეორე ფრონტის შექმნის საკითხი, რომელიც დაემუქრებოდა გერმანიის სტრატეგიული მნიშვნელობის ცენტრებს და ამით აიძულებდა მოწინააღმდეგეს საკუთარი ძალები და რესურსები რამდენიმე ფრონტს შორის გადაენაწილებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის იდეა, რომელიც საფრანგეთში ინგლისის ჯარების გადასხმას ითვალისწინებდა ოფიციალურად ბრიტანელთა მხრიდან, კერძოდ: ლორდ უ. ბივერბრუკისაგან მოდიოდა, საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოთხოვნა 1941 წლისათვის ევროპაში ინგლისის მონაწილეობით შექმნილიყო მეორე ფრონტი არარეალური იყო, ამ ქვეყნის სამხედრო მატერიალური თვალსაზრისით მწირი შესაძლებლობის გამო, რასაც სრულებით სამართლიანად შენიშნავდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი ი. სტალინთან მიმოწერაში.

3) უ. ჩერჩილის 1941 წლის დეკემბრის მემორანდუმში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები საომარი კამპანიების განხორციელების გეგმების შესახებ, საფუძვლად დაედო აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს, რომლის ძირითადი ამოცანა ინგლის ამერიკის საომარ მოქმედებათა ერთობლივი სტრატეგიული გეგმის შემუშავება იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, რომელიც იმ დროისათვის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისათვის წყნარი ოკეანის აუზში იყო შექმნილი, ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა რეალისტურად შეაფასეს არსებული ვითარება და საომარ მოქმედებათა ეს თეატრი ევროპულთან შედარებით მეორე ხარისხისადაც მიიჩნიეს. ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის ამგვარმა პოზიციამ განაპირობა კიდევ, ჩვენი აზრით კონფერენციის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება – გერმანიის მთავარ მოწინააღმდეგედ გამოცხადება. ვაშინგტონის კონფერენციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა 1942 წლის 1 იანვარს 26 ქვეყნის მონაწილეობით ე. წ. „გაერთიანებული ერების

დეკლარაციის” მიღება იყო. აღნიშნულ დეკლარაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიჰიტლერულ ძალებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის წარმოებისათვის

4) 1942 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მოლოტოვის ვაშინგტონში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა პირობა მისცა მას მეორე ფრონტის 1942 წლისათვის გახსნის შესახებ, რაც დაფიქსირდა კიდევ აშშ-სა და სსრკ-ს შორის გაფორმებულ კომუნიკეში. ანალოგიური ხასიათის შეთანხმება ვ. მოლოტოვის ლონდონში ვიზიტსას დიდ ბრიტანეთთანაც დაიდო. გამომდინარე იქედან, რომ 1942 წლისათვის ევროპაში შეჭრის ოპერაციის წარმატებით განხორციელება შეუძლებელი იყო მთელი რიგი მიზეზების გამო, შეიძლება ვიფიქროთ, ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის აღნიშნული დაპირება უფრო საბჭოთა კავშირის გამხნევების სურვილით იყო ნაკარნახევი.

5) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ს პრეზიდენტის საბჭოთა მეთაურისადმი 1943 წლისათვის ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ არაერთი დაპირების მიუხედავად, მოკავშირეთა ლიდერებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ლა-მანშის ფორსირების 1944 წლამდე გადადება. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ი. სტალინისათვის ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ ფ. რუზველტის წერილით გახდა ცნობილი. ამით უკმაყოფილო ი. სტალინმა საპროტესტო წერილებით მიმართა მოკავშირეთა ლიდერებს. გარდა ამისა, საბჭოთა მეთაურმა დიპლომატიური დემარშიც განახორციელა და აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან სსრკ-ს ელჩები მ. ლიტვინოვი და ი. მაისკი გაიწვია. ფ. რუზველტისა და უ.

ჩერჩილის მხრიდან საბჭოთა მეთაურისადმი 1942-43 წლებში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ დაპირებათა შეუსრულებლობამ მოკავშირეთა შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვია და საფრთხის ქვეშაც კი დააყენა ანტიჰიტლერული კოალიციის ერთიანობა.

6) უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კვებეკის კონფერენციაზე ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის მიერ 1944 წლის გაზაფხულისათვის დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც მათ თეირანში გამართულ სამხსრივ შეხვედრაზეც დაადასტურეს. თეირანის კონფერენციაზე აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს მთავრობათა მეთაურთა შორის მიღწეულმა შეთანხმებებმა საბოლოოდ განსაზღვრა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის დრო და ადგილი. კონფერენციაზე უ. ჩერჩილმა დიდი მცდელობის მიუხედავად ვერ შეძლო ე. წ. „ბალკანური სტრატეგიის“ რეალიზაციაზე დაეთანხმებინა ფ. რუზველტი, რომელმაც საბოლოოდ აშშ-ს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე მხარი ლა-მანშის ფორსირებას დაუჭირა. უნდა აღინიშნოს, რომ ფ. რუზველტის ამგვარი პოზიცია ბალკანეთში აშშ-ს სუსტი გავლენის არსებობით იყო განპირობებული. სწორედ ამიტომ აშშ-ს პრეზიდენტი ნაკლებ დაინტერესებას იჩენდა აღნიშნული რეგიონის მიმართ და უპირატესობას რურისა და საარის ოლქების დაკავებას ანიჭებდა, რაც დასავლეთ ევროპაში შეჭრით იყო შესაძლებელი. გარდა ამისა, ფ. რუზველტისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის მონაწილეობა, რომლის დახმარების გარეშე, მისი აზრით შეუძლებელი იყო იაპონიაზე სწრაფი და იოლი გამარჯვების მიღწევა. მას შემდეგ რაც თეირანის

კონფერენციაზე ფ. რუზველტმა ი. სტალინისაგან იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გარანტია მიიღო, მან არჩევანი „ოვერლორდზე“ შეაჩერა. აშშ-ს პრეზიდენტის მხრიდან მხოლოდ „ტრანსლამანშური“ სტრატეგიის მხარდაჭერითა და უ. ჩერჩილისეული „ბალკანური ვარიანტის“ იგნორირებით, ჩვენი აზრით უხეში პოლიტიკური შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპის „გაწითლებისა“ და აღნიშნულ რეგიონში საკუთარი გავლენის დამყარების საშუალება მისცა.

თეირანის კონფერენციაზე უ. ჩერჩილის გეგმის მიმართ ფ. რუზველტის აქტიურ მხარდაჭერას ვფიქრობთ შეეძლო ხელი შეეშალა ბალკანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრისათვის და გარკვეულწილად ომის ვადების შემცირებაზეც ემოქმედა.

7) საომარ მოქმედებათა ამერიკული სტრატეგიის გამარჯვების დადასტურება იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ საფრანგეთში 1944 წლის 6 ივნისსა და 15 აგვისტოს ოპერაციების „ოვერლორდისა“ და „დრაგუნის“ განხორციელება. დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა წარმატებულმა შეჭრამ კიდევ უფრო გააუარესა გერმანიის მდგომარეობა და საბოლოოდ დააჩქარა კიდევ მისი კრახი. თუმცა მხოლოდ აღნიშნული ოპერაციების განხორციელება და ე.წ. „ხმელთაშუაზღვისპირა“ სტრატეგიის იგნორირება, რომელიც ომში თურქეთის ჩაბმას, ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნასა და ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის დაკავებას ითვალისწინებდა, ჩვენი აზრით მიზანშეუწონელი იყო როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

8) 1944 წლამდე მოკავშირეთა დასავლეთ ევროპაში შეჭრის ოპერაციის გადადება, ჩვენი შეხედულებით მრავალი მიზეზით იყო

გამოწვეული. მათ შორის, სადესანტო საშუალებების არასაკმარისი რაოდენობით, რასაც სხვადასხვა ფრონტზე მათი არასწორად გადანაწილება განაპირობებდა, 1943 წლისათვის სამხედრო თვალსაზრისით გერმანიის ჯერ კიდევ მყარი მდგომარეობით; აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის არსებული წინააღმდეგობებით. მეორე ფრონტის გახსნის შეფერხებასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს პოლიტიკური ფაქტორების არსებობაც, რაც, ჩვენი აზრით, ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდევ ომის წარმოების ბრიტანულ სტრატეგიას.

შენიშვნები

შესავალი

1. იხ. Encyclopaedia Britannica, inc., World War II., Costs of The War. Vol.29, 1997. P. 1022-1024.
2. ცნობისათვის ი. სტალინის მკაცრად გასაიდუმლოებული კორესპონდენციები მოსკოვიდან აშშ-ში საბჭოთა კავშირის საელჩოს გადაეცემოდა, საიდანაც დაუყოვნებლივ ინგლისურად (არაოფიციალურად) თარგმნის შემდეგ თეთრ სახლში ფ. რუზველტის შტაბ-ბინაში იგზავნებოდა. ფ. რუზველტის წერილები კი სტალინს მოსკოვში შეერთებული შტატების საელჩოს, ზოგჯერ კი პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის მეშვეობით მიეწოდებოდა. იხ. Новиков Н. В. Воспоминания дипломата. Записки 1938-1947. М. 1989. С. 275.
3. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной Войны 1941-1945 гг.Т. 1-2. М. 1957.
4. Roosevelt and Churchill. Their Secret Wartime Correspondence. N.Y. 1975. Секретная переписка Рузвельта и Черчилля в период войны. М. 1995.
5. Foreign Relations of the United States (შემდგომში FRUS) The Conferences at Washington, 1941-1942, and Casablanca, 1943. Wash. 1968.
6. FRUS. The Conferences at Washington and Quebec, 1943. Wash. 1970.
7. Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной Войны 1941-1945 гг.Т. 1-6. Т. 1. Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании (19-30 октября 1943 г) М. 1978. Т. 2. Тегеранская конференция руководителей трёх союзных держав СССР, США и Великобритании (28 ноября-1 декабря 1943 г) М. 1978. თეირანი, იაღტა, პოტსდამი. დოკუმენტების კრებული. თბ. 1969. Тегеран, Ялта, Потсдам – сборник документов. М. 1970. FRUS. Diplomatic Papers. The Conferences at Cairo and Tehran 1943. Wash. 1961.
8. Советско-английские отношения во время Великой Отечественной Войны 1941-1945. Документы и материалы. Т. 1-2. М. 1983. Советско-американские отношения во время Великой Отечественной Войны 1941-1945. Документы и материалы. Т. 1-2. М. 1984.

9. Внешняя политика Советского Союза в период Отечественной Войны. Документы и материалы. Т. 1-2. М. 1946. Т. 3. М. 1947.
10. Churchill W. S. The Second World War. Vol.1-6. L. 1949-1954. Черчилль У. Вторая мировая война. Кн.1- 3. М. 1991.
11. Einsenhower D. Crusade in Europe. N. Y. 1948. Эйзенхауэр. Д. Крестовый поход в Европу. М. 1980.
12. Sherwood. R. Roosevelt and Hopkins. An intimahe History. N.Y. 1948. Шервуд Р. Рузвельт и Гопкинс. Глазами очевидца. Кн. 1-2. М. 1958.
13. Leahy W. I Was There. N.Y. 1950.
14. Harrison G. Cross-Chanel Attack. Wash. 1951.
15. McNeil W. America, Britain and Russia. Their Cooperation and Conflict. N.Y. 1953.
16. Feis H. Churchill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and Peace They Sought. Princeton. 1957.
17. Beitzell R. The Uneasy Alliance: America, Britain and Russia, 1941-1943. N.Y. 1972. P.369.
18. Ингерсолл Р. Совершенно секретно. М. 1947.
19. Мэтлофф М. От Касабланки до „Оверлорда“. М. 1964. Мэтлофф М. Снелл Э. Стратегическое планирование в коалиционной войне 1941-1942. М. 1955.
20. Leighton R. Coackley R. Global Logistics and Strategy 1940-1943. Wash. 1955.
21. Говард М. Большая стратегия. Август 1942-Сентябрь 1943. М. 1980.
22. Фуллер Дж. Ф. Вторая мировая война 1939-1945 гг. М. 1954.
23. Baldwin H.W.Greate Mistakes of the War. L. 1950.
24. Pratt J. A History of the United States Foreign Policy. N.Y. 1955.
25. Wilmot Ch. The Struggle for Europe. L. 1953.
26. Stoler M. The Politics of the Second Front: American Military Planning and Diplomacy in Coalition Warfare 1941-1943. Westport.Conn. 1977. P.121.
27. Dallek R. Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy 1932-1945. N.Y. 1979.

28. Эрман Дж. Большая стратегия. Август 1943-Сентябрь 1944. М. 1958; Лиддел Гарт Б. Стратегия. М. 1957; Higgins T. Winston Churchill and the Second Front 1940-1943. Wash. 1957; Bryant. A. The Turn of the Tide, 1939-1943. L. 1950; Бредли О. Записки солдата. М. 1957; Batcher H. C. My Three Years with Eisenhower. N.Y. 1946.
29. Ундасынов Н. Рузвельт, Черчилль и второй фронт. М. 1965.
30. Кулиш В. М. История второго фронта. М. 1971.
31. Земсков И. Дипломатическая история второго фронта в Европе. М. 1982.
32. Толченев М. П. За кулисами подготовки второго фронта. М. 1947; Яковлев Н.Н. США и Англия во второй мировой войне. М. 1961; Израэлян В. Л. дипломатия в годы войны. М. 1985; Майский И. М. Воспоминания советского посла. Война 1939-1943. М. 1965; Ржешевский О.А. История второго фронта. М. 1988; Секистов В.А. Война и политика. М. 1989. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. Буржуазная историография второй мировой войны. М.1985. С.7-23, 46-63, 182-210; Жилин П. А., Якушевский А. С., Кульков Е. Н., Критика основных буржуазной историографии второй мировой войны. М. 1983. С. 44-108.
33. პაპასქირი თ. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში 1941-1943. თბ., 2002.

თავი I

1. Черчилль У. Вторая мировая война. Кн. 2. М. 1991. С. 170-172.
2. Там же. С. 172.
3. История дипломатий. Т. 4. М. 1975. С. 187.
4. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 169. უ. ჩერჩილმა ინგლისში დაკავებული ა. ჰიტლერის მოადგილის რ. ჰესისაგან იცოდა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა გარდაუვალი იყო. პრემიერმა ამის თაობაზე ინგლისში ახლადდანიშნული აშშ-ს ელჩი ჯ. უაინანტიც ჩააყენა საქმის კურსში, რასაც მალე ამერიკელი დიპლომატის ამერიკაში გამგზავრება მოჰყვა შედეგად. როგორც ირკვევა, უაინანტს რუზველტისათვის გერმანია-სსრკ-ს მოსალოდნელი ომის შემთხვევაში ჩერჩილის სავარაუდო რეაქციის შესახებ უნდა შეეტყობინებინა, რომლის არსი საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერა იყო. იხ. სვანაძე ლ. ჰესის ინგლისში გაფრენის საიდუმლო. ტ. 1. ქუთაისი. 2003. გვ. 622.
5. Langer W. Gleason S. The Undeclared War 1940-1941. N.Y. 1954. P. 531.
6. Мальков В. Л. Франклин Рузвельт. Проблемы внутренней политики и дипломатий. М. 1988. С. 213. წინააღმდეგობა ინგლისის ელჩთან აშშ-ში ე. ჰალიფაქსთან საუბარში იმედი გამოთქვა, რომ დიდი ბრიტანეთი არ დადებდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან. უელესის ვარაუდით ადრე თუ გვიან იაპონია თავს დაესხმებოდა სსრკ-ს და იმ შემთხვევაში თუ ინგლისი ამ უკანასკნელის მოკავშირე იქნებოდა ის აუცილებლად ჩათრეული აღმოჩნდებოდა საომარ მოქმედებებში შორეულ აღმოსავლეთში. იხ. Langer W. Gleason S. The Undeclared War 1940-1941. P. 540.
7. Яковлев Н.Н. Франклин Рузвельт. Человек и политик. М. 1965. С. 385. აღსანიშნავია, რომ როდესაც რუზველტმა განცხადების ტექსტი დაამტკიცა მას დამაბოლოებელი ფრაზა თავად მიაწერა, რომ ჰიტლერული არმიები დღესდღეობით მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა ამერიკის კონტინენტისათვის Там же. С. 385-386.
8. Борисов А. Ю. СССР и США. Союзники в годы войны 1941-1945. М. 1983. С.48.
9. Мальков В. Л. Указ.соч. С. 213. იხ. Яковлев Н.Н. Указ.соч. С. 387.

- 10.Яковлев Н.Н. Указ.соч. С. 387-388.
- 11.McNeil W. America, Britain and Russia. Their Cooperation and Conflict. N.Y. 1953. P. 21.
- 12.Яковлев Н.Н. Указ.соч. С. 390. იხ. Leighton R. Coakley R. Global Logistics and Strategy 1940-1943. Wash. 1955. P.140.
- 13.Советско-английские отношения во время Великой Отечественной Войны 1941-1945. Документы и материалы. Т. 1. М. 1983. С. 53. (შემდგომში – Советско-английские отношения...)
- 14.Там же. С. 53.
- 15.Там же. С. 53.
- 16.Там же. С. 54.
- 17.Там же. С. 57.
- 18.Там же. С. 57.
- 19.Там же. С. 56.
- 20.Там же. С. 67.
- 21.ივლისის ბოლოს ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის 200 „ტომოჰავკის“ ტიპის გამანადგურებელი გადაეცა. რაც შეეხება სსრკ-თვის სხვა სახის სამხედრო დახმარების გაწევის საკითხს, ბრიტანელებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ინგლისის სამხედრო შესაძლებლობანი ძლიერ შეზღუდული იყო და ამ ეტაპზე მათ მეტის გაკეთება არ შეეძლოთ. იხ. История дипломатий. Т. 4. М. 1975. С. 193.
- 22.Советско-английские отношения Т. 1. С. 74.
- 23.1940 წლის 25 ივნისს და 1941 წლის 3 აპრილს ჩერჩილმა ორი წერილი გაუგზავნა სტალინს, რომელიც მან უპასუხოდ დატოვა. საინტერესოა, რომ 1940 წლის 25 ივნისს მიწერილ წერილში ჩერჩილი სტალინს სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარებას სთავაზობდა. იხ. Черчилль У.Указ.соч. Кн. 1. С. 366-367. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 160.
- 24.Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 176.
- 25.Советско-английские отношения ...Т. 1. С. 82.

26. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной Войны 1941-1945 гг. Т. 1. М. 1957. С. 11. (შემდგომში – Переписка...)
27. Там же. С. 11.
28. Там же. С. 11.
29. Там же. С. 11. 1941 წლის 30 ივლისს ინგლისელებმა საჰაერო იერიში მიიტანეს გერმანულ ბაზებზე კირკენესსა და პეტსამოზე, თუმცა ეს ოპერაცია წარუმატებელი და არაეფექტური გამოდგა. იხ. Исраэлян В. Л. дипломатия в годы войны. М. 1985. С.23.
30. Переписка... Т. 1. С. 12.
31. ივლისის ბოლოს აშშ-ში იმყოფებოდა საბჭოთა სამხედრო მისია ფ. გოლიკოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც საბჭოთა კავშირისათვის დახმარების გაწევის საკითხი განიხილა. იხ. История дипломатий. Т. 4. М. С. 199.
32. Шервуд Р. Рузвельт и Гопкинс. глазами очевидца. Кн. 1. М. 1958. С. 543-544.
33. ჩერჩილის ცნობით დიდ ბრიტანეთშიც თითქმის ყველა ავტორიტეტული სამხედრო სპეციალისტი დარწმუნებული იყო სსრკ-ს სწრაფ დამარცხებაში. იხ. Churchill W. S. The Second World War. Vol.3. L. 1950. P.350.
34. Higgins T. Winston Churchill and the Second Front 1940-1943, Wash., 1957, p.60. იხ. Langer W. Gleason S. Op. cit., p. 546.
35. Stettinius E. Lend-Lease: Weapon for Victory, N.Y., 1944, p.123. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ვაშინგტონში სსრკ-ს დახმარების ყველაზე საუკეთესო საშუალებად დიდი ბრიტანეთისათვის მომარაგების მიწოდების გაგრძელება მიაჩნდათ. იხ. Leighton R. Coackley R. Op. cit., p. 96.
36. პაპასქირი თ. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-ინგლისის დიპლომატიაში 1941-1943 თბ., 2002. გვ. 21.
37. Мэтлофф М. От Касабланки до „Оверлорда“, М., 1964. С. 669; Sherwood. R. Roosevelt and Hopkins. An intimate History. N.Y. 1948. P.344; Pratt J. A History of the United States Foreign Policy. N.Y. 1955. P. 669.

38. Шервуд Р. Рузвельт и Гопкинс. Глазами очевидца. Кн. 1. М. 1958. С. 547. 1941 წლის 2 აგვისტოს აშშ-ს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების შესახებ. იხ. Советско-американские отношения во время Великой Отечественной Войны 1941-1945. Документы и материалы. Т. 1. М. 1984. С. 95-96. (შემდგომში – Советско-американские отношения...)
39. Basic Ridings in U.S. Democracy. Wash. 1994. P. 200-201.
40. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 27.
41. Переписка... Т. 1. С. 16.
42. Переписка... Т. 1 С. 19. საინტერესოა, რომ რუსი ისტორიკოსის ა. ორლოვის ცნობით, 1941 წელს საბჭოთა მთავრობას არ დაუყენებია საკითხი მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. იხ. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 174.
43. Переписка... Т. 1. С. 19.
44. Там же. С. 19.
45. Woodward L. British Foreign Policy in the Second World War. L. 1962. P. 154.
46. Черчилль У. Указ.соч. кн. 2. С. 210-211.
47. Советско-английские отношения ... Т. 1.С. 114-115.
48. Там же. С. 114-115.
49. Там же.С. 114-115. როდესაც მაისკიმ ჩერჩილთან შეხვედრისას დაახასიათა რა სსრკ-ს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა და უკმაყოფილება გამოთქვა ინგლისის უმოქმედობის გამო, დიდი ბრიტანეთის პრემიერმა სავსებით სამართლიანად შეახსენა საბჭოთა ელჩს, რომ მათ არ ჰქონდათ რაიმე საყვედურის თქმის უფლება. ჩერჩილის თქმით სულ რაღაც ოთხი თვის წინ, როდესაც ინგლისელებს შესაძლებლად მიაჩნდათ საბჭოთა კავშირის ომში ჩაბმა გერმანიის მხარეზე, მაშინაც კი, ბრიტანელები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში და არასოდეს უფიქრიათ, რომ მათი ხსნა რაღაც ფორმით დამოკიდებული იყო რუსების ქმედებებზე. იხ. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 208.

50. Черчилль У. Указ. соч. Кн. 2. С. 211.
51. Там же. С. 211. იხ. Мюллер-Гиллебранд Б. Сухопутная армия Германии 1933-1945. Т.2. М.1958. С. 227-228, 236-237.
52. Переписка... Т. 1. С. 20.
53. 1941 წლის 1 ოქტომბერს აშშ-ს დიდ ბრიტანეთსა და სსრკ-ს შორის ხელმოწერილ იქნა პირველი სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირისათვის დახმარებას ნედლეულითა და მზა პროდუქციით – თვითმფრინავებით, ტანკებით და საზენიტო დანადგარებით. 30 ოქტომბერს კი აშშ-ს პრეზიდენტის განკარგულებით უნდა მომხდარიყო ლენდ-ლიზის საფუძველზე 1 მლრდ. დოლარამდე ღირებულების საქონლის მიწოდება სსრკ-თვის. იხ. Советско-Английские отношения... Т. 1. С. 140-146. სესხის გასტუმრება უნდა მომხდარიყო ომის დამთავრებიდან 5 წლის შემდეგ 10 წლის განმავლობაში. იხ. Roosevelt and Churchill. Their Secret Wartime Correspondence. N.Y. 1975. P. 158.
54. Переписка... Т. 1. С. 22.
55. Шервуд Р. Указ. соч. Кн. 1. С. 607.
56. თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს, როდესაც ი. სტალინი შეეკითხა ე. იდენს, იაპონიის ომიდან გამოთიშვის შემთხვევაში ხომ არ შეიქმნებოდა მისი აზრით შესაფერისი პირობა მეორე ფრონტის ევროპაში კერძოდ, ბალკანეთში გახსნისათვის. იხ. Советско-английские отношения ... Т. 1. С. 190-191.
57. Шервуд Р. Указ. соч. Кн. 1. С. 612-613.
58. Там же. С. 612-613.
59. Там же. С. 612-613.
60. Черчилль У. Указ. соч. Кн. 2, с. 174.
61. Churchill W. S. The Second World War. Vol.3. L. 1950. P.479-480
62. Higgins T. Op. cit. P. 36.
63. აშშ-ს ომში ჩაბმისთანავე დიდმა ბრიტანეთმა ომი გამოუცხადა იაპონიას.
64. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 36.

65. Шервуд Р. Указ.соч. Кн. 2. С. 10.
66. 1941 წლის იანვარ-მარტში ვაშინგტონში გაიმართა აშშ-დიდი ბრიტანეთის საიდუმლო საშტაბო სხდომა, რომელზედაც სამხედრო მოქმედების უმთავრეს თეატრად ევროპა მიიჩნიეს. 27 მარტს კი მიღებულ იქნა გეგმა „ABC-1” , რომლის გადაწყვეტილებით აშშ-სათვის №1 მტრად გერმანია აღიარეს. იხ. Мэтлофф М. Снелл Э. Стратегическое планирование в коалиционной войне 1941-1942. М. 1955. С. 50-51.
- 67.Шервуд Р. Указ.соч. Кн. 2. С. 145.
68. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 38.
69. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 295-301.
70. Там же. С. 296-297.
71. Higgins T. Op. cit. P. 91.
72. Черчилль У.Указ.соч. Кн. 2. С. 298.
73. Churchill W. S. Op. cit. Vol.3. P. 580-584.
74. Ibid. P. 580-584.
75. Ibid. P. 580-584.
76. Hatch A.P. Franklin D. Roosevelt. An Informal Biography. N.Y. 1947. P. 574.
77. Churchill W. S. Op. cit. Vol.3. P. 574.
78. Яковлев Н.Н. Указ.соч. С. 421.
79. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 308. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ჰ. სტიმსონი და მისი ექსპერტები ამერიკული დივიზიების ბრიტანეთის კუნძულებზე გადასხმას ევროპაში შეჭრის წინაპირობად მიიჩნევენ. Там же. С. 308.
80. Там же.С. 311.
81. Там же. С. 314.
82. FRUS The Conferences at Washington, 1941-1942, and Casablanca, 1943. Wash. 1968. P.54-55.

83. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 315. ვაშინგტონის კონფერენცია დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ცნობილი გახდა ლიბიაში ინგლისელთა წარუმატებლობის შესახებ. ბრიტანელი ფელდმარშლის კ. ჯ. ოკინლეკის შეტევა, რომელსაც გენერალ ე. ფონ რომელის არმიის განადგურება უნდა მოჰყოლოდა, ფაქტობრივად ჩაიშალა. ყოველივე ამან ოპერაცია „ჯიმნასტის“ განხორციელება ამ პერიოდისთვის შეუძლებელი გახადა.

84. FRUS. The Conferences at Washington 1941-1942, and Casablanca 1943. P.62.

85. Внешняя политика Советского Союза в период отечественной войны. Документы и материалы. Т. 1. М. 1946. С. 194.

86. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 308-309.

87. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 46.

თავი II

1. აღსანიშნავია, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ საბჭოთა მთავრობა მეორე ფრონტის გახსნის საკითხს მხოლოდ დიდი ბრიტანეთის წინაშე აყენებდა, რადგანაც აშშ 1941 წლის დეკემბრამდე ოფიციალურად ომში ჩაბმული არ იყო.
2. Шейнис З. М.М. Литвинов. Революционер, дипломат, человек, М. 1989. С. 396.
3. საინტერესოა ის, რომ მ. ლიტვინოვი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატიდან სასწრაფო პასუხს ელოდა. იხ. Советско-американские отношения... Т. 1. С. 150.
4. Там же. С. 150.
5. Там же. С. 150-151.
6. შეხვედრის დროს ლიტვინოვმა არაერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მთავრობიდან არანაირი ინსტრუქციები არ ჰქონდა მიღებული და მხოლოდ პირად აზრს გამოთქვამდა. იხ. Советско-американские отношения... Т. 1. С. 152.
7. Там же. С. 152.
8. Eisenhower D. Crusade in Europe. N. Y. 1948. P. 31.
9. Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 184.
10. Там же. С. 185.
11. Harrison G. Cross-Chanel Attack. Wash. 1951. P. 12.
12. Эрман Дж. Большая стратегия. Август 1943-Сентябрь 1944. М. 1958. С. 117.
13. Советско-американские отношения... Т. 1. С. 156.
14. Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 189.
15. Там же. С. 211-212.
16. Шервуд Р. Указ.соч. Кн. 2. С. 120.
17. Feis H. Churchill, Roosevelt and Stalin. The War They Waged and Peace They Sought. Princeton. 1957. P. 49.

18. Шервуд Р. Указ.соч. Кн. 2. С. 121.
19. Higgins T. Op.cit. P.108. მოგვიანებით, 1942 წლის 30 ივლისს, რუზველტმა საბჭოთა ელჩ ლიტვინოვს განუცხადა, რომ გერმანია ხანგრძლივ ომს ვეღარ გაუძლებდა. იხ. Советско-американские отношения... Т. 1. С. 220.
20. История США. 1918-1945. Т. 3. М. 1985. С. 355.
21. Roosevelt and Churchill. Their Secret Wartime Correspondence. P.200. Батлер Дж. Гуайер Дж. Большая стратегия. Июнь 1941- Август 1942 М. 1967. С. 202.
22. Sherwood. R. Roosevelt and Hopkins. An intimate History. N.Y. 1948. იხ. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 48.
23. Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 255.
24. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 455.
25. აღნიშნული ოპერაცია ძირითადად ბრიტანელთა ფლოტის, ავიაციისა და ცოცხალი ძალის გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო. ჩრდილო საფრანგეთში შესაჭრელად ამერიკელები მხოლოდ 2-3 დივიზიის გამოყოფას აპირებდნენ. ჩერჩილის ცნობით ეს ამერიკული დივიზიები ახალი შექმნილი იყო და მათი მომზადების დონე სათანადო მოთხოვნებს ვერ პასუხობდა. ინგლისის პრემიერის შეხვედრებით სულ მცირე ორი წელი და მაღალპროფესიონალური კადრები იყო საჭირო იმისათვის, რათა ბრძოლისუნარიანი საჯარისო ნაწილები შექმნილიყო. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 454.
26. ჩერჩილის აზრით, „იუპიტერის“ განხორციელება ხელს შეუწყობდა ჩრდილოეთის გზის გამოყენებით საბჭოთა კავშირისათვის განკუთვნილი დახმარების მიწოდებას. Там же. С. 454-455.
27. Там же. С. 455.
28. Переписка... Т. 2. С. 21.
29. Советско-американские отношения... Т. 1. С. 160.
30. Там же. С. 162.
31. Переписка... Т. 2. с. 21-22.
32. Советско-американские отношения... Т. 1. С. 164-165.
33. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 460-461.

34. Советско-английские отношения... Т. 1. С. 227.
35. Там же. С. 227.
36. Земсков И. Дипломатическая история второго фронта в Европе. М. 1982. С. 72.
37. Внешняя политика Советского Союза в период отечественной войны. Документы и материалы. Т. 1. М. 1946. С. 270-273. (შემდგომში Внешняя политика Советского Союза...)
38. Там же. С. 273.
39. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 178.
40. Там же. С. 178-179.
41. Там же. С. 179. აღსანიშნავია, რომ მოლოტოვმა რუზველტის ეს სიტყვები ჩერჩილს გადასცა. საპასუხოდ ინგლისის პრემიერმა საბჭოთა დიპლომატს განუცხადა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გაიმეორებდა ახალ დიუნკერკს. იხ. Советско-английские отношения..., Т. 1. С. 244.
42. Советско-Американские отношения..., Т. 1. С. 179.
43. Там же. С. 179. 1942 წლისათვის მეორე ფრონტად განიხილებოდა ლა-მანშის ფორსირება, შეზღუდული რაოდენობის (6-8 დივიზიის) ძალების მონაწილეობით, (ოპერაცია „სლევჰამერი“) რაც არასაკმარისი იყო აღმოსავლეთის ფრონტიდან 40 გერმანული დივიზიის მოსახსნელად. იხ. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 511-512; Переписка... Т.,1. С. 59; История дипломатий. Т. 4. С. 265.
44. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 180-181.
45. Там же. С. 183.
46. Там же. С. 185. იხ. Roosevelt and Churchill. Their Secret Wartime Correspondence. P. 27-29
47. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 191. ლენდ-ლიზით გათვალისწინებული დახმარების შემცირება არ ვრცელდებოდა იმ შეიარაღებაზე, რომელიც აშშ-ს საბჭოთა კავშირისათვის უნდა მიეწოდებინა. Там же. С. 191.
48. Там же. С. 193.

49.საბჭოთა კავშირის საგარეო სახალხო კომისარიატისადმი გაგზავნილ 5 ივნისით დათარიღებულ ტელეგრამაში საბჭოთა ელჩი აშშ-ში მ. ლიტვინოვი იტყობინებოდა, რომ მან პრეზიდენტს გააცნო საბჭოთა მხარის პოზიცია, მაგრამ რუზველტი პირობას ვერ იძლეოდა 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნა ინგლისელთა ნაცვლადაც ევალებოდა. იხ. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 486.

50.Там же. С. 197-198.

51.Там же. С. 203. იხ. Внешняя политика Советского Союза ...,Т. 1. С. 285.

52.Dallek R. Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy 1932-1945. N.Y. 1979. P. 344.

53.Мэтлофф М. Снелл Э.Указ.соч. С. 271.

54.ვაშინგტონში ვ. მოლოტოვის ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის შეათანხმეს ლენდ-ლიზის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი დებულებები, რომელსაც ხელი 1942 წლის 11 ივნისს მოეწერა იხ. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 198-202.

55.Советско-американские отношения..., Т. 1. С. 203. იხ. აგრეთვე. Внешняя политика Советского Союза ...,Т. 1. С. 283-285.

56.Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. с. 465. აღნიშნული კომუნიკაციები ვაშინგტონსა და ლონდონში 1942 წლის 11 ივნისს გამოქვეყნდა. ხოლო საბჭოთა კავშირში – ერთი დღით გვიან 1942 წლის 12 ივნისს, მოლოტოვის მოსკოვში დაბრუნების შემდეგ. იხ. Внешняя политика Советского Союза ...,Т. 1. С. 283-285.

57.სამახსოვრო ბარათში ჩერჩილი სტალინს ევროპაში შეჭრას 1943 წლისათვის დაპირდა. ამ ოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო მოკავშირეთა ჯარების 1 მილიონამდე ჯარისკაცს. იხ. Советско-английские отношения..., Т. 1. С. 248. ჩერჩილის სამახსოვრო ბარათის შინაარსის გაცნობის შემდეგ ი. მაისკი დარწმუნდა იმაში, რომ 1942 წლისათვის ინგლისის პრემიერი მეორე ფრონტის გახსნას არ აპირებდა. იხ. Майский И. М. Воспоминания советского посла. Война 1939-1943. М. 1965. С. 260.

58. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 465. ივნისის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ვაშინგტონში გააგზავნა ლორდი ლ. მაუნტბეტენი, რომელსაც

დავალებული ჰქონდა ეცნობებინა აშშ-ს პრეზიდენტისათვის ინგლისის უარყოფითი დამოკიდებულება 1942 წლისათვის ევროპის კონტინენტზე მოკავშირეთა შეჭრის ოპერაციის მიმართ იხ. История дипломатий. Т. 4. М. 1975. С. 266.

59. Мэтлофф М. Снелл Э. Указ. соч. С. 467.

60. Черчилль У. Указ. соч. Кн. 2. С. 474.

61. Churchill W. S. Op.cit. Vol. 4. P. 381-382.

62. Ibid. P. 381-382.

63. Шервуд Р. Указ. соч. Кн. 2. С. 217.

64. Мэтлофф М. Снелл Э. Указ. соч. С. 284. აღსანიშნავია, რომ ამერიკელ სამხედროებს 1942 წელს საერთოდ უმოქმედოდ ეოფნა ერჩივნათ, ოღონდ შესაძლებელი გამხდარიყო 1943 წლისათვის ევროპის კონტინენტზე ფართომასშტაბიანი ოპერაციის განხორციელება. იხ. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 54.

65. პაპასქირი თ. დას. ნაშ. გვ. 54.

66. FRUS. The Conferences at Washington, 1941-1942, and Casablanca, 1943. Wash. 1968. P. 479.

67. აღსანიშნავია, რომ 1942 წლის 25 ივნისს საბჭოთა ელჩი აშშ-ში მ. ლიტვინოვი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს იმის შესახებ აუწყებდა, რომ ჩერჩილმა რუზველტი მეორე ფრონტის გადადების აუცილებლობაზე დაითანხმა. იხ. Советско-американские отношения..., Т. 1. С. 208.

68. Черчилль У. Указ. соч. Кн. 2. С. 494. იხ. აგრეთვე. Roserian S. Working with Roosevelt. N.Y. 1952. P. 345.

69. Секретная переписка Рузвельта и Черчилля в период войны. М. 1995. С. 258-259.

70. Howe G. North West Africa: Seizing the Initiative in the West. Wash. 1957. P. 14.

71. Мэтлофф М. Снелл Э. Указ. соч. С. 313-314.

72. Ундасынов Н. Рузвельт, Черчилль и второй фронт. М. 1965. С. 63-64.

73. აღსანიშნავია, რომ 1942 წლის 12 ივნისს ინგლისის პრემიერმა წერილით მიმართა ბრიტანელთა წარმომადგენელს მოკავშირეთა გაერთიანებულ შტაბში

ჯ. დილს, რომელშიც იუწყებოდა, რომ თუ რუზველტი „ჯიმნასტს“ უარყოფდა, მაშინ მოკავშირეები 1942 წლისათვის უმოქმედოდ უნდა ყოფილიყვნენ და დასავლეთ ევროპაში ფართომასშტაბიანი შეჭრა მხოლოდ 1943 წლისათვის უნდა განხორციელებინათ. იხ. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 497.

74. Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 319.

75. Там же. С. 319-322.

76. Там же. С. 322.

77. Higgins T. Op.cit. P.141.

78. История дипломатий. Т. 4. С. 160. ამერიკელი გენერლის მ. კლარკის ცნობით ამერიკელები მხოლოდ იმიტომ მოითხოვდნენ 1942 წლისათვის მეორე ფრონტის შექმნას, რომ მათი შეხედულებით საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ისინი საბოლოოდ დაკარგავდნენ ხელსაყრელ მომენტს ევროპაში შესაჭრელად. იხ. Clark M. Calculated Risk. L. 1956. P. 36.

79. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 500.

80. McNeil W. America, Britain and Russia. Their Cooperation and Conflict. N.Y. 1953. P. 195.

81. Harrison G. Cross-Chanel Attack. Wash. 1951. P. 29.

82. 1942 წლის 22 ივლისს, როდესაც ინგლისელებმა საბოლოოდ უარი განაცხადეს „სლექჰამერის“ განხორციელებაზე. დ. ეიზენჰაუერმა ამ დღეს ისტორიის ყველაზე შავი დღე უწოდა. იხ. Batcher H. C. My Three Years with Eisenhower. N.Y. 1946. P. 29.

83. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 501.

84. Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 325-326.

85. Черчилль У. Указ.соч. Кн. 2. С. 501.

86. Higgins T. Op.cit. P.157.

87. აღსანიშნავია, რომ ინგლისელი და ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილის შეხედულებით, ოპერაცია „ტორჩის“ რეალიზაცია ეჭვის ქვეშ აყენებდა 1943 წლისათვის ნებისმიერი ფართომასშტაბიანი ტრანსლამანშური ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობას. იხ. Eisenhower D. Crusade in Europe. N.

Y. 1948. P. 76; Montgomery B. 21-st Army Group Normandy to the Baltic Germany. L. 1946. P.11; Мэтлофф М. Снелл Э. Указ.соч. С. 274-275.

88. Майский И. М. Указ.соч. С. 261.

89.Переписка..., Т. 1, С. 54.

90.Там же. С. 55.

